ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან —80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. [illegible] კ., ტექსტში—3 მ., განცხადებები გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

- მიწისძვრამ იაპონიაში გაანადგურა რამოდენიმე ქალაქი.
- ლონდონში გაიხსნა ინგლის-საფრანგეთის სამრეწველო კონფერენცია.
- შეტაკება უმუშევრებსა და პოლიციას შორის ინგლისში.
- გერმანიის ელჩი რაუშერი ვარშავიდან ბერლინში გაემგზავრა.
- ვრანგელის ძმის თვითმკვლელობა.
- საფრანგეთის ესკადრა „სტუმრათ“ რუმინეთის წყლებში.
- ქალთა საერთაშორისო დღე ჩინეთში.

ხუთშაბათი, 10 მარტი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 55 (1810)

გაჯანსაღების და გაძლიერების გზით

გერმანიის კომპარტიის ყრილობას, რომელიც ამ დღეებში დასრულდა, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო მომენტში მოუხდა მუშაობა. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის საშინაო მდგომარეობა ხასიათდება კაპიტალის უმკაცრესი შეტევით მუშათა კლასზე, როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ სფეროში. კაპიტალისტურმა რაციონალიზაციამ, რომელიც ყველაზე უფრო ფართე მასშტაბით და მედგრად გერმანიაში ტარდება, პროლეტარიატს დიდი უბედურება დაატეხა თავზე. ეს რაციონალიზაცია ნიშნავს მუშათა მასების ექსპლოატაციის გაძლიერებას და ამ გზით კაპიტალიზმის სტაბილიზაციის მიღწევის ცდას.

რაციონალიზაციას, რომელიც, სხვათა შორის, გამოიხატება მრეწველობის კონცენტრაციაში (გაერთიანებაში) მოჰყვა უამრავი გაუერთიანებელ და შედარებით ნაკლებად მძლავრ წარმოებათა გაკოტრება; ერთი წლის განმავლობაში, 1925 წ. ოქტომბრიდან 1926 წ. ოქტომბრამდე, დაიღუპა 13.000-ზე მეტი წამოწყება. ამასთან, მრავალ მსხვილ წარმოებაში განხორციელებულ იქნა შრომის მექანიზაცია. აქედან — კაპიტალისტური რაციონალიზაციის ერთი მთავარი შედეგთაგანია უმუშევრობის მასიური ზრდა. 1925 წ. 15 ნოემბრისათვის დახმარების მიმღებ უმუშევართა რიცხვი ნახევარ მილიონზე ნაკლები იყო, ერთი წლის შემდეგ კი მან 1.314.000 კაცს მიაღწია, ხოლო 1927 წ. 1 იანვრისათვის. შრომის სამინისტროს ცნობებით, მარტო დაზღვეულ უმუშევართა რაოდენობა ავიდა 1.963.554 კაცამდე. თუ ამ რიცხვს მიუმატებთ დაუზღვეველ უმუშევრებს და ნაწილობრივ მომუშავეთ — უმუშევართა არმია 4 მილიონამდე უნდა ვიანგარიშოთ.

რაციონალიზაციის მეორე შედეგი მდგომარეობს მუშებისაგან ენერგიის უკიდურესობამდე ამოქაჩვაში. მუშაობის პროცესზე მეთვალყურეობის გაძლიერებით და მასში სათანადო ტეხნიკურ ცვლილებათა შეტანით შრომის ინტენსიფიკაცია და ნაყოფიერება უმაღლეს წერტილზეა აყვანილი.

მაგრამ, ნუ იფიქრებთ, რომ სამაგიეროდ მოუმატეს სამუშაო ხელფასს და მუშის ნივთიერი მდგომარეობა გააუმჯობესეს. მრეწველებს ხელფასის გადიდებაზე ლაპარაკიც არ სურთ, ამავე დროს კი ცხოვრება გაძვირებულია და, მაშასადამე, მუშათა კლასის რეალური საცხოვრებელი დონე დაცემულია. ამასთან სამუშაო დღე თითქმის ყველგან დიდდება.

ასეთია რაციონალიზაციის ნაყოფი მუშათა კლასისათვის, იმ რაციონალიზაციის, რომელსაც სოციალ - დემოკრატები ხოტბას ასხამენ. ისინი წინ აყენებენ ამ რაციონალიზაციის ტეხნიკურ- ორგანიზაციულ მხარეებს და ცდილობენ მიჩქმალონ ამით შექმნილი სოციალ - ეკონომიური პირობები, რომლებიც აუტანელია პროლეტარიატისათვის.

კაპიტალის ეკონომიურ შეტევას მუშათა კლასზე თან სდევს პოლიტიკური რეაქცია. ეს გამოიხატა ბურჟუაზიულ ბლოკის მთავრობის შედგენით, ბლოკის, რომლის უმრავლესობა აშკარად ილტვის მონარქიულ წყობილების აღდგენისაკენ. მონარქიის რესტავრაციის საფრთხე, სხვათა შორის, სჩანს იქიდან, რომ ყოფ. მეფის გვარეულობას აურაცხელ ქონებას უბრუნებენ, მაშინ, როცა მუშები მილიონობით ქუჩებში არიან გაყრილი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ დღის წესრიგში დგას ვილჰელმის სამშობლოში დაბრუნების საკითხი. სოციალ - დემოკრატია აქაც ბურჟუაზიასთან არის.

რაც შეეხება გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობას, ამჟამად ჩვენთვის საყურადღებოა ის გარემოება, რომ ინგლისი ცდილობს მის ჩაბმას ანტი-საბჭოთა ბლოკში, რომლის შესადგენად ჩემბერლენი არაფერს იშურებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ გერმანელი მენშევიკები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გააფთრებულ კამპანიას ეწევიან, რომ იმპერიალისტებს ნიადაგი მოუმზადონ საბჭოებზე გამოსალაშქრებლად.

ასეთია ის საშინაო და საერთაშორისო პირობები, რომლებმაც განსაზღვრა გერმანიის კომპარტიის მორიგი ყრილობის მუშაობის შინაარსი. მშრომელ მასების მობილიზაცია კაპიტალის ეკონომიურ და პოლიტიკურ რეაქციის წინააღმდეგ, სოციალ - დემოკრატიის მოღალატეობის სისტემატიური მხილება და მისი გარიყვა პროლეტარიატისაგან, ბრძოლა მომავალი მსოფლიო ომის და კერძოდ ანტისაბჭოთა კომბინაციებში გერმანიის ჩათრევის წინააღმდეგ— ასეთია კომპარტიის ამოცანები.

ამ ამოცანების წარმატებით განხორციელების წინასწარ პირობას შეადგენს თვით კომპარტიის რიგების ბოლშევიკური მთლიანობა და ლენინურ პოზიციებზე ურყევლად დგომა. როგორც ვიცით, გერმანიის პარტიაში ამ მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ იყო. ე. წ. მემარცხენე ოპოზიციას, რომელიც ნამდვილად მემარჯვენე, მენშევიკურ - ბურჟუაზიულ პოლიტიკას ატარებდა, დეზორგანიზაცია შექონდა გერმანიის კომპარტიაში და ასუსტებდა მის რევოლიუციონურ ბრძოლის უნარს. როგორც გერმანიის კომპარტიის ყრილობის წინ ჩატარებულ პარტკონფერენციებზე, ისე ყრილობაზე გამოირკვა, რომ ოპოზიცია განადგურებულად უნდა ჩაითვალოს და, რომ ლენინიზმის პრინციპებმა საბოლოოდ გაიმარჯვეს.

ეს გარემოება უეჭველად დიდად შეუწყობს ხელს პარტიას მუშაობის გაღრმავება -გაფართოვებას დასახულ მიზნების მისაღწევად. პირველ რიგში აქ უნდა დავაყენოთ მასების დაპყრობა. ამ მიმართულებით გერმანიის კომპარტიას უკვე აქვს საგრძნობი მიღწევები. მშრომელთა 14 მილიონი ხმა, რომელიც მან შეაგროვა ყოფ. მეფის გვარეულობისათვის ქონების აუნაზღაურებლად ჩამორთმევის სასარგებლოდ, და მშრომელთა კონგრესის მოწვევა მოწმობენ, რომ კომპარტიამ ღრმად გაიდგა ფესვები მასებში. ამასთან ის ხელმძღვანელ როლს თამაშობს უმუშევართა და მშრომელთა სხვა ორგანიზაციებში. ძალიან გაიზარდა მისი გავლენა პროფკავშირებში. კერძოდ ამას წინედ ჩატარებულ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების არჩევნებში კომპარტიას დიდი გამარჯვება ხვდა წილად. თვით ყრილობის საპატივცემოლოდ გამართულმა მრავალრიცხოვანმა დემონსტრაციამ, რომელშიც სოციალ - დემოკრატიული მუშებიც ბლომად იღებდენ მონაწილეობას, და უპარტიო მუშების მისალმებამ ყრილობისადმი ცხადჰყვეს, რომ პარტიის ავტორიტეტი და გავლენა სულ უფრო იზრდება. ეს იმავე დროს, თავისთავად იგულისხმება, ნიშნავს სოციალ - დემოკრატიის შესუსტებას, მის დაშლას.

მიღწეულ შედეგების ნიადაგზე გერმანიის კომპარტია უფრო გააძლიერებს მუშაობას მასების რევოლიუციონური დარაზმისათვის თავის დროში ქვეშ, რომ წინაღუდგეს კაპიტალის იერიშებს და ხელსაყრელ მომენტში თვითონ გადავიდეს შეტევაზე. გერმანიის კომპარტია გაჯანსაღების და გაძლიერების გზაზე სწრაფად მიიწევს წინ. და ეს საუკეთესო საწინდარია იმის, რომ ბურჟუაზია და მისი მოკავშირე სოციალ - დემოკრატია ვერ შესძლებენ გერმანიის პროლეტარიატის გატეხას და რომ ამასთან ისინი ვერ მოახერხებენ გერმანიის მშრომელთა ჩაბმას რაიმე საგარეო ავანტიურაში, კერძოდ, ანტი-საბჭოთა ფრონტში. გერმანიის კომპარტიის ყრილობის მუშაობამ ყველაფერი ეს აშკარად დაგვანახვა.

პროფკავშირები, მუშათა და გლეხთა ინსპექცია და ბრძოლა ბიუროკრატიზმთან

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

პარტია არასოდეს არ ასუსტებდა ყურადღებას სახელმწიფოებრივი და სამეურნეო აპარატის ყოველმხრივი გაუმჯობესების საკითხებისადმი, ამ აპარატის ყოველგვარი ბიუროკრატიული გადამახინჯების აღმოფხვრისადმი. ჩვენს მიერ პროლეტარული საზოგადოებრიობის სამსჯავროზე ბიუროკრატიზმის მუწუკის დაუნდობელ გამოტანას არა ერთხელ გამოუწვევია უსაზღვრო სიხარული ჩვენი მტრების ბანაკში, რომლებიც სცდილობდენ ყოველგვარი ნაკლულოვანების კონკრეტიული მაგალითით დაემტკიცებიათ საბჭოების მთელი სისტემის უვარგისობა. მაგრამ სრულიადაც არ ვიწუხებდით რა თავს ბურჟუაზიის ლაქიების გულშემზარავი ყეფით, ჩვენ შეუჩერებლად განვაგრძობდით მასების ყურადღების მიპყრობას ჩვენი აპარატის მდგომარეობასა და მის ტკივილებზე.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობის აღორძინება - განვითარებასთან ერთად სწარმოებდა ორგანიზაციის მთელი სისტემის ერთგვარი გამოჯანსაღებისა და მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა მნიშვნელოვან კადრების გამოცდილებათა ზრდის პროცესი.

ამის და მიუხედავათ პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე ორი ძირითადი გზით, მთელი თავისი სიმწვავით იჭრება აქტივობის მობილიზაციის საკითხი მშენებლობის ამ დარგში. პირველ ყოვლისა, განმეორებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატი ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ აკმაყოფილებს იმ მასებს, რომელთაც ის ემსახურება. პარტიის და სახელმწიფო ხელისუფლების დირექტივების ჯერ კიდევ ბევრ გადამახინჯებას განიცდის პროლეტარულ სახელმწიფოს მოქალაქე, მუშა და გლეხი. ჩვენ უნდა გავაათკეცოთ ძალები ყოველ იმ მიზეზებთან საბრძოლველად, რომლებიც აშორებენ აპარატს მასებისაგან.

მეორე ძირითადი მიზეზი, რომელიც მოითხოვს აპარატის დაუყოვნებლივ გადაკეთებას და გაუმჯობესებას, მდგომარეობს გადასვლაში აღორძინებიდან რეკონსტრუქციაზე. ბიუროკრატიზმი, ორგანიზაციის სისტემის ერთგვარი მოუწყობლობა სამეურნეო მშენებლობის პირობებში, აფერხებს ჩვენს წინსვლას და ზრდის ჩვენს ხარჯებს.

სამეურნეო ცხოვრება მოითხოვს ინიციატივის, თვითმოქმედების და პასუხისმგებლობის რაც შეიძლება მეტ გაშლას. საოპერაციო დარგში გაშლილ უნდა იქნას თვითმოქმედება. ამავე დროს მთელი ჩვენი სისტემის გეგმიანი ხასიათი მოითხოვს სახელმწიფო აპარატისაგან პირველად უჯრედების უკეთესად დაკავშირებას მთლიან სამეურნეო სისტემაში. საკმარისია შევადაროთ ერთი მეორეს ის დიდი მოთხოვნილებები, რომლებსაც უყენებს სოციალისტური მშენებლობა ჩვენს სახელმწიფო აპარატს, და მისი ფაქტიური მდგომარეობა ამჟამად (ფუნქციებით დატვირთვა, ნაწილების პარალელიზმი, საქმის გაჭიანურება, ზღვა ანგარიშიანობა და უამრავი კონტროლი), რომ ნათელი გახდეს, თუ რა დიდი ამოცანა სდგას. ჩვენს წინაშე, ამოცანა, რომელიც მოითხოვს ძალთა უდიდეს დაჭიმვას.

ვლადიმირ ილიჩი თავის წერილში მუშათა და გლეხთა ინსპექციის შესახებ, სადაც ის იძლევა სახელმწიფო აპარატის ამომწურავ დახასიათებას, აღნიშნავდა, რომ სწორედ მუშათა და გლეხთა ინსპექცია უნდა გადაიქცეს ჩვენი აპარატის გაუმჯობესების იარაღად. ემყარება რა ილიჩის ამ აღთქმას, პარტიამ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ძირითად ამოცანად უახლოეს წლებისთვის დასახა სახელმწიფო აპარატის შესწავლა, ბიუროკრატიულ გადამახინჯებათა გამოაშკარავება და გადაჭრილი ბრძოლა მათ აღმოსაფხვრელად. ამ ამოცანაზე არის აგებული მუშათა და გლეხთა ინსპექციის სამუშაო გეგმა, რომელიც ამას წინად გამოქვეყნდა. სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების ამოცანების გადაჭრას ჩვენ შევსძლებთ მილიონიანი მასების ჩაბმით ბრძოლაში იაფი და მოქნილი საბჭოთა აპარატისთვის.

აი, რატომ უნდა იქნას აღნიშნული მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და საკავშირო პროფსაბჭოს მიმართვა ყველა პროფორგანიზაციებსა, პროფკავშირის წევრებსა, საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებისადმი, როგორც სწორი და აუცილებელი ნაბიჯი ბრძოლის გაშლის საქმეში სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის.

ლენინი არა ერთხელ აღნიშნავდა პროფკავშირების განსაკუთრებულ როლს სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საქმეში. ეს განსაკუთრებული როლი პირდაპირ გამომდინარეობს იმ განსაკუთრებული მდგომარეობიდან, როგორიც უჭირავთ პროფკავშირებს მუშათა სახელმწიფოში. მათი დანიშნულებაა —მუშათა კლასის ყოველდღიური ინტერესების დაცვა სწორედ ბიუროკრატიულ გადამახინჯებისაგან.

ამავე დროს ჩვენი პროფკავშირები წარმოადგენენ მასებთან ხელმძღვანელი ავანგარდის დამაკავშირებელ რგოლს. ჩვენი სისტემის ამ ბერკეტის ამოძრავების გარეშე პროფკავშირებში დარაზმულ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ათეული მილიონების ინიციატივისა და ნებისყოფის გარეშე წარმოუდგენელია და შეუძლებელი ჩვენი აპარატის გადაკეთების ამოცანის გადაწყვეტა.

პროლეტარული აქტივობის ზრდა, შემჩნეული საბჭოების გადარჩევის დროს, წარმოადგენს თვალსაჩინო, უდავო საბუთს იმისას, რომ ულეველია მუშათა ფართე მასების ნებისყოფა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

ჩვენი ამოცანაა ეს ენერგია და ნებისყოფა მივმართოთ ჩვენი მშენებლობის მნიშვნელოვან დარგისაკენ — სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისაკენ. ჩვენი მიღწევები ამ ფრონტზე იქნება საბოლოო მიზნებისაკენ ჩვენი წინსვლის დამამტკიცებელი. (ადს).

მოსკოვი, 9 მარტი.

ინგლისის ანტისაბჭოთა ოინები ჟენევის სესიაზე

კანტონელების ჯარები წარმატებით განაგრძობენ შეტევას

გერმანელ გაზეთების აზრით შანხაის აღება კანტონელების მიერ ახლო მომავლის საქმეა

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი უთხრეს პოლონეთს სესხის მიცემაზე

ლატვია თანახმაა დამოუკიდებლად დასდოს საგარანტიო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან

ერთა ლიგის სესია

რუმინეთ-უნგრეთის კონფლიქტი

ბერლინი, 8 მარტი. 7 მარტს ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა რუმინეთ-ჰუნგრეთის კონფლიქტი, რომელიც წარმოიშვა ჰუნგრეთის მთავრობის მოთხოვნილების გამო. რათა სემიგრადიის იმ მემამულეთა მიწები, რომელთაც მოისურვეს ჰუნგრეთის ქვეშევრდომათ დარჩენა, არ იქნეს იძულებით ჩამორთმეული.

რუმინეთის მთავრობის სახელით გამოვიდა ტიტულესკუ, რომელმაც, დაეყრდნო რა აუდიტორიის „ანტიბოლშევიკურ გრძნობებს“, განაცხადა, რომ რუმინეთში კანონი მიწის იძულებითი ჩამორთმევის შესახებ მიღებულ იქნა, როგორც ღონისძიება, რომელიც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის მეზობლობით.

ჰუნგრეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებით რუმინეთის მიერ მიღებული ზომები მიმართულია ჰუნგრეთის წინააღმდეგ. საბჭომ დაადგინა გადასდოს კონფლიქტის განხილვა ივნისის სესიამდე. კონფლიქტის საკითხის შესახებ მომხსენებლათ დანიშნულია ჩემბერლენი, თანამომხსენებლებათ—იაპონიის და ჩილის წარმომადგენლები (ადს).

ჩემბერლენი საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებს

ჟენევა, 8 მარტი. ხმების თანახმად ჩემბერლენი ჟენევაში საფრანგეთთან და გერმანიასთან აწარმოებს საიდუმლო მოლაპარაკებას საბჭოთა მთავრობისათვის გაერთიანებული ნოტის გაგზავნის შესახებ (ადს).

რაუშერი გაემგზავრა ჟენევაში

ვარშავა, 8 მარტი. გერმანიის ელჩი ვარშავაში რაუშერი გაემგზავრა ჟენევაში. გაზეთ „კურიერ პორანი“-ს ჟენეველ კორესპონდენტის ცნობით, შტრეზემანს დღემდე არ დაუწყია მოლაპარაკება ზალესკისთან, ვინაიდან ელოდება რაუშერის ჟენევაში ჩასვლას (ადს).

ბერლინი, 9 მარტი. 8 მარტს შესდგა ერთა ლიგის საბჭოს სხდომა. პრესის საკითხის შესახებ დადგენილ იქნა, რომ 24 აგვისტოს ჟენევაში იქნას მოწვეული ბეჭდვითი საქმის 40 ექსპერტის კონფერენცია. ზემო სილეზიის აღმოსავლეთ ნაწილის გერმანელთა უმცირესობის სკოლების საკითხი ქვე-კომისიას გადაეცა. (ადს).

პრესა ერთა ლიგის სესიის შესახებ

ლონდონი, 8 მარტი. ლონდონის გაზეთები ათავსებენ თავიანთ ჟენეველ კორესპონდენტების ცნობებს.

„მანჩესტერ გარდიენ“-ის სიტყვით, გერმანიის დელეგაცია თანახმაა რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხის განხილვა გადაიდოს ივნისისათვის. პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობის შესახებ გაზეთი სწერს :

„ თუმცა გერმანელები უარყოფენ ყოველგვარ წინადადებას პოლონეთთან ისეთი შეთანხმების დადების შესახებ, რომელიც მიმართული იქნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ისინი, როგორც სჩანს, თანახმა არიან განახლებულ იქნეს მოლაპარაკება პოლონეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

„ტანი“ ჟენევაში მოლაპარაკების შესახებ

„ვესტმინსტერ გაზეტ“ იუწყება, რომ ინგლისის დელეგაცია უარყოფს ხმებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ მოლაპარაკების შესახებ პოლონეთთან. კორესპონდენტის მიერ მიღებულ ცნობების თანახმად, ინგლისმა და საფრანგეთმა წინადადება მისცეს პოლონეთს და ლიტვას მიიღონ ყოველივე ზომები შეთანხმების მისაღწევათ.

„დეილი ტელეგრაფ“ აცხადებს, რომ ჩემბერლენი, როგორც სჩანს, პირველ რიგში ცდილობს პოლონეთ-გერმანიის მოლაპარაკების განახლებას (ადს).

„ტანი“ ჟენევაში მოლაპარაკების შესახებ

პარიზი, 8 მარტი. „ტანი“ უარყოფს, რომ ჟენევაში სწარმოებს მოლაპარაკება მსოფლიო პოლიტიკის უდიდესი მნიშვნელობის პრობლემებზე და აცხადებს, რომ მოლაპარაკება ევროპის სახელმწიფოების გარეშე საქმეთა მინისტრებს შორის მდგომარეობს შტრეზემანისა და ზალესკის საუბარში პოლონეთ-გერმანიის მოლაპარაკების განახლების შესახებ.

გაზეთი აღნიშნავს, რა ბერლინის უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ჩემბერლენი შეიძლება ჩაერიოს შტრეზემანისა და ზალესკის მოლაპარაკებაში, სწერს.

„ეს მოწმობს გერმანიის უნდობლობას ინგლისის პოლიტიკისადმი, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არის მიმართული. (ადს).

ჩემბერლენის განცხადება

ბერლინი, 8 მარტი. პრესის წარმომადგენელთან საუბარში ჩემბერლენმა ჟენევაში განაცხადა, რომ ინგლისი ლიბერალურ პოლიტიკას ატარებს ეროვნული მოძრაობის მიმართ ჩინეთში და სცნობს, რომ არსებული ხელშეკრულობანი ჩინეთთან მოძველდა და ახალით უნდა შეიცვალონ, როგორც კი ჩინეთში შეიქმნება ახალი, მთელი ჩინეთისათვის საერთო მთავრობა და მოისპობა სამოქალაქო ომი. მაგრამ ინგლისი სცდილობს ძალაში დასტოვოს უცხოელთა დევნა მანამ, სანამ ჩინეთის განვითარება არ მივა იმ დონემდე, როცა ჩინეთის კანონები უცხოელებს საკმაოდ დაიცავენ.

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის საკითხზე ჩემბერლენმა განაცხადა:

„ჩვენი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან ამჟამად ცუდია. საბჭოთა მთავრობის მტრული პოზიცია ძალიან აძნელებს ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გაუმჯობესებას. ეხლა შექმნილი მდგომარეობის შეცვლა შეუძლია მხოლოდ ფაქტებს და არა სიტყვებს. რაც შეეხება ინგლისის განზრახვას შექმნას სახელმწიფოების ანტისაბჭოთა ფრონტი, მე უარვყოფ ამ განზრახვას წარსულში, აწმყოში და მომავალში“. (ადს).

საბჭოთა პრესა

ბრძოლა კულტურული ყოფა-ცხოვრებისათვის

მუშათა და გლეხთა მასსები მეფის რეჟიმის დროს ძალიან ჩამორჩენილი იყვენ კულტურულად. რევოლიუციამდე მხოლოდ „მაღალი საზოგადოებისათვის“ იყო ხელმისაწვდომი კულტურული ცხოვრება. საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც კაპიტალისტებისა და მემამულეების ეკონომიურ-პოლიტიკურ ბატონობისგან მშრომელნი გაანთავისუფლა, იბრძვის იმისთვის, რომ აღმოფხვრას უკანასკნელთა სიბნელე და გარდაქმნას, აამაღლოს მათი ყოფა-ცხოვრება, აზიაროს ისინი ნამდვილ კულტურას. „გუდოკ“, რომელმაც სპეციალური ნომერი (52) უძღვნა მასსის კულტურული ამაღლების საკითხებს, შემდეგს წერს ამ მხრივ ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანების შესახებ:

„კულტურა შენდება მატერიალურ საფუძველზე. ფართე და სუფთა ბინის, სკოლების, თეატრების, კლუბების გარეშე არავითარი მასიური კულტურა არ შეიქნება. ყველაფერ ამას ჩვენ ავაშენებთ სახალხო მეურნეობის ზრდასთან ერთად და ავაშენებთ მით უფრო სწრაფად, რამდენად უფრო შეგნებულად და კულტურულად მოვეკიდებით ჩვენს მუშაობას, რომლითაც მატერიალური ღირებულებები იქნება.

მაგრამ უკვე ეხლაც შეგვიძლია უკეთესად მოგვეწყო ჩვენი მუშაობაც და ჩვენი დასვენებაც, ვინემ ამას სინამდვილეში აქვს ადგილი. ლოთობა, ხულიგნობა, ცუდსიტყვაობა, ფიზიკური და სულიერი ჭუჭყი—სილატაკის თანამგზავრებია. მაგრამ საჭიროა ამ თანამგზავრებს შევებრძოლოთ და არ დავაცადოთ, სანამ სილატაკეს ბოლოს მოუღებთ.

მუშათა კლასმა თავისი [illegible] გამოყო მებრძოლნი და [illegible] ხმარენ დაგვეძლია უფრო საშინელი მტერი—ბურჟუაზია და მემამულენი. ეჭვი არ არის, რომ პროლეტარულ წრეში; განსაკუთრებით. რევოლიუციის ათი წლის განმავლობაში, მოგროვდენ არა მცირე წარმომადგენლები, რომელთაც შეეძლებათ უკან გაიყოლონ მთელი მუშათა კლასი კულტურული დაწინაურების გზითაც.

საჭიროა, რათა უფრო მოწინავე, განათლებულმა მუშებმა თავისი კულტურული შეჩვევები შეიტანონ მასებში და არ ჩაიკეტონ თავის თავში. სახელოსნოსა და შინ, კლუბში ან კრებაზე განვითარებულ, კულტურულ მუშას ყოველთვის შეუძლია გავლენა მოახდინოს თავის ნაკლებ კულტურულ მეზობელზე. საჭიროა, რომ თვითეული უკულტურო ყოფა-ქცევა გაკიცხულ იქნეს და არ შევხვდეთ მას გულგრილად ან, რაც უარესია, ფარულად და მით უმეტეს აშკარა მოწონებით. მხოლოდ ამ გზით მოხერხდება ჩვენი საერთო კულტურული დონის ამაღლება“.

ამგვარად, ჩვენ წინაშე დგას მასსების კულტურული ამაღლების ამოცანა. რა თქმა უნდა, ეს არ არის მარტო წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა, თუმცა უკანასკნელი ერთი ძირითადი პირობათაგანია მასსის კულტურული დონის ასაწევად. ლაპარაკია ახალი ყოფა-ცხოვრების შექმნაზე, ისეთ კულტურულ მოთხოვნილებათა და გემოვნების განვითარებაზე, როგორც პირად. ისე ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომელნიც შეიარაღებენ სოციალისტურ საზოგადოების მშენებელთ. ამ მიზნის განხორციელებაში კულტურულად განვითარებულ მუშებს უეჭველად დიდი როლის შესრულება შეუძ

იტალია და ბესარაბიის საკითხი

რომი, 9 მარტი. 7 მარტს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს კამენევს გადასცეს იტალიის მთავრობის ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ გადაწყვეტილია რატიფიკაცია უყონ 1920 წლის 28 ოქტომბრის ოქმს ბესარაბიის რუმინიისათვის შეერთების შესახებ.

ნოტას ხელს აწერს მუსოლინი. (ადს).

ბერლინი, 9 მარტი. იტალიის დელეგაციამ ჟენევაში გამოაქვეყნა დეკლარაცია იმ ოქმის (1920 წ. 26 ოქტომბრის) რატიფიკაციის გამო, რომელიც შეეხება ბესარაბიის შეერთებას რუმინიისათვის. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ იტალია რატიფიკაციას აყოვნებდა, რათა ამით საშუალება მიეცა დაინტერესებულ სახელმწიფოთათვის შეთანხმებულიყვნენ ბესარაბიის საკითხში.

„ეს რატიფიკაცია, ნათქვამია დეკლარაციაში, სრულიადაც არ ნიშნავს არამეგობრულ მოქმედებას საბჭოთა კავშირის მიმართ, რომელთანაც იტალია მეგობრულ ურთიერთობაშია, კერძოდ ამ შემთხვევაში საკითხი ეხება მხოლოდ შეთანხმების შესრულებას, რომელზედაც იტალიას არ სურდა უარი ეთქვა. ყოველ შემთხვევაში რატიფიკაციას არ შეიძლება მიეწეროს ისეთი მნიშვნელობა, რომელიც თვით ოქმის ფარგლებს შორდება“.

ერთა ლიგის წრეებში ფიქრობენ, რომ ოქმის რატიფიკაცია იტალიის მიერ არა მარტო ულვამს ხაზს იტალია-რუმინეთის დაახლოვებას, არამედ ეთანხმება ინგლისის პოლიტიკის ახალ კურსს. (ადს).

ჩემბერლენის გულახდილობა

ბერლინი, 9 მარტი. იტალიის მიერ ბესარაბიის ოქმის რატიფიკაციის გამო, ჩემბერლენმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: დღეს გამოქვეყნებული ნოტა იტალიის მიერ ბესარაბიის ოქმის რატიფიკაციის შესახებ უნდა გავიგოთ ისე, რომ დიდ სახელმწიფოსათვის მეტად საძნელო საქმეს წარმოადგენს ფრიად ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ დაამტკიცოს მის მიერვე ხელმოწერილი კონვენცია. **ჩემი და მუსოლინის უკანასკნელი შეხვედრის დროს საკითხი ბესარაბიის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ განხილული იყო მხოლოდ ამ მიმართულებით.** (ადს).

ბრძოლა ჩინეთში

იმპერიალისტების მთლიანი ფრონტის წინააღმდეგ

ბერლინი, 8 მარტი. შვეიცარიის კომპარტიამ ბაზელში მოაწყო მასიური მიტინგი ჩინეთის ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობისადმი სოლიდარობის ნიშნად. მიტინგზე, რომელსაც დაესწრო 2.000 კაცი, სიტყვები წარმოსთქვეს ველტი ბოდელმანმა (ბრიუსელის ანტიიმპერიალისტურ კონგრესის მონაწილე) და გომინდანის წარმომადგენელმა. ბოდელმანი შეეხო ინგლისის ნოტას და იმპერიალისტების ზრახვებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (ადს).

კანტონელები წინ მიიწევენ

ნიუ-იორკი, 8 მარტი. „ასოშიეიტედ პრესის“ სააგენტოს ცნობით, ნაციონალურმა ჯარებმა დაიკავეს ვუხუ მდინარე იან-ცზიზე ანხოის პროვინციის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ანხოის პროვინციის გუბერნატორი ჩენ-ტინ-იუ გადავიდა ნაციონალური მთავრობის მხარეზე და მისი ჯარები ნაციონალურ ჯარების იმ ნაწილთან ერთად. რომელთაც დაიკავეს ვუხუ, ზურგიდან ემუქრებიან ჩჟან-ჩჟუნ-ჩანს. (ადს).

კანტონელებს უერთდებიან

ნიუ-იორკი, 8 მარტი. „ჩიკაგო ტრიბიუნ“ იტყობინება, რომ ბატავიიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ჰოლანდიის ინდოეთის ჩინელები გადმოდიან ჩინეთში და უერთდებიან ნაციონალურ არმიას (ადს).

წინასწარი ცენზურა

პეკინი, 8 მარტი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ პეკინის პოლიციამ გამოაქვეყნა ახალი ინსტრუქციები, რომლის თანახმად ყველა ცნობები, გამოქვეყნებამდე უნდა გატარდეს წინასწარ ცენზურაში. (ადს).

მუკდენელი გენერლები მოუწოდებენ უ-პეი-ფუს თანამშრომლობისაკენ

პეკინი, 8 მარტი. სამმა მუკდენელმა გენერალმა გაუგზავნა უ-პეი-ფუს დეპეშა, რომელშიც მოითხოვენ, რომ მან შესწყვიტოს წინააღმდეგობის გაწევა მუკდენის ჯარებისათვის ხენანში შესვლაზე.

„ჩჟან-ცზო-ლინი, — ნათქვამია დეპეშაში, — მუდამ მსურველი იყო თქვენთან კავშირის და ამჟამადაც მზად არის თანამშრომლობს თქვენთან. თქვენ არა ერთხელ განაცხადეთ, რომ მზად ხართ მოწინააღმდეგის მიმართ შეტევაზე გადასვლაზე, მაგრამ არას დროს არ შეგისრულებიათ ეს. მუკდენი არ მოითმენს, რომ პროვინცია ხენანის ქალაქები, რომელთაც აქვთ სტრატეგიული პუნქტების მნიშვნელობა დარჩეს იმათ ხელში, ვინც მფარველობს წითლებს“.

პოლიტიკურ წრეებში ამ დეპეშას სთვლიან უ-პეი-ფუს უკანასკნელ გაფრთხილებათ. (ადს).

შანდუნელები უკან იხევენ

შანხაი, 9 მარტი. ეროვნული ჯარების წინსვლა სუ-ჩჟოუს მიმართულებით (75 კილომეტრის მანძილზე შანხაიდან დასავლეთით) აიძულებს შანდუნელებს უკან დაიხიონ.

სუნ-ჩუან-ფანის ჯარების ევაკუაცია შანხაის რაიონიდან გრძელდება.

იუწყებიან, რომ ურთიერთობა შანდუნელებისა და სუნ-ჩუან-ფანის ჯარების შორის დღითი-დღე უარესდება. ხმების მიხედვით, სუნ-ჩუან-ფანის ჯარებს შორის წარმოიშვა ძლიერი მიმართულება, რომელიც ეროვნული ჯარების მხარეზე გადასვლის მომხრეა. (ადს).

შანხაი.—ქალაქის ჩინური ნაწილი

ინგლისი მხოლოდ ძალას უწევს ანგარიშს

პეკინი, 8 მარტი. [illegible] შესახებ გამოაშკარავა უკიდურესი აზრთა სხვადასხვაობა ორივე მხარეს შორის. ამ აზრის სხვადასხვაობას გაცხოველებით იხილავენ ჩინეთის საზოგადოებრივ წრეებში, რომლებიც აღნიშნავენ რომ **ინგლისმა ხანკოუში ქედი მოიხარა ძალის წინაშე, ხოლო პეკინში კი განაგრძობს ჯიუტობას. ვინაიდან პეკინის მთავრობა სარგებლობს ზეგავლენის მხოლოდ დიპლომატიური მეთოდებით.**

ჩჟან-ცზუ-ჩანი ვერ შეინარჩუნებს პოზიციებს

შანხაი, 9 მარტი. „ასოშიეიტედ პრეს“-ის შანხაელი კორესპონდენტი იუწყება:

„უფრო ნათელი ხდება, რომ ჩჟან ცზუნ-ჩანი ვერ შესძლებს პოზიციის შენარჩუნებას და ვერ მოაგვარებს საქმეს ნაციონალისტებთან. ნაციონალისტები ამტკიცებენ, რომ მათ ხელშია ან-ხოის პროვინციის დიდი ნაწილი ლუ-ჩჟოუმდე, რომელიც 50 კილომეტრის მანძილზე იმყოფება ან-ცზინიდან სამხრეთისაკენ. ჩჟან-ცზუნ-ჩანის ხელშია კიდევ პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილი და მათ შორის ტიან-ცზინ-პუკოუს რკინის გზა. (ადს).

უცხოელთა ჯარების რაოდენობა შანხაიში

შანხაი, 8 მარტი. [illegible] ჯარების [illegible] 15.000 [illegible] პოლიციის [illegible]

რაც შეეხება შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს, საზღვაო ქვეითი ჯარის საერთო რაოდენობა უდრის 2.500 კაცს, რომელნიც სამხედრო გემებზე იმყოფებიან.

შეერთებული შტატების სამხედრო გემების რიცხვი 12-მდე აღწევს.

იაპონიის ძალები შესდგებიან 3.000 საზღვაო ქვეითი ჯარებისაგან, რომელნიც გემებზე იმყოფებიან.

საფრანგეთის ძალები შესდგება 400 ჯარისკაციდან, ამ რიცხვში არ შედიან ანამიტები, რომელნიც ამას წინედ შეუერთდენ საფრანგეთის კონცესიის პოლიციის ძალებს.

იტალიას ყავს 200 საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი, რომელნიც გადმოსხეს ინგლისის ძალებთან ერთად და იცავენ საერთაშორისო კვარტალის საზღვრებს.

გარდა ამისა, ნავთსადგურში არის იტალიის 4 სამხედრო გემი. ნავთსადგურში ჰოლანდიას და ესპანეთსაც აქვთ თითო სამხედრო გემი. (ადს).

ჩინეთის ამბები

ბრძოლა ბიუროკრატიზმთან

ამხ. ტომსკისა და ორჯონიკიძის მიმართვა

ყველა პროფორგანიზაციებისადმი, პროფკავშირების წევრებისადმი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიების ორგანოებისადმი

მოსკოვი, 9 მარტი. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის თავმჯდომარემ და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარმა ამხ. **ორჯონიკიძემ** და საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ტომსკიმ** მიმართეს ყველა პროფორგანიზაციებს, პროფკავშირების წევრებს, საკონტროლო კომისიების და მუშათა და გლეხთა ინსპექციების ორგანოებს მოწოდებით ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ.

ცენტრალური საკონტროლო კომისია, მუშათა და გლეხთა ინსპექცია და საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭო —ნათქვამია მიმართვაში — მთავარ ყურადღებას აქცევენ მუშაობას სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის გასაუმჯობესებლად, ბრძოლას ბიუროკრატიულ გადამახინჯებათა წინააღმდეგ, როგორიც არის: აპარატის სიდიდე, გაბერილი შტატები, ინსტანციების და საფეხურების სიმრავლე, რთული, უმსგავსოთ გაჭიანურებული ანგარიშიანობა, უყურადღებობა მუშისა და გლეხისადმი ჩვენს სახელმწიფო აპარატში. ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ აუცილებლად წააწყდება დიდ დაბრკოლებებს, რომელთა დაძლევა შეიძლება მხოლოდ თვით მასების აქტივობით. დახავსებული ტრადიცია, რომელიც ბორკავს ინიციატივას და თვითმოქმედებას, მასების ჩამოცილება, ხშირად შტატის შემოკლების შიში და ამასთან დაკავშირებით ეხლანდელ დროისათვის ზედმეტ ფუნქციების დაკისრება, ყოველივე ეს ასაზრდოვებს ბიუროკრატიულ წინააღმდეგობას აპარატის მხრივ. ეს წინააღმდეგობა შეიძლება დაძლეულ იქნეს მხოლოდ იმ გზით. რომელზედაც მრავალჯერ მიგვითითებდა ლენინი. „რომელი სხვა საშუალებით შეიძლება ბიუროკრატიზმის აღმოფხვრა, თუ არა მუშებისა და გლეხების ჩაბმით ამ საქმეში. თუ ჩვენ გვინდა ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, ამ საქმეში უნდა ჩავაბათ ქვედა ფენები“.

ცენტრალური საკონტროლო კომისია, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი და საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭო წინადადებას იძლევიან. მუშათა და გლეხთა ინსპექციებმა და მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა ჩააბან თავიანთ მუშაობაში პროფკავშირებში გაერთიანებული მუშათა მასები პროფესიონალური კავშირების მთელი სისტემის შემწეობით, დაწყებული საქარხნო კომიტეტებიდან, საწარმოო თათბირებიდან, ადგილკომებიდან და ეკონომიურ კომისიებიდან. პროფკავშირებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიაღებინონ მუშა - მოსამსახურეებს სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების გამოკვლევაში და შემოწმებაში, რასაც მუშათა და გლეხთა ინსპექცია აწარმოებს. მათ უნდა შეიმუშაონ მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან ერთად ისეთი ღონისძიებები, რომელთა შემწეობით შესაძლებელია აღმოჩენილ ნაკლულოვანებების აღმოფხვრა. პროფესიონალურმა ორგანოებმა უნდა დარაზმონ მუშათა მასების „ბიუროკრატიულ ბოროტების კონკრეტიულ მატარებლებთან“ საბრძოლველად და მათ გამოსამჟღავნებლად. საკავშირო რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებმა და მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა ჩააბან პროფკავშირები თავიანთი მუშაობის გეგმების შემუშავების საქმეში. საბჭოთა აპარატში საქმის გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში პროფკავშირებმა უნდა მიმართონ საკონტროლო კომისიების და მუშათა და გლეხთა ინსპექციების დახმარებას. უკანასკნელებმაც თავის მხრივ სავსებით უნდა გამოიყენონ პროფკავშირების მიერ მიღებული საჩივრები საბჭოთა აპარატის ნაკლულოვანებებზე და ყოველივე ზომები უნდა მიიღონ მათ აღმოსაფხვრელად. ამ მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა და გლეხთა ინსპექციებთან არსებულ საჩივართა ბიუროების მუშაობის გამოცოცხლებას; საჩივრების გარჩევას უნდა ესწრებოდენ მუშათა და გლეხთა წარმომადგენლები.

საკონტროლო კომისიებს, მუშათა და გლეხთა ინსპექციებსა და პროფკავშირებს შორის მუდმივი საქმიანი კავშირის დასამყარებლად აუცილებლად განხორციელებულ უნდა იქნეს ზევიდან ქვევით საკონტროლო კომისიების—მუშათა და გლეხთა ინსპექციების პრეზიდიუმების წევრების ურთიერთ მონაწილეობა. საგუბერნიო პროფსაბჭოების, ცალკე პროფკავშირების პრეზიდიუმების სხდომებზე და პირიქით, საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭო და ცენტრალური საკონტროლო კომისია ყველა ორგანოების და პროფესიონალურ ბეჭდვითი სიტყვის განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ იმას, რომ საჭიროა საკონტროლო კომისიების და მუშათა და გლეხთა ინსპექციების მუშაობის სისტემატიურად გაშუქება პროფკავშირთა პრესაში, მასალების გამოყენება საკონტროლო კომისიებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციების მუშაობისათვის და ბეჭდვითი სიტყვის ბრძოლის გაძლიერება ბიუროკრატიულ გადამახინჯებათა წინააღმდეგ საბჭოთა აპარატში. (ადს).

„ძალადობის კულმინაციური პუნქტი“

ლონდონი, 8 მარტი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ თემთა პალატაში, როდესაც ირჩეოდა საკითხი ჩინეთში ჯარის გასაგზავნათ დამატებით 960 ათასი გირვანქა სტერლინგის გადადების შესახებ, გამოვიდა მუშათა პარტიის დეპუტატი **კლაინსი,** რომელმაც განაცხადა, ჩინეთის მოთხოვნილებები სამართლიანი და გონივრულია. მან აღნიშნა, რომ ჩინეთში ინგლისის ვაჭრობის დაცემის მიზეზი არის თვით ინგლისის მიერ წარმოებული საგარეო პოლიტიკა. ამასთან ერთად კლაინსმა განაცხადა:

„ბუნებრივია, როცა პარტიული მოსაზრებით ამტკიცებენ, თითქოს ინგლისის ვაჭრობა შეაფერხა რუსეთის პროპაგანდამ. მაგრამ თუ ინგლისის რეპუტაცია ქვეყნის რომელიმე კუთხეში ველარ უძლებს რუსეთის პროპაგანდას, მით უარესი ინგლისის რეპუტაციისათვის“.

მუშათა პარტიის დეპუტატმა **ლოურენომ** განაცხადა, რომ მუშათა პარტია ინგლისური ჯარების გაგზავნას ჩინეთში სთვლის იმ ძალადობათა კულმინაციურ პუნქტად, რომელთაც ინგლისი მიმართავს გონივრულ ღონისძიებათა მაგივრად.

მუშათა პარტიის დეპუტატი **ვეჯვუდი** მოითხოვდა, რომ ინგლისმა მთელი ჩინეთის მთავრობად სცნოს სამხრეთის მთავრობა. ამ თავის წინადადებას იგი ასაბუთებდა იმით, რომ სამხრეთის მთავრობა ნაკლებ მილიტარისტულია, უფრო დემოკრატიულია და უფრო მეტად გამსჭვალულია მაღალი იდეალებით, ვიდრე ტირანები, რომელნიც ჩინეთის დანარჩენ კუთხეებში ბრძანებლობენ.

მუშათა პარტიის დეპუტატების საპასუხოდ სამხედრო მინისტრმა **ვორტინგტონ ევანსმა** განაცხადა:

ინგლისური ჯარების გაგზავნა ჩინეთში არ არის გამოწვევა. ეს ჯარები შანხაის გაამაგრებენ იმდენად, რომ მას თავს არ დაეცენ, და თუ არავითარი თავდასხმას ადგილი არ ექნება, მაშინ, ალბათ ჯარებიც არ იქნებიან გამოყენებულნი.

დამატებითი თანხები ჯარების გასაგზავნად მიღებულია 303 ხმის უმრავლესობით 124 ხმის წინააღმდეგ. (ადს).

საბჭოთა კავშირი და ლატვია

ლატვია—საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების სასარგებლოთ.

რიგა, 8 მარტი. ლატვიის სოც. დემოკრატიის ორგანო „სოციალ-დემოკრატეს“ მოწინავე წერილში მოითხოვს, რათა ლატვიამ საბჭოთა კავშირთან დასდოს დამოუკიდებელი საგარანტიო ხელშეკრულება, თუ ესტონეთი არ შეუერთდება ასეთ ხელშეკრულებას (ადს).

ლიტვია საგარანტიო პაქტის მომხრეა

ჰელსინგფორსი, 8 მარტი. მუშათა ორგანიზაციების „იზვესტია“ სწერს, რომ ლატვია ამჟამად ერთად ერთი განაპირა სახელმწიფოა, რომელიც სცდილობს რეალურ შედეგებს მიაღწიოს საბჭოთა კავშირთან საგარანტიო პაქტის დადების საქმეში. გაზეთი აცხადებს, რომ ფინეთის გარეშე საქმეთა მინისტრი, რომელმაც უარი განაცხადა საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების განახლებაზე, ფინეთის საგარეო პოლიტიკას სავსებით აშკარად უკავშირებს ერთა ლიგის ავანტიურებს. (ადს).

საბერძნეთ-სამხრეთ სლავიის ურთიერთობა

ვენა, 9 მარტი. უკანასკნელ ხანებში საბერძნეთ—სამხრეთ-სლავიის ურთიერთობა შესამჩნევად გაუარესდა. ურთიერთ შორის გამწვავება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ საბერძნეთის მთავრობამ უარი განაცხადა პანგალოსის დიქტატურის დროს სალონიკ—გევგელის რკინის-გზის შესახებ დადებულ ხელშეკრულების დამტკიცებაზე და წინადადება მისცა ამ საკითხის მოსაგვარებლად სულ სხვა საფუძველზე ახალი მოლაპარაკების დაწყების შესახებ. სამხრეთ-სლავიის პრესა საბერძნეთის ასეთ მოქცევას უწოდებს „პროვოკაციულსა და ცინიკურს“ და საბერძნეთის ასეთ პოზიციას მიაწერს ინგლისის გავლენას. სამხრეთ-სლავიის გაზეთები საბერძნეთის განცხადებას სთვლიან ინგლისის მიერ საბერძნეთისადმი წარდგენილ წინადადებების შესახებ რამოდენიმე ხნის წინად გამოქვეყნებულ ცნობების დადასტურებად; ამ ცნობებს ძალიან გაურკვევლად უარჰყოფს ინგლისის პრესა.

პანების რესპუბლიკაში

შეტაკება პოლიციასთან

ვარშავა, 8 მარტი. 7 მარტს ჩენსტოხოვში უმუშევრებს შეტაკება ქონდათ პოლიციასთან. პოლიციამ დასჭრა 15 მუშა. (ადს).

პანების სასამართლო

ვარშავა, 8 მარტი. ლიუბლინის სასამართლომ გამოუტანა განაჩენი 42 ბრალდებულს, რომელთაც ბრალად სდებდენ „კომუნისტურ მუშაობას“. 18 ბრალდებულს მიესაჯა საერთოდ 48 წლის ციხე. დანარჩენი ბრალდებულები გამართლეს. (ადს).

„სტუმრად“ რუმინეთში

პარიზი, 8 მარტი, საფრანგეთის ესკადრა რუმინეთში ჩავა 19 მარტს. ესკადრა რუმინეთის წყლებში დარჩება 5 დღეს. ის შესდგება 3 კრეისერისა და 4 ნაღმოსანისგან. (ადს).

ამხ. არალოვის გამომგზავრება

რიგა, 9 მარტი. 9 მარტს რიგიდან მოსკოვში გამოემგზავრა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. **არალოვი.** სადგურზე გამოცილებას დაესწრენ ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი **ცელენსი,** ლატვიის ელჩი მოსკოვში **ოზოლსი,** საბჭოთა კავშირის პოლიტ. წარმომადგენელი ლატვიაში **ლორენცი** და სხვები.

საბჭოთა კავშირის მხრით მოლაპარაკებას ლატვიის მთავრობასთან შემდეგში უხელმძღვანელებს **ლორენცი.**

მზადება თავდასხმისათვის

(„იზვესტია“-ს მოწინავე წერილი)

ამ დროს, როდესაც ჟენევაში ერთა ლიგის ღია სხდომებზე არჩევენ მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხებს, ლიგის კულისებს შიგნით სწარმოებს ინტენსიური დიპლომატიური მუშაობა. მოლაპარაკება ჩემბერლენსა და ბრიანს შორის, ჩემბერლენსა და შტრეზემანს შორის, შტრეზემანსა და ბრიანს შორის, —აი, რით ხასიათდება ეს მუშაობა. ამ მუშაობის მიმართულებაზე ლაპარაკობს მთელი ევროპის პრესა და ის ამ შემთხვევაში აღარ მალავს, რომ ამ „საუბრების“ კვანძს წარმოადგენს „რუსეთის საკითხი“.

მთელი გერმანიის პრესის ერთსულოვანი განცხადებით, ჩემბერლენი აშკარად სცდილობს ევროპის მსხვილ სახელმწიფოების დაყაბულებას შეთანხმებულ გამოსვლაზე, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიური იზოლიაციის მიზნით. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ჟენევაში წამოჭრილია საბჭოთა კავშირისათვის გაერთიანებული ნოტის გაგზავნის აზრი. ჟენევაში პროექტის ავტორებს მშვენივრად ესმით, რომ პოლონეთისა და გერმანიის მონაწილეობის გარეშე საეჭვოა საბჭოთა კავშირის იზოლიაციის განხორციელება.

ამ მიზნით ყველა ზომებს ხმარობენ, რომ გერმანია და პოლონეთი ჩაითრიონ „საერთო თამაშში“. გერმანიის ჩათრევის გეგმამ ანტი-საბჭოთა ფრონტის ორბიტაში გამოიწვია ნახევრად ოფიციალური გაზეთის „დოიჩე დიპლომატიშე პოლიტიკშენ კორესპონდენტის“ განცხადება, რომელშიც ის ამტკიცებს, რომ „გერმანიას არავითარ შემთხვევაში არა აქვს განზრახული ჩაებას აშკარად გამოხატულ ანტი-საბჭოთა ფრონტში“.

ჩვენ მხრივაც ვფიქრობთ, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ეკონომიური და პოლიტიკური ღირებულება გერმანიისთვის, ურთიერთობის, რომელიც თანდათან ღრმავდება, დაწყებული 1921 წლიდან, წარმოადგენს ფაქტორს, რომლის ამოშლაც ასე ადვილი არ არის გერმანიის ომის შემდგომი ისტორიიდან.

მოსკოვი, 9 მარტი.

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა

შუბლმაგარნი არ ცხრებიან

ლონდონი, 8 მარტი. გრძელდება ინგლისის მინისტრების საჯარო გამოსვლები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ინდოეთის საქმეთა მინისტრმა ბირკენხედმა და გარეშე საქმეთა მინისტრმა ხიქსმა თავიანთ სიტყვებში გაიმეორეს მოძველებული ფრაზები „რუსეთის აგენტების“ შესახებ. (ადს).

ჩემბერლენი ცუდ გუნებაზე დადგა

ლონდონი, 9 მარტი. „დეილი ჰერალდი“-ს ცნობით, ჩემბერლენი ჟენევაში ჟურნალისტებთან საუბრის დროს იყო ალერსიანი, მშვიდი და, წარმოიდგინეთ მხიარულიც, მაგრამ, როგორც კი მას მოესმა სიტყვა „საბჭოთა კავშირი“, სახეზე ღიმილი გაუქრა, და ხმაც მისი უფრო მკაცრი და მრისხანე შეიქნა. (ადს).

ამერიკული პრესა ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ნიუ-იორკი, 9 მარტი. ამერიკული პრესის ევროპიული კორესპონდენტები ერთხმად აღნიშნავენ ინგლისის მიერ მიღებულ ღონისძიებებს და ცდებს ერთიანი ანტი-საბჭოთა ფრონტის შესაქმნელად.

„უორლდი“-ს ჟენეველი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ინგლისი სცდილობს შემოარტყას საბჭოთა კავშირს რკინის სალტე.

„ნიუ-იორკ ტაიმს“-ის პარიზელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ჟენევაში სწარმოებს მოლაპარაკება ევროპიულ სახელმწიფოთა პოლიტიკის შესახებ საბჭოთა კავშირის და ჩინეთის მიმართ. გაზეთი წინასწარმეტყველებს, რომ ევროპიელი სახელმწიფოები ვერ შესძლებენ მიაღწიონ შეთანხმებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთიანი პოლიტიკის წარმოების შესახებ. (ადს).

ინგლისელების დემონსტრაცია ნიკარაგუაში

ნიუ-იორკი, 9 მარტი. ინგლისის კრეისერი, რომელიც ნიკარაგუაში იყო, ვითომდა იმის გამო, რომ შეერთებულმა შტატებმა უარი განაცხადეს ინგლისელ მოქალაქეთა უშიშროების გარანტიაზე, უკვე წავიდა, თუმცა მდგომარეობა არ შეცვლილა. შტატების დამხმარე ძალები არ მოსულა.

ალსანიშნავია, რომ ინგლისის კრეისერის წასვლა ნიკარაგუადან ხდება შეერთებული შტატების ჯარების პარადს შანხაიში. ეს ამტკიცებს იმ ვერსიას, რომ ინგლისის დემონსტრაციას ნიკარაგუაში მიზნად ჰქონდა იძულებული გაეხადა შტატები მიეღო მონაწილეობა შანხაის ინტერვენციაში. (ადს).

კრედიტები საბჭოთა კავშირში ექსპორტისათვის

ვენა, 9 მარტი. ავსტრიის კანცლერმა ზეიპელმა სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ავსტრიის მთავრობა სასურველად სცნობს საპარლამ. არჩევნებამდე გაატაროს კანონპროექტი იმის შესახებ, რომ ავსტრიის ექსპორტს საბჭოთა კავშირში მისცეს კრედიტის გარანტია.

ქრისტიანული სოციალისტების მმართველ პარტიას სურს ისარგებლოს კანონ-პროექტის სწრაფი გატარებით წინასწარ საარჩევნო აგიტაციის მიზნით. (ადს).

მიწისძვრა იაპონიაში

ტოკიო, 8 მარტი. საბოლოო ცნობები მიწისძვრის შედეგების შესახებ ჯერ არ არსებობს, მაგრამ არასრული ცნობების მიხედვით 4 ქალაქი სავსებით დანგრეულია. ადამიანთა მსხვერპლი დაახლოვებითი გამოანგარიშებით რამდენიმე ათასს უდრის.

მიღებულია ცნობა, რომ მიწისძვრა კიდევ მოხდა, მაგრამ ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

პროვინცია კიოტოს გუბერნატორის მიერ მიღებული ცნობებით მიწისძვრისაგან დაზარალებულთა საერთო რიცხვი პროვინციაში უდრის 4.774 კაცს, რომელთაგან 1.699 მკვდარია. მხოლოდ ერთ ოლქში — ტანგოში დაინგრა და დაიწვა 7.175 სახლი. (ადს).

ტოკიო, 8 მარტი. შიმბურენგოს სააგენტო იუწყება, რომ იავატაკაში მიწისძვრისაგან გაჩენილმა ხანძარმა გაანადგურა 100-ზე მეტი სახლი. ქალაქები კაიეცუ და იამადა დანგრეულია. იუწყებიან, რომ ოსაკაში მოკლულია 11 კაცი და დაჭრილია 92. დანგრეულია 4 ფაბრიკა და 34 სახლი. (ადს).

რკინისგზელთა მდგომარეობის გაუარესება

პრაღა, 9 მარტი. 8 მარტიდან ძალაში შევიდა სამინისტრო საბჭოს მიერ მიღებული კანონი, რომელიც ადიდებს სამუშაო დროს რკინისგზელებზე, ამცირებს რკინისგზელთა ხელფასს და ითვალისწინებს რკინისგზელთა უფლებრივ მდგომარეობის შევიწროებას.

ეს კანონი, რომელიც შეუთანხმებლია რკინისგზელების პროფკავშირთან, წარმოადგენს მთავრობის მხრით პროფკავშირების უფლებების დარღვევას. მთელს სახელმწიფოში მიმდინარეობს რკინისგზელთა საპროტესტო მიტინგები, რომელზედაც არჩევენ და იხილავენ რკინისგზელების უფლებათა დარღვევის საწინააღმდეგო ზომებს. (ადს).

ბელორუსების დევნა

ვილნო, 9 მარტი. ბელორუსული გაზეთი „ნაშ გლოს“ იუწყება, რომ რკინის გზის ადმინისტრაციამ ვილნოში სამსახურიდან ითხოვს ბელორუსებს—გრომადის წევრებს.

სლონიმის მაზრაში 8 სოფელმა მსხვილი თანხები გადასდეს და ბევრი სურსათი შესწირეს სლონიმის ციხეში მყოფ პოლიტიკურ დაპატიმრებულთა სასარგებლოდ.

იმის გამო, რომ განახლდა მასიური მოძრაობა ბელორუსული სკოლების მოსაწყობად, სკოლების ინსპექტორები პოლიციელთა თანხლებით დადიან სოფლებში. აიძულებენ გლეხობას გააბათილონ თავიანთი ხელის მოწერა ბელორუსული სკოლის გახსნის შესახებ შუამდგომლობაზე და იძულებით აწერინებენ ხელს დაუწერელი ქაღალდის ფურცელზე, შემდეგ თვითონ ინსპექტორები ავსებენ ამ ქაღალდს.

გაზეთი „კურიერ ვილენსკი“, რომელიც ახლო დგას ბარტელთან, აღნიშნავს, რომ ბელორუსიის გრომადის დევნის მიზანია—ანტისახელმწიფოებრივი სულისკვეთების ლიკვიდაცია გლეხობას შორის, არ არის მიღწეული. ბოროტმოქმედნი გლეხობის თვალში სიმართლისათვის მებრძოლებად გადაიქცენ. (ადს).

კომუნისტების პირველი პროცესი

რომი, 9 მარტი. საგანგებო ტრიბუნალში დაიწყო კომუნისტების პირველი პროცესი. საბრალმდებლო სკამზე ზის 4 კაცი, რომელთაც კომპარტიის წევრობასთან წაყენებული აქვთ ბრალდება სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყების მოწყობაში, კლასიური შუღლის გაღვივებაში და შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოწოდებაში.

დაკითხვაზე კომპარტიის წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი მართლაც ეკუთვნიან ამ პარტიას.

ტრიბუნალის შენობას ფაშისტური მილიციის გაძლიერებული რაზმი იცავს. (ადს).

შეთანხმებულებმა უკან დაიხიეს

ვენა. 9 მარტი. მთავრობა და სოციალ დემოკრატები შეთანხმდენ არსენალში მომხდარ ინცინდენტის შესახებ. როგორც ცნობილია პირველად სოციალ-დემოკრატები იმუქრებოდენ გაფიცვით, იმ შემთხვევაში, თუ კი არსენალში ჩხრეკა განმეორდებოდა. შეთანხმების შინაარსი საიდუმლოდ არის დაცული. გავრცელებული ხმების მიხედვით, ორივე მხარე თანხმაა არ მიმართონ შეიარაღებულ ძალას და ამით ხელი არ შეუშალონ საარჩევნო კამპანიას. მიუხედავათ ამისა მთავრობა მაინც განაგრძობს მუშაობას წვრილი ბურჟუაზიის და გლეხობის ასამხედრებლად სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. (ადს).

თვითმფრინავის დაღუპვა

პარიზი, 8 მარტი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ 6 მარტს აგადირიდან მაროკოში მიღებულია ცნობა, რომ იუბის კონცხიდან 100 კილომეტრის მანძილზე იპოვეს ურაგვაის დამტვრეული ჰიდრომფრინავი. მგზავრები უგზოუკვლოდ დაიკარგენ. 6 მარტს კანარის კუნძულებიდან რადიო იტყობინებოდა, რომ 4 ურაგვაელი მფრინავი უვნებლად ნახეს და დაბანაკებულ იქნენ აიტისენთა ტომებს შორის (ადს).

ლეიპციგის ბაზრობა

ბერლინი, 8 მარტი. ვოლფის სააგენტოს ცნობით, უცხოეთიდან ლეიპციგის ბაზრობაზე ჩამოსულთა რიცხვი 25.000 კაცს აღწევს. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვოლგის განაპირა მხარის გერმანელთა რესპუბლიკის განყოფილება საბჭოთა პავილიონში, რომელშიაც გამოფენილია საბჭოთა კავშირის საექსპორტო საგნები (ადს).

პარტიიდან გამორიცხვა

საბჭოთა კავშირში გამგზავრებისათვის

ბერლინი, 8 მარტი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმმა დაადგინა გამორიცხოს პარტიიდან პაულ ფრიცი (ჰამბურგი), რადგან მან მონაწილეობა მიიღო გერმანიის მუშათა დელეგაციაში, რომელმაც მოიარა საბჭოთა კავშირი. (ადს).

მოჭადრაკეთა ტურნირი

ნიუ-იორკი, 9 მარტი. მარშალ-შპილმანის პარტია უშედეგოდ დამთავრდა. საერთო შედეგები ასეთია: კაპაბლანკა—პლიუს 7, მინუს 3; ნიმცოვიჩი პლიუს 6½, მინუს—3½; ალიოხინი—პლიუს 5, მინუს 5; ვიდმარი—პლიუს 5, მინუს 6. (ადს).

ქალთა პირველი დღე

ხანკოუ, 8 მარტი. 8 მარტს ჩინელ ქალებმა პირველად იდღესასწაულეს მუშა-ქალის საერთაშორისო დღე ხანკოუში, უჩანში და უხანში, 8 მარტი გამოცხადებულ იქნა ქალების უქმეთ. (ადს).

განიარაღების

კონფერენცია

ვაშინგტონი, 8 მარტი. შეერთებულ შტატებსა, ინგლისსა და იაპონიის შორის გრძელდება მოლაპარაკება საზღვაო შეიარაღებათა შეზღუდვის კონფერენციის მოწვევის შესახებ. უკვე ცნობილია, რომ ვაშინგტონის მთავრობა არ მოითხოვს დაჟინებით თავისი პირველი წინადადების გატარებას, რომელიც მიღებულ იქნა ვაშინგტონის კონფერენციის მიერ და რომლის მიხედვითაც საზღვაო შეიარაღება უნდა შეიზღუდოს ასეთი პროპორციით 5:5:3. (ადს).

პოლიციის უფროსის

მოკვლა

ვენა, 9 მარტი. კვირას, ღამით სოფიაში პოლიტიკური პოლიციის უფროსს იკონოვის ქუჩაზე ესროლეს ყუმბარა და მოჰკლეს. გვამთან იპოვეს სახაზინო რევოლვერი, რომლიდანაც ორჯერ იყო ტყვია გასროლილი. მთელი პოლიცია და ჯარი ფეხზე დადგა. ის რაიონი, სადაც მკვლელობა მოხდა, გარშემორტყმულია ჯარებით. ხდება მასიური ჩხრეკა და დაპატიმრება.

ინგლის-საფრანგეთის

სამრეწველო კონფერენცია

ლონდონი, 8 მარტი. 7 მარტს ლონდონში გაიხსნა ინგლის-საფრანგეთის სამრეწველო კონფერენცია: თვითეულ სახელმწიფოდან კონფერენციას ესწრება 15 დელეგატი. კონფერენციის სხდომები დახურულია, მაგრამ ამბობენ, რომ არჩევა ის საკითხები, რომელიც უნდა განიხილოს საერთაშორისო ეკონომიურმა კონფერენციამ; აღნიშნულ კონფერენციას იწვევს ერთა ლიგა ამა წლის მაისში ჟენევაში (ადს).

ნეჯად-ბეი რომში

რომი, 9 მარტი. რომში ჩავიდა ოსმალეთის განათლების მინისტრი ნეჯად-ბეი. (ადს).

პოლონეთის დელეგაციის

მარცხი

ნიუ-იორკი, 8 მარტი. პოლონეთის დელეგაცია, რომელიც შეერთებულ შტატებში იყო გაგზავნილი სესხის შესახებ მოლაპარაკებისათვის, მახლობელ კვირაში დაბრუნდება პოლონეთში. დელეგაციამ ვერავითარ შედეგებს ვერ მიაღწია.

პოლონეთის პოლიტიკური მდგომარეობა აიძულებს ბანკის წრეებს დაუცადონ ჟენევის მოლაპარაკების შედეგებს. რომ ამით განსაზღვრონ თავიანთი პოზიცია პოლონეთის მიმართ. (ადს).

რენეგატები

ახალ პარტიას აღგენენ

ვენა, 8 მარტი. 1923 წელს ბულგარეთის კომპარტიიდან გამორიცხულებმა საკაროვმა, მანოვმა და ტოდოროვმა, რომელნიც ლიკვიდატორულ პოზიციას იცავდენ, გადასწყვიტესდააარსონ ახალი „დამოუკიდებელი სოციალისტური პარტია“. პარტია არ შევა არც ერთ არსებულ ინტერნაციონალში. (ადს).

საბერძნეთ-ოსმალეთის

შეთანხმება

ანგორა, 8 მარტი. ოსმალეთის ოფიციოზი „ხაკიმიეტ მილიე“, უკეთებს რა კომენტარიებს ოსმალეთ-საბერძნეთის შეთანხმებას, რომელიც ეხება ერთი სახელმწიფოს ტერიტორიიდან მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადასახლებულ მოქალაქეთა ქონებას, აღნიშნავს, რომ შეთანხმების მნიშვნელობა სცილდება იმ უშუალო მიზანს, რომლის გამოც იგი იქნა დადებული.

„ხანდახან საკმაოა უმნიშვნელო ჟესტი— სწერს გაზეთი,—რომ მოისპოს საუკუნოებით შექმნილი ცუდი ურთიერთობა. (ადს).

კომუნისტების

გადასახლება

ნიუ-იორკი, 9 მარტი. „ასოშიეიტედ პრესი“-ს კორესპონდენტი სანტიაგოდან იუწყება, რომ ჩილიდან კუნძულ მასაერუსზე (რომელიც 900 კილომეტრის მანძილზე იმყოფება ჩილის დასავლეთით) გადაასახლეს რამოდენიმე ასეული კომუნისტი.

გარდა ამისა, ბევრი კომუნისტი, ლიბერალი და კონსერვატორი დიდი ხანია გადაასახლეს ეკვადორიდან. (ადს).

ვრანგელის ძმის

თვითმკვლელობა

რომი, 8 მარტი, სტეფანის სააგენტო იუწყება:

„ნევრასტენიის ნიადაგზე თავი მოიკლა გენერალ ნიკოლოზ ვრანგელმა (თეთრგვარდიელთა არმიის ყოფ. სარდალის ძმა). (ადს).

გამარჯვებულთა

შურისძიება

ამსტერდამი, 8 მარტი. ბატავიიდან მიღებულ ცნობით, ტიამისში (პრეანგერის პროვინცია კუნძულ იავას დასავლეთ ნაწილში) სასამართლომ გაარჩია სამი მეამბოხის საქმე. ერთს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, მეორეს სამუდამო კატორღა და მესამეს 20 წლის ციხე. (ადს).

თანაგრძნობის დეპეშა

ინგლისელ მემაღაროებს

მოსკოვი, 9 მარტი. ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის მდივანს კუკს რევოლიუციონურ მემაღაროეთა მოქმედების და პროპაგანდის საერთაშორისო კომიტეტმა და აგრეთვე საბჭოთა კავშირის მემაღაროეთა ცეკამ გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიაც ძმურ თანაგრძნობას უცხადებენ ინგლისელ მემაღაროეთა ოჯახებს და ფედერაციას ნოტინჰამშირში მომხდარ უბედურების გამო, რომლის დროს დაიღუპა 50 მემაღაროე. (ადს).

გაფიცვა დასრულდა

ლონდონი, 9 მარტი. რეიტერი კალკუტიდან იუწყება, რომ ბენგალნაგპურის რკინის-გზის რკინის-გზელების კავშირმა დაადგინა შესწყვიტოს 15.000 რკინისგზელი მუშისა და მოსამსახურის გაფიცვა, რომელიც 14 თებერვალს დაიწყო. ეს გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა იმის გამო, რომ მიღწეულია შეთანხმება.

ადმინისტრაციამ უარი განაცხადა კავშირის იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, რომელიც შეეხებოდა სამუშაო ხელფასის მიცემას გაფიცვის განმავლობაში. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საკავშირო კომკავშირის ცეკას პლენუმი

მოსკოვი, 9 მარტი. 18 მარტს შესდგება სრ. საკავშირო კომკავშირის ცეკას პლენუმი.

1927 წლის სესხის რეალიზაცია

მოსკოვი, 9 მარტი. 1927 წლის ახალ სესხზე რეალიზაციის დაწყებიდან ხელისმოწერა შეადგენს მარტო მოსკოვში—54.221 მანეთს. წინასწარი ცნობებით ხელისმოწერის საერთო ჯამი მთელს კავშირში უდრის 62.121.000 მანეთს.

მოჯამაგირეების ინტერესების დაცვა

მოსკოვი, 9 მარტი. სასოფლო მეურნეობის მუშების კავშირის ცეკამ დაიწყო კამპანია მომავალ სასოფლო-სამეურნეო სეზონში მოჯამაგირეებს ინტერესების დასაცავად. ცეკამ სადირექტივო წერილი მიმართა საკავშირო ორგანოებს, რომელთაც წინადადებას აძლევს, რომ ხელფასის ფულადი ნაწილი სახელმწიფო მინიმუმზე ნაკლები არ უნდა იქნესო. (ადს).

1926 წლების სესხის მეორე ტირაჟის მოგებანი

მოსკოვი, 9 მარტი. 7 მარტს სახელმწიფო ბანკში გასანაღდებლად წარმოადგინეს 1926 წლის მომგებიანი სესხის იმ ობლიგაციის ორი მეოთხედი, რომელმაც ხარკოვის მეორე ტირაჟის დროს მოიგო 50.000 მანეთი.

ამ ობლიგაციის ორი მეოთხედის პატრონი მუშაობს მოსკოვის ერთ-ერთ საფეიქრო ფაბრიკაში.

მოგების $^1/_4$—25.000 მანეთი ერგო მოქალაქეს, რომელიც ითხოვდა მისი გვარის საიდუმლოდ შენახვას. ხსენებული მოქალაქე პროფესიით ძველი ნივთების გამყიდველია. (რუმეტალტორგის თანამშრომელმა შაპირომ გასანაღდებლად წარმოადგინა იმ ობლიგაციის $^1/_{10}$, რომელმაც მოიგო 5.000 მანეთი.

ექიმის საჩვენებელი გასამართლება

მოსკოვი, 9 მარტი. მოსკოვის სასამართლომ რომელშიაც რვა დღის განმავლობაში ირჩეოდა ექიმ გოტლიბის საქმე, გამოიტანა განაჩენი. გოტლიბს ბრალდებოდა აბორტების გაკეთება უკანონოთ, რასაც შედეგათ მოჰყვა ორი ქალის სიკვდილი. გოტლიბი იყო რაიონულ საბჭოს წევრი და განაგებდა მოსკოვის ჯანმრთელობის განყოფილების საამბულატორიო განყოფილებას. ის აბორტებს აკეთებდა ანტი-სანიტარულ პირობებში და პაციენტ ქალებს ახდევინებდა დიდ ფასს. გოტლიბთან ერთად პასუხისგებაში მიცემულ იქნა ბებია ქალი ბიტკო და კიდევ რამოდენიმე პირი. სასამართლომ გოტლიბს მიუსაჯა ხუთი წლით დაპატიმრება და აუკრძალა ექიმობა ხუთი წლის განმავლობაში განთავისუფლების დღიდან. ბიტკოს მისჯილი აქვს ერთი წლით დაპატიმრება. (ადს).

სახერხი ქარხანა

ლენინგრადი, 9 მარტი. უსტ-ლუგოში დამთავრდა დიდი სახერხი ქარხნის აგება. ქარხანა მუშაობას დაიწყებს გაზაფხულზე და დაამუშავებს ხე-ტყეს ექსპორტისათვის (ადს).

ყაზახსტანის ახალი დედა ქალაქი

ალმატა, 9 მარტი. ყაზახსტანის დედა ქალაქის ალმატში გადატანასთან დაკავშირებით, იქ ჩავიდა მთავრობის კომისია მთელ რიგ საკითხების გამოსარკვევად.

ნაადრევი გაზაფხული

მოსკოვი, 9 მარტი. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობით, ნაადრევი გაზაფხული მოსალოდნელია კავშირის მთელ ევროპიულ ნაწილში, სამხრეთის გარდა, სადაც გაზაფხული შედარებით დაგვიანებით დადგება. არ არის კატასტროფიული წყალდიდობის საფრთხის ნიშნები, ზოგიერთ ადგილების გარდა, სადაც მდინარეების ადიდებას მაინც და მაინც არ

პრეპარატი „ოსარსოლი“

მოსკოვი, 9 მარტი. სახმედვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ მოაწყო სიფილისის სამკურნალო და საპროფილაქტიკო ახალი პრეპარატის „ოსარსოლის“ დამზადების საქმე. პრეპარატი იხმარება არა შეშხაპუნებით, როგორც ნეოსალვარსანი, არამედ შესმით. პრეპარატი შემოწმებულია უმაღლესი სამედიცინო ორგანოების მიერ და თავისი თვისებებით სრულიად ანალოგიურია ფრანგული სტოვარსოლის და გერმანული სპიროციდის.

საკრედიტო საქმის მოწესრიგება

მოსკოვი, 9 მარტი. მ.-გ. ინსპექციის სახ. კომისარიატის პროექტით, საკრედიტო დაწესებულებათა ყველა თავისუფალი მარაგი უნდა თავმოყრილი იქნეს სახელმწიფო ბანკში. ყველა საკრედიტო დაწესებულებებს, სასოფლო-სამეურნეო ბანკებს გარდა, კრედიტს აძლევს სახელმწიფო ბანკი. პროექტის მიზანია შეამციროს კრედიტის ღირებულება და მოსპოს კონკურენცია საკრედიტო დაწესებულებებს შორის.

პარტიიდან გამორიცხვა

დონის როსტოვი, 9 მარტი. გამორიცხულ იქნა პარტიიდან და სასამართლოს გადაეცა როსტოვის ნავთსადგურის რამოდენიმე პასუხისმგებელი მუშაკი. ნავთსადგურების უფროსთან ერთად. მათ ბრალად ედებათ სამსახურებრივი მდგომარეობის პირადი მიზნებისათვის გამოყენება, გაფლანგვა და სხვა ბოროტმოქმედებანი. (ადს).

საბინაო აღმშენებლობისათვის

მოსკოვი, 9 მარტი. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ საბინაო აღმშენებლობისათვის მიმდინარე წელში საბჭოთა კავშირში გადასდო 88 მილ. მან. (ადს).

პურის შეტანა ამ.-კავკასიაში

მოსკოვი, 9 მარტი. საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა ამიერ - კავკასიაში პურის შემოტანის გეგმა მარტში — 1.125.000 ფ. რაოდენობით.

პურის დამამზადებელ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ მარტში მოუხდინონ ლიკვიდაცია პურის მიწოდების დანაკლისს ამიერ - კავკასიის მებამბეობის რაიონებისათვის იანვრისა და თებერვლის გეგმის მიხედვით. (ადს).

უკრაინა

კინო-ფაბრიკის აგება კიევში

კიევი, 9 მარტი. დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა კინო-ფაბრიკის ასაგებად კიევში. ფაბრიკის აგებაზე დაიხარჯება 2 მილ. მან. იგი აშენდება ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და ერთად ერთი იქნება საბჭოთა კავშირში ნაყოფიერებით და აგრეთვე მოწყობილობით. (ადს).

ბანდიტიზმის ლიკვიდაცია

ოდესა, 9 მარტი. სახელმწ. პოლიტსამმართველომ წითელ-არმიელთა დახმარებით მოუხდინა ლიკვიდაცია 27 კაცის ბანდას, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ყავდა ტერორ ქვეშ რამოდენიმე ოლქის მოსახლეობა.

გლეხები თავიანთ კრებებზე მოითხოვენ ბანდიტების დახვრეტას. (ადს).

ქალთა დაწინაურება

ოდესა, 9 მარტი. 8 მარტს ოდესის მილიციაში საუბნო ზედამხედველის თანამდებობაზე გადაყვანილი იქნა ორი საქმის მწარმოებელი ქალი, რომელნიც 7 წელზე მეტია მუშაობენ მილიციაში. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქალი დაინიშნა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მილიციაში. (ადს).

9.775.000 მანეთი ა.-კავკასიის მრეწველობისათვის

მოსკოვი, 9 მარტი. საკავშირო სახკომისართა საბჭომ დაამტკიცა კრედიტების მიწოდების გეგმა საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს უწყებაში მყოფ სახელმწიფო მრეწველობისათვის, მოკავშირე რესპუბლიკების ს. მ. უ. საბჭოებისათვის და მათ ადგილობრივ ორგანოებისათვის, ელექტრო-აღმშენებლობის გარეშე. საერთო სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამიერ-კავკასიას მიეცემა: ლითონის მრეწველობისათვის—400.000 მანეთი, სათბობი მასალის მრეწველობისათვის—285.000, სამთა-მადნო მრეწველობისათვის 1.460.000 მ., ქიმიურ მრეწველობისათვის—480.000 მანეთი, სატყეო მრეწველობისათვის—1.550.000 მანეთი, საფეიქრო მრეწველობას—3.437.000 მანეთი, სასოფლო მრეწველობას—1.200.000 მანეთი, სილიკატის მრეწველობას—463.000 მანეთი. სულ 9.275.000 მანეთი, ამიერ-კავკასიის სამრეწველო ბანკის გრძელვადიან კრედიტის განყოფილებას მიეცემა: სატყეო მრეწველობისათვის 200.000 მანეთი, საფეიქროსთვის—100.000 მანეთი. სათბობი მასალის და სასოფლო მრეწველობისათვის ორას-ორასი ათასი მანეთი.

მზის და მთვარის დაბნელება 1927 წ.

მოსკოვი, 9 მარტი. ასტრონომიის პროფესორი ბლაჟკოვის ცნობით, მზის მოქმედების გაძლიერების გამო გადიდდება მზის ლაქები და გახშირდება პოლიარული ელვარებანი, რომელთა შემჩნევა შესაძლებელი გახდება ცენტრალურ განედებიდან. მოსალოდნელია ძლიერი ანდამატური ქარიშხლები, რომლებიც ხშირად აფერხებენ ტელეგრაფის და რადიოს მუშაობას.

29 ივნისს მოხდება მზის დაბნელება, რომელიც იქნება არასრული მთელ საბჭოთა კავშირში. სრული დაბნელება მოხდება ინგლისში, შვეციარიაში, ნორვეგიაში, ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეზე და ციმბირის აღმოსავლეთ ნაწილში.

8 დეკემბერს 17 საათზე და 52 წუთზე საბჭოთა კავშირში მოხდება მთვარის სრული დაბნელება, მისი შემჩნევა შეიძლება მსოფლიოს ყოველ კუთხიდან.

მიზნობრივი საბინაო გადასახადი

მოსკოვი, 9 მარტი. საკავშირო სახკომსაბჭომ დაადგინა ადგილობრივ ფინანსების დებულება შეავსოს ახალი მუხლებით, რომლითაც ადგილობრივ ქალაქის საბჭოებს უფლება ეძლევათ მუშათა საბინაო მშენებლობის საჭიროებისათვის შემოიღონ მიზნობრივი საბინაო გადასახადი. ეს მიზნობრივი საბინაო გადასახადი შეიძლება გადახდეს ყველა ფიზიკურ პირს, მის მიერ ქალაქში დაკავებულ საბინაო მოედნის მიხედვით, თუ ისინი იხდიან საშემოსავლო გადასახადს, გადასახადთა განაკვეთის მესამე ცხრილის მიხედვით. მიზნობრივი საბინაო გადასახადის განაკვეთი დაწესდება თვიური სამუშაო ხელფასის მიხედვით, დაკავებულ საცხოვრებელი მოედნის თვითეულ კვადრატიულ მეტრზე 5 კაპიკიდან 2 მანეთ და 50 კაპ.

სახკომსაბჭომ ეს დადგენილება დასამტკიცებლად წარადგინა საკავშირო ცაკის პრეზიდიუმში. (ადს).

ფასების შემცირება

მოსკოვი, 9 მარტი. საკავშირო სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირმა, რომელმაც განიხილა პრაქტიკული ღონისძიებანი შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების (სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შესახებ) განსახორციელებლად, დაადგინა, წინადადება მისცეს ყველა მთავარ სამმართველოებს, რომ სამი დღის ვადაში შეიმუშაონ ღონისძიებათა გეგმა წარმოების ხარჯების შემცირებისათვის და დასახონ მუშაობის საერთო ორგანიზაცია ამ მიმართულებით.

ამ პროგრამების მიხედვით სახ. მეურნ. უმაღ. საბჭო სამეურნეო ორგანოებს მისცემს დირექტივებს.

იმ მიზნით, რომ სწორი შეფარდება დამყარდეს სელისა და პურის ფასებსა და სამრეწველო საქონლის ფასებს შორის, რომ გაძლიერდეს სამრეწველო საქონლის შეტანა სელის რაიონში, რომ მომავალი დათესვის კამპანია უზრუნველყოფილ იქნას სელის თესლის საკმაო რაოდენობით. საკავშ. სახ. კომისართა საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომლითაც ვაჭრობის სახ. კომისარიატს დაევალა ადევნოს თვალ-ყური საცალო ფასების ნამდვილად შემცირებას ამ პროდუქტებზე.

საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ ვაჭრობის სახ. კომისარიატს დაავალა აგრეთვე, რომ სელის რაიონების გლეხობა უზრუნველყოფილ იქნას სამრეწველო საქონლის საკმაო რაოდენობით. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

შემთხვევა ყიზ-ყიშლაღში

ნუხა, 9 მარტი. თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში სოფელ ყიზ-ყიშლაღის საბჭოს წევრად არჩეულ იქნა, აგრეთვე, ადგილობრივი გლეხი - ქალი ნაზლი - ყადა - ყიზი. გაიგო რა ეს ამბავი, მისმა შვილმა ილიასმა სცემა თავის დედას იმისთვის, რომ მან მონაწილეობა მიიღო არჩევნებში.

სასოფლო საბჭომ ამის გამო აღძრა საქმე, ხოლო გლეხი - ქალი განაგრძობს თავის მუშაობას საბჭოში და არც უარი განუცხადებია სადეპუტატო მანდატზე. (ადს).

სომხეთი

აბრეშუმის თესლის რეალიზაცია

ერევანი. 9 მარტი. წარსულ წელს სომხეთში დამზადდა 58.425 კოლოფი აბრეშუმის თესლი, რომლიდანაც 20.000 კოლოფი გაიგზავნა უზბეკისტანში, 10.000 კოლოფი სპარსეთში, 15.000 კოლოფი აზერბეიჯანში და 2.425 კოლოფი გასაღებულ იქნა რესპუბლიკაში. დარჩენილი 5.000 კოლოფი ამ დღეებში გაიგზავნება სპარსეთში, ხოლო ნაწილი გასაღდება ამიერკავკასიის ბაზრებზე. (ადს).

აფხაზეთის საბჭოთა ყრილობა

მეოთხე დღე

დილის სხდომა

სოხუმი, 9 მარტი. აფხაზეთის საბჭოების ყრილობის მეოთხე დღის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ლაკობას მოხსენების თარგმანი აფხაზურ და მეგრულ ენებზე.

საღამოს სხდომა

საღამოს სხდომა მთლიანად მიძღვნილ იქნა ქალთა საერთაშორისო დღესასწაულს. სხდომაში მონაწილეობას იღებდენ ქალაქისა და მაზრების დელეგატები. გამოსულმა ორატორებმა აღნიშნავდენ აფხაზი-ქალის აქტივობის ზრდას. 1924--25 წელში სოფლის საბჭოებში იყო 110 ქალი, 1926 წ. — 249, 1927 წელს სოფლის საბჭოში 358, ხოლო ქალაქის საბჭოში 21 ქალი. ყრილობას აცნობეს, რომ საბჭოთა მოსამსახურეების კლუბში გამართულ საღამოზე პირველად მოიხადეს ჩადრა სოფლიდან ჩამოსულმა 6 თურქ-ქალმა.

სხდომა დასრულდა წარმოდგენით. (ადს).

პარტიული ცხოვრება

ხუთშაბათს, 10 მარტს, საღამოს 6 საათზე, თბილისის აღმასკომის დარბაზში შესდგება

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მ-3-ე პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1) საცალო ფასების დაკლების შესახებ
2) საბინაო მშენებლობის შესახებ.
3) კომუნალურ წარმოებების მდგომარეობა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი: მიხ. კახიანი.

პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა წითელ არმიაში

(საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილება)

მოსკოვი, 9 მარტი. პარტიის ცეკამ მოისმინა წითელი არმიის პოლიტიკური სამმართველოს მოხსენება პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის მდგომარეობისა და სისტემის შესახებ წითელ არმიის ნაწილებში. ცეკამ სცნო, რომ წითელ არმიაში პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის იდეური შინაარსი და მისი ორგანიზაცია სწორია და შეეფერება საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების ამოცანებს.

არმიის პარტორგანიზაციების ორგანიზაციულ და იდეურ განმტკიცების მიზნით და უპარტიო წითელ არმიელებს შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ცეკამ წინადადება მისცა წითელი არმიის პოლიტიკურ სამმართველოს გაატაროს მთელი რიგი ღონისძიებები.

უკრაინის კომპარტიის

ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი

ხარკოვი, 9 მარტი. 26 თებერვლიდან 3 მარტამდე გრძელდებოდა უკრაინის კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის სხდომები.

ამხ. პეტროვსკის მოხსენების გამო საკავშირო კომპარტიის ცეკას პლენუმის მუშაობის შესახებ პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც იგი სავსებით უერთდება საკავშირო კომპარტიის ცეკას პლენუმის გადაწყვეტილებებს და ღებულობს მათ სახელმძღვანელოთ და ცხოვრებაში გასატარებლად.

ამხ. კაგანოვიჩმა გააკეთა მოხსენება უკრაინის კომპარტიის ცეკას პოლიტბიუროს მუშაობის შესახებ, რის შემდეგ ილაპარაკა 41 ამხანაგმა, რომელნიც სრულ სოლიდარობას უცხადებდენ პოლიტბიუროს პოლიტიკურ ხაზს.

ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების გარშემო მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„პლენუმი სავსებით ადასტურებს და იწონებს პოლიტბიუროს პოლიტიკურ და საორგანიზაციო ხაზს და პრაქტიკულ მუშაობას. პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს უკრაინის პარტორგანიზაციის უდავო მიღწევებს მრეწველობის განვითარების ხელმძღვანელობის, მასების ხელმძღვანელობის გაუმჯობესების და გაფართოების მუშების და გლეხობის ძირითად მასების აქტივობის გადიდების, ნაციონალურ პოლიტიკის წარმატებით გატარების, უკრაინის პარტორგანიზაციის ლენინიზმის საფუძველზე ორგანიზაციულ განმტკიცების და საერთო პარტიულ და ნაციონალურ საკითხებში ოპოზიციონურ გადახრების აღმოფხვრის საქმეში. პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს აგრეთვე უპრინციპო ჯგუფების ნაშთების წარმატებით აღმოფხვრას. რეზოლიუცია საგანგებოდ სთვლის ყურადღების გაძლიერებას წითელი არმიის და ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის მიმართ“.

დასასრულ რეზოლიუციაში ნათქვამია:

„უკრაინის პარტიულ ორგანიზაციის მუშაობა სწარმოებს რთულ პირობებში, რომელშიაც საერთო სიძნელეებს ზედ ერთვის ნაციონალური ურთიერთობათა ისტორიული ხლართი.

პლენუმი აღნიშნავს, რომ პირობების სირთულე პარტიისაგან მოითხოვს ძალების მაქსიმალურად დაძაბვას და მთელი პარტიული ორგანიზაციის მჭიდროთ გაერთიანებას საკავშირო კომპარტიის ცეკასა და უკრაინის ცეკას ირგვლივ“.

ამხ. სკრიპნიკის მოხსენების გარშემო კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმის შესახებ, პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სავსებით და მთლიანად უერთდება გაფართოებული პლენუმის გადაწყვეტილებებს და ხაზს“.

რეზოლიუციაში „დნეპროსტროის“ აღმშენებლობის შესახებ ნათქვამია:

„პლენუმი ესალმება საკავშირო კომპარტიის ცეკას გადაწყვეტილებას „დნეპროსტროის“ აღმშენებლობის დაწყების შესახებ მიმდინარე წელს და აუცილებლად სთვლის ამ აღმშენებლობისათვის საჭირო სახსრების დროულად მიწოდებას, რომ ის დამთავრდეს თავის დროზე—[illegible] პლენუმი ავალებს პოლიტბიუროს უზრუნველყოს უკრაინის ორგანოების მონაწილეობა „დნეპროსტროის“ ენერგიის გამოყენებაში და აგრეთვე ავალებს პოლიტბიუროს მხარი დაუჭიროს „დნეპროსტროის“ შუამდგომლობას 1926—27 წლისათვის დამატებით კიდევ 4 მილიონი მანეთის გადადების შესახებ. (ადს).

მეოთხე რაიკომის პლენუმი

გუშინ, საღამოს ექვს საათზე აღმასკომის დარბაზში შესდგა საქართველოს კ. პ. თბილ. ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მესამე პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები.

1) ქალაქის საბჭოს არჩევნების შედეგები ქალაქის რაიონში,
2) პარტაღწერის შედეგები,
3) რაიკომის მიმღები კომისიის დამტკიცება.

ქალაქის საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ ქალაქის რაიონში მოხსენება გააკეთა ამხ. გუდავაძემ.

ქალაქის არჩევნების ჩატარებისათვის სწარმოებდა მოსამზადებელი მუშაობა, რომელშიაც იქნა ჩაბმული საკმაო რაოდენობა მუშებისა და მოსამსახურეების.

საბჭოს არჩევნებისათვის მოსამზადებელ მუშაობის საინფორმაციო კრებებზე მუშა-მოსამსახურეთა დამსწრეთა რაოდენობა უდრიდა 60 პროცენტს.

1 მარტიდან დაიწყო საბჭოს გადარჩევის კამპანია. უპირველესად ყოვლისა მოწვეულ იქნა რაიონის პარტაქტივის კრება, რომელზედაც იქნა გაკეთებული მოხსენება გადარჩევის მეთოდების და ფორმების შესახებ—ამის შემდეგ ეს საკითხი გადატანილ იქნა უჯრედების [illegible]

ქალაქის რაიონში იქნა აღრიცხული ამრჩეველთა რიცხვი სულ 44.000 კაცი, არ იქნა აღრიცხული სხვადასხვა დამბრკოლებელ მიზეზების გამო მხოლოდ 3 პროც.—ამ აღრიცხვაში ცხოველ მონაწილეობას ღებულობდენ ადგილკომები. დელეგატების შერჩევა თბილისის საბჭოში ხდებოდა თანახმად საქართველოს კ. პ. თბილისის კომიტეტის დირექტივისა.

საბჭოს დელეგატებად ქალაქის რაიონში არჩეულია 224 კაცი. საბჭოს დელეგატების შემადგენლობის 59 პროც. მუშებია—კომკავშირელები 10 პროც., ქალები—17 პროც., უპარტიონი—31 პროც.—საბჭოს დელეგატების შემადგენლობის 35 პროც. მოსამსახურეებია. უნდა აღინიშნოს აქტივობის ზრდა. საბჭოს გადარჩევის კრებებზე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ მუშების 72 პროც. საბჭოს გადარჩევის კრებებზე ოჯახის წევრთა დასწრების რაოდენობა უდრიდა 48 პროც., რაიც ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად;—მოსამსახურეთა კი—65 პროც. ჰქონდა ადგილები ზოგიერთ ნაკლსაც. ადგილი ჰქონდა პარტიულ დისციპლინის დარღვევას. ქალაქის რაიონში საბჭოს გადარჩევის კამპანიის ჩატარებიდან მომხსენებელს გამოჰყავს შემდეგი დასკვნა.

1) ჩვენი პარტიული და პროფესიონალური უჯრედები ღებულობდენ საკმაოდ მონაწილეობას გადარჩევის ხელმძღვანელობის საქმეში,
2) საარჩევნო კრებებზე დასწრება იყო დამაკმაყოფილებელი,
3) საგრძნობლად გაიზარდა მუშათა აქტივობა,
4) ს.კ.პ. თბილისის კომიტეტის დირექტივები თითქმის სავსებით გატარებულია ცხოვრებაში. გამონაკლის წარმოადგენს საბჭოში არასაკმაოდ გაყვანილ უპარტიო დეპუტატების რაოდენობა,
5) რაიკომის ხელმძღვანელობა დაბალ პარტიულ ორგანიზაციებზე იყო საკმაო. მოხსენების ირგვლივ გამოვიდენ ამხ. ამხ. [illegible], ბარამიძე, არეშიძე, დარახველიძე და სხვები.

ინფორმაციული მოხსენება ქალაქის რაიონში პარტაღწერის ჩატარების შესახებ გააკეთა ამხ. სლუცკიმ.

პარტაღწერის ჩატარებისათვის რაიკომიდან იქნა გამოყოფილი სპეციალური კომისია. აღწერის ჩასატარებლად ყველა უჯრედებში იქნა გამოყოფილი ორგანიზატორები და შემდეგ იქნა მოწვეული ორგანიზატორების თათბირი აღწერის ჩატარებისათვის პრაქტიკული ღონისძიებათა მისაღებად. ამ ზემოაღნიშნულ კომისიის მიერ იქნა დამუშავებული სპეციალური გეგმა აღწერის ჩატარებისათვის. აღწერაში [illegible] 3.100 კაცი ა. წ. 20 იანვრისათვის. აღწერამ არ გაიარა 115 [illegible] 24 კაცი მუშურ უჯრედებს და 25 კაცი უმაღლეს სასწავლებლებს. აღწერა დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. აღწერამ გაატარა ორგანიზაციის შემადგენლობის 97 პროც.—დარჩა გაუტარებელი 3 პროც. თანახმად ს.კ.პ. თბილისის კომიტეტის დადგენილებისა დამატებითი აღწერა იწარმოებს ა. წ. 1 აპრილამდე.

რაიკომის მიერ იქნა დამუშავებული ორგანიზაციის შემადგენლობის სოციალური მდგომარეობის გამორკვევა, რის გამო იქნა გამოყოფილი სათანადო კომისია ამხ. გუდავაძის თავმჯდომარეობით.

დასასრულს პლენუმმა დამტკიცა რაიკომის მიმღები (პარტიაში) კომისიის საქმეები.

ი.—ია.

მეორე რაიკომის პლენუმი

გუშინ, საღამოს ექვს საათზე მუშათა ცენტრალური კლუბის შენობაში შესდგა მე-2 რაიკომის პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში სხვა საკითხებთან ერთად იდგა საკითხი თბილისის საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ. მოხსენებით ამ საკითხის გარშემო გამოვიდა ამხ. გეურქოვი. რაიკომის წინადადება პლენუმმა—სთქვა მომხსენებელმა, აღნიშნა, რომ საანგარიშო კამპანია ჩვენს რაიონში არ მიდიოდა სათანადო სიცხოველით. ეს აიხსნება იმით, რომ სწორედ ამ კამპანიის ჩატარების მომენტში პარტიული ორგანიზაცია ატარებდა თავის კონფერენციებს და საშუალება არ ჰქონდა სათანადო ხელმძღვანელობა გაეწია კამპანიისათვის. რაც შეეხება უკანასკნელ არჩევნებს უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელის მსვლელობას ემჩნიოდა მეტი სიცხოველე არჩევნებისათვის მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო 10 იანვარს. შექმნილი იქნა საარჩევნო კომისია, რომელსაც უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა რაიკომი. უჯრედები სათანადოთ მონაწილეობდენ მოსამზადებელ მუშაობაში, ასახელებდენ კანდიდატებს და საერთოდ ამზადებდენ ნიადაგს წარმოებებში არჩევნების ჩასატარებლად.

გადარჩევების კამპანია ჩატარდა ორგანიზაციულად. მთელ რაიონში გვქონდა 75 საარჩევნო პუნქტი. ამათგან 47 პუნქტი. გვქონდა ისეთ წარმოებებში, სადაც ჩამოყალიბებულია კომუჯრედები და ამგვარათ ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ პარტიული ხელმძღვანელობით. დანარჩენ პუნქტებს—ხელმძღვანელობდენ პროფორგანიზაციების ფრაქციები.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამრჩეველთა 54,4 პროცენტმა; მუშებმა—56,8 პროც., მოსამსახურეებმა 43,2 პროც.; საარჩევნო კრებებზე დამსწრეთა 42,2 პროც. შეადგენდენ ქალები. განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინეს მსხვილ წარმოებათა მუშებმა, აქ საარჩევნო კრებებს ესწრებოდა ამრჩეველთა 86,3 პროც. ასეთ წარმოებებში დიდი იყო მუშა ქალთა დასწრების პროცენტიც (84,9.)

შეჩერდა რა გადარჩევაზე უჯრედების მიერ გაწეულ ხელმძღვანელობაზე, ამხ. გეურქოვმა აღნიშნა, რომ ეს ხელმძღვანელობა საერთოდ იყო სწორი, არ ჰქონდა ადგილი კანდიდატების თავზე მოხვევის და მბრძანებლობის შემთხვევებს. არჩევნების დროს მთლიანად იყო დაცული პროლეტარული დემოკრატიზმის პრინციპები. რასაკვირველია ზოგ ადგილებში იყო ნაკლულოვანებებიც, რაც უმთავრესად გამოიხატებოდა იმაში, რომ ზოგი პარტიულები და კომკავშირელები არღვევდენ უჯრედების დადგენილებებს და გამოდიოდენ უჯრედების სიის წინააღმდეგ, მაგრამ ასეთი მოვლენები გამონაკლისს წარმოადგენდნენ.

გადარჩევის შედეგები ასეთია: საბჭოში მე-2 რაიონიდან სულ არჩეულია 219 დეპუტატი, აქედან მუშა—79,5 პროც. (წარსულთან შედარებით გადიდდა 12 პროც.), მოსამსახურე—17,8 პროც., დიასახლისი—2,7 პროც.; კომუნისტი—55,2 პროც., კომკავშირელი—12,8 პროც. უპარტიო—32 პროც.; დეპუტატების საერთო რიცხვის—19,6 პროც. შეადგენენ ქალები.

ამ გადარჩევამ—სთქვა დასასრულს ამხ. გეურქოვმა, დაგვანახვა, რომ გაიზარდა მუშების აქტივობა (განსაკუთრებით სხვილ წარმოებებში), გაიზარდა ქალების მონაწილეობა საბჭოთა, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და აგრეთვე განმტკიცდა პარტიის ავტორიტეტი და პარტიისადმი ნდობა უპარტიო მასებში.

პლენუმმა მოხსენების გარშემო გამოიტანა სათანადო რეზოლიუცია.

კ. ხურმუშელი.

გადახალისებამ უშველა

(სოფ. დიხვირი, ლეჩხუმის მაზრა).

დიხვირის კომუჯრედი თითქმის სამი წელია არსებობს. უნდა ითქვას, რომ პირველ ხანებში მისი მუშაობა ძალზე მოისუსტებდა. უჯრედის კრებები 4—5 თვეში ერთხელ ხდებოდა. ორგანიზაციის ზრდის საქმე ვერ იყო მოწესრიგებული და სხვ. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია სამპარტკომმა, რომელმაც გამოიკვლია უჯრედის მუშაობა და მოახდინა ბიუროს გადახალისება. არჩეულ იქნა ახალი ბიურო, გამომუშავებულ იქნა სამთვიანი გეგმა მომავალი მუშაობის გამოსაცოცხლებლად. ახალი ბიურო შეუდგა ენერგიულ საქმიანობას, და ამჟამად მდგომარეობა უკვე გამოკეთდა.

ეხლა უკვე ყოველ კვირაში იმართება უჯრედის კრებები. საბჭოს არჩევნების წინასწარ სამზადისში კომუჯრედმა გაცხოველებული მონაწილეობა მიიღო. ის ხელმძღვანელობს აგრეთვე კომკავშირის უჯრედსაც, რომელთანაც ერთად იმართება კრებები. ამაღლდა უჯრედის ავტორიტეტი უპარტიოთა შორის.

ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ გაიზარდა უპარტიოთა ლტოლვა პარტიის რიგებისაკენ.

ს. ჭაბუკიანი.

მეფე და „სახალხო წარმომადგენლები“

(თებერვლის რევოლიუციის ათი წლის თავისათვის)

1905 წ. ნიკოლოზი იძულებული შეიქნა დათანხმებულიყო სახელმწიფო სათათბიროს მოწვევაში. თუმცა თვითმპყრობელურ მთავრობამ 17 ოქტომბრის მანიფესტი ხალხისათვის „ნაბოძებული“ „თავისუფლებანი“ მეორე დღესვე უკანვე წაიღო, მაგრამ სახელმწიფო სათათბიროს სრულიად მოსპობა მაინც ვერ გაბედა. თუმცა სათათბიროს არავითარი ანგარიში არ ეწეოდა, მაგრამ უკიდურეს კონსერვატიულ ელემენტებისათვის, მისი არსებობა მაინც ნიშნავდა „თვით მპყრობელობის საფუძვლების“ შერყევას.

ეხლა, რასაკვირველია, ეჭვი არავის შეეპარება, რომ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავდა რუსეთში კონსტიტუციონური წყობილების შემოღებას. ტყუილად კი არ შეიტანა წინადადება ნიკოლოზ მეორემ, როცა ახალი სათათბირო ორგანოს სახელწოდების საკითხი ირჩეოდა, რომ ამ ორგანოსთვის ეწოდებინათ „государева дума“ და არა „государственная дума“. ამით უკანასკნელმა მეფემ ცხადყო, თუ რა „უფლებებით“ ისარგებლებდა მომავალი პარლამენტი. მაგრამ ნიკოლოზის წინადადება უარყოფილ იქნა თვით მპყრობელობის უფრო ჭკვიანი დამცველის ვიტტეს მიერ.

მეფე-დედოფლისა და მათ გარშემო თავმოყრილი კამარილიის სიძულვილი და მტრული განწყობილება სახელმწიფო სათათბიროს მიმართ კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა „კრამოლნიკური“ ელემენტებისაგან სახ. სათათბიროს „გაწმენდის“ ცდამ შესაფერი ნაყოფი ვერ გამოიღო და პოლიციის ათასგვარ ხრიკების, რეპრესიების და ცენზიანი საარჩევნო უფლების გამოყენების მიუხედავათ, „ბუნტოვშჩიკები“ (უკანასკნელთა რიცხვს აკუთვნებდენ არა მარტო სოც. პარტიების წარმომადგენლებს, არამედ ბურჟუაზიული პარტიების მემარცხენე დეპუტატებსაც), სათათბიროდან ვერ გარეკეს.

ნიკოლოზი, მიუხედავათ იმისა, რომ მას [illegible] სათათბიროს არსებობა, მაინც იძულებული იყო ყურად-ეღო რჩევა თავისი მინისტრების—მოეთმინა სათათბიროს არსებობა—თუმცა თვით ეს მინისტრები სათათბიროს არსებობას საჭიროდ თვლიდენ იმდენათ, რამდენათაც იგი „სახალხო წარმომადგენლობის“ არსებობის ილიუზიას ჰქმნიდა შინ და გარეთ და რევოლიუციონურ, „არსებული წყობილებისაკენ“ მიმართული მოძრაობის სისხლში ჩაქრობის მეტ საშუალებას იძლეოდა.

ალექსანდრა ფეოდოროვნა გაცილებით უფრო გაბედული და ენერგიული იყო თავის სიძულვილში სახელმწიფო სათათბიროსადმი. იგი იყო მეთაური სახელმწიფო სათათბიროს წინააღმდეგ მიმართული მთელი იმ მოძრაობის, რომელიც სასახლიდან გამოდიოდა.

განსაკუთრებით გააფთრებული იერიშები დაიწყო სათათბიროს წინააღმდეგ, როცა ომის დროს უმაღლეს სამხედრო სარდლობის, მაღალი თანამდებობის პირების და ზოგიერთი მინისტრების მექრთამეობაზე აშკარად ალაპარაკდენ და სახელმწიფო სათათბიროში დაისვა „პასუხისმგებელი სამინისტროს შექმნის“ საკითხი. უფრო მეტად აღაშფოთა უკანასკნელი დედოფალი იმ გარემოებამ, რომ სახ. სათათბირო შეიქნა ცენტრათ, საიდანაც სწარმოებდა ბრძოლა მეფის ოჯახების „მეგობრის“—გრიგოლ რასპუტინის დამღუპველ გავლენასთან.

ალექსანდრა ფეოდოროვნა ყოველმხრივ „ამუშავებდა“ ნიკოლოზის აზრს, ამხედრებდა მას სათათბიროს წინააღმდეგ, მიუთითებდა [illegible] სათათბირო, რომელიც დედოფალის აზრით, „კრამოლნიკური“ მოძრაობის ცენტრს წარმოადგენდა.

„...არ დაივიწყო, რომ შენ ხარ და უნდა დარჩე თვითმპყრობელ იმპერატორად!—ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ მომზადებული კონსტიტუციონური მთავრობისათვის. H[1] და ვიტტე[2] არიან დამნაშავე, რომ სახ. სათათბირო არსებობს (ა. ფეოდოროვნას წერილი ნიკოლოზისადმი 1915 წ. 17 ივნისის თარიღით).

„ჩემო ძვირფასო, ჩემამდი მოაღწია ხმებმა, რომ ამ საძაგელი როძიანკომ[3] სხვებთან ერთად მოსთხოვა გორემიკინს[4] დაუყოვნებლივ მოეწვია სახ. სათათბირო. გემუდარები, არ მისცე ამის ნება, არ არის ეს მათი საქმე. მათ სურთ განიხილონ საქმეები, რომლებიც მათ არ შეეხებათ და გამოიწვიონ მღელვარება.—[illegible] მოვიცილოთ ისინი.—გარწმუნებ, ყველაფერ ამიდან არაფერი კარგი არ გამოვა,—ისინი ძლიერ ბევრს ლაყბობენ“.—

სწერს ალექსანდრა ნიკოლოზს მეორე წერილში (1915 წ. 25 ივნისის თარიღით). ამ წერილში ნათლად გამოხატულია მთელი ის სიძულვილი, რომელსაც უკანასკნელი მეფე, მისი ღირსეული მეუღლე და მათ გარშემო შემოკრებილი კამარილია გრძნობდა ყოველგვარი „ლიბერალური“ დაწესებულებისადმი, თუ გინდ იქ მჯდარიყვნენ თვითმპყრობელობის ისეთი ბურჯები, როგორიც იყვნენ „მარკოვ-ვალიაი“, „პურიშკევიჩი“, როძიანკო და ძმანი მათნი.

ეს წრეები ოცნებობდენ აბსოლიუტურ, ყოვლად შეუზღუდველ მონარქიაზე.

„... რუსეთი, მადლობა ღმერთს, კონსტიტუციონური ქვეყანა როდია, თუმცა ეს საძაგლები[5] ცდილობენ ითამაშონ როლი და ერევიან საქმეებში, რომლებსაც ისინი არ უნდა ეხებოდენ! არ მისცე მათ უფლება შენზე ზეგავლენის მოხდენის. — ეს პირდაპირ საშინელებაა, — მათ მიმართ თუ დათმობაზე წადი, ისინი თავს წამოყოფენ“. ისტერიულათ გაიძახის თავის წერილში (1915 წ. 25 ივნისის თარიღით ნიკოლოზისადმი ალექსანდრა ფეოდოროვნა).

ალექსანდრა ფეოდოროვნას გააფთრებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, როცა მისმა მოთხოვნებმა და მუდარამ ვერ გასჭრა ნიკოლოზ მეორე მაინც იძულებული შეიქნა მოეწვია მეოთხე სათათბირო და დადიოდა ხმები, რომ უკიდურეს მემარჯვენეთ (პურიშკევიჩისა და სხვებს) განზრახვა აქვთ ისარგებლონ ამ გარემოებით, რომ სასიკვდილო ლახვარი ჩასცენ გრიგოლ რასპუტინის გავლენას მეფე - დედოფალზე.

„... სახ. სათათბირომ ვერ უნდა გაბედოს ამ საკითხის შესახებ,[6] როცა შეიკრიბება: ლომანი[7] ამბობს, რომ მათ განზრახვა აქვთ ასე მოიქცენ იმ მიზნით, რომ თავიდან მოიცილონ გრ.[8] და ა.[9]“. წერილი 1915 წ 22 ივნისის თარიღით.

ალექსანდრა მოუწოდებს ქმარს იყოს უფრო გაბედული:

„ჩემო ძვირფასო მეგობარო, როდის მოველირსები იმ დღეს, როცა შენ ხელს დაჰკრავ მაგიდაზე და დაუყვირებ ჯუნ.[10] და სხვებს, რომლებიც უმართებლოდ იქცევიან... იყავ უფრო მკაცრი, ასე გაგრძელება შეუძლებელია“, სწერს ალექსანდრა ფ-ნა იმავე წერილში.

ყველა ამ იერიშებმა ნიკოლოზზე ვერ გასჭრა და 3 ივლისს მოწვეულ იქნა სახელმწიფო სათათბირო და სახ. საბჭო. მაგრამ ის ხანმოკლე აღმოჩნდა. ალექსანდრა ფეოდოროვნამ და „პასუხისმგებელ სამინისტროს“ მოწინააღმდეგეებმა, [illegible] იმათ, ვისაც უშინოდა, რომ სათათბიროში გამოაშკარავდებოდა ყველა მათი მახინაციები და მექრთამეობა, შემოკრიბეს მთელი ძალღონე და უკანასკნელი იერიში მიიტანეს უნებისყოფო მეფეზე. 1915 წ. აგვისტოს შუა რიცხვებში გაზეთებში უკვე დაიბეჭდა ცნობა სათათბიროს მოსალოდნელი დათხოვნის შესახებ.

კმაყოფილი ალ. ფ-ნა 22 აგვისტოს სწერდა ნიკოლოზს:

„შენ დაბოლოს ეჩვენე ქვეყანას მეფეთ, ნამდვილ თვითმპყრობელათ. ურომლისოთაც რუსეთს არ შეუძლია არსებობა. შენ რომ მათ მინამდე დათმობებზე წასულიყავ, ისინი კიდევ უფრო მეტს მოგთხოვდენ. ერთად-ერთი ხსნა შენს სიმტკიცეშია“.

მაგრამ ნიკოლოზ მეორემ ბოლომდის ვერ გამოიჩინა „მტკიცე ხასიათი“ — ისეთი, როგორიც ეს ალექსანდრა ფეოდოროვნას, უკანასკნელის მთავარ მრჩეველს გრიგოლ რასპუტინსა და მის ზურგს უკან მდგომ სხვადასხვა ავანტიურისტებს, სპეკულიანტებსა და მექრთამეებს სურდათ. სათათბირომ კიდევ ორი წლიწადი იარსება და მიუხედავათ იმისა, რომ ალ. ფეოდოროვნა და ნიკოლოზ მეორე მას არ სწყალობდენ, 1917 წ. შეეცადა გადაერჩინა მათი ტახტი, რაც ვერ შესძლო.

ასეთი იყო უკანასკნელი მეფისა და მისი მეუღლის დამოკიდებულება „სახალხო წარმომადგენლობისადმი“, დამოკიდებულება, რომელსაც უმადურობა ახასიათებს, რადგან სახ. სათათბირომ 12 წლით გაახანგრძლივა რუსეთის თვითმპყრობელობის არსებობა.

ვ. რ—ლი.

---

[1] H.—ნიკოლოზ ნიკოლოზისძე.
[2] ვიტტე—ნიკოლოზის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.
[3] მეოთხე სახ. სათათბიროს თავმჯდომარე.
[4] მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.
[5] ე. ი. დეპუტატები.
[6] ე. ი. გრიგოლ რასპუტინის საკითხი.
[7] ალ. ფ-ნას ადიუტანტი.
[8] გრიგოლ რასპუტინი.
[9] ანნა ვირუბოვა, დედოფლის ფრეილინა.
[10] ჯუნკოვსკი — შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე 1913—1915 წ. წ.

პატარა ფელეტონი

ჩემბერლენის სიზმარი

ინგლისის თემთა პალატაში დეპ. სინკლერმა წინადადება შეიტანა, რომ ჩემბერლენს შეემციროდეს ჯამაგირი 100 გირვანქა სტერლინგით. (დეპეშებიდან)

იუსტინე ჩემბერლენი, ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი, მეტად ცუდ გუნებაზე ადგა ლოგინიდან ამ დილით.

მან სიზმარში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინი ნახა.

იუსტინე ჩემბერლენს დიდი ხანია დაცდილი ჰქონდა, რომ უსათუოდ დიდი რამე უსიამოვნო ამბავი შეემთხვეოდა, როდესაც სიზმარში საბჭოთა კავშირის რომელიმე წარმომადგენელს ნახავდა.

წუხელის კი თვით ჩიჩერინი გამოეცხადა მას სიზმარში, რომელიც ამ ხანათ თუმცა შვებულებაში იმყოფებოდა, მარა ჩიჩერინი მაინც ჩიჩერინია, რა მდგომარეობაშიდაც არ უნდა იმყოფებოდეს ის.

იუსტინე ჩემბერლენი დილიდანვე გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს, თუ რით ახდებოდა ეს უსიამოვნო სიზმარი.

ფეხზე ჩაცმის დროს მუხლებში რევმატიზმის ტკივილებმა გაჰკრეს რამდენჯერმე და წარბები შეუჭმუხნეს ამაყ ლორდს, რომელიც წარბებ შეუხრელათ აძლევდა განკარგულებას აზიის, აფრიკის და ავსტრალიის დამორჩილებულ ერების მიწის პირიდან აღგვის შესახებ.

მიუხედავათ მკაცრი ტკივილებისა, ჩემბერლენს მაინც გაუბრწყინდა სახე სიამოვნებით, რადგან ეგონა წუხანდელი უსიამოვნო სიზმარი ამ ტკივილებზე გადავიდოდა.

ყავის დასალევათ რომ გავიდა, ცოლმა სახარჯო და ჯიბის ფულები მოსთხოვა, ქალიშვილმა ახალ მოდის საკაბის ყიდვა და ვაჟმა კი წუხელის ლორდების კლუბში კარტის თამაშში წაგებული თანხის დასაფარავათ ბანკის ჩეკი.

ცალ-ცალკე და ყველა ერთად ეს გვარიან საგრძნობ თანხას შეადგენდა, მაგრამ ჩემბერლენი მაინც მხიარული ღიმილით შეეგება ამ კონტრიბუციის გადახდას, რადგან დარწმუნებული იყო იმაში, რომ უსიამოვნო სიზმრის ახდომა ამით მაინც გათავდებოდა.

სამუშაო კაბინეთში რომ გავიდა და გაზეთებს თვალი გადაავლო, თითქმის ყველა მათგანში ნახა მისი საწინააღმდეგო კარიკატურები და სტატიები საბჭოთა კავშირისადმი ნოტის გაგზავნის გამო.

ზოგში აგინებდენ მას იმიტომ, რომ ნოტა ვერ იყო საკმაოდ მკაცრათ შედგენილი, ზოგში მას სთვლიდენ მეტად თავხედურათ და უგუნურათ შედგენილს, ზოგში კი ნოტას უწოდებდენ ოპოზიციონურ სადისკუსიო ფელეტონს და სხვა.

ყველა ისინი თუმცა არა სანაქებოთ ახასიათებდენ იუსტინე ჩემბერლენის დიპლომატიურ თვისებებს, მაგრამ ის მაინც კმაყოფილი იყო ამ გარემოებით, რადგან ამით ელოდა უსიამოვნო სიზმრის ახდომას.

მდივანმა და დეპარტამენტების გამგეებმა თავიანთ მოხსენებებში ერთი მეორეზე უარესი უსიამოვნო ამბები ამცნეს გარეშე საქმეთა მინისტრს. ჩინეთის, ინდოეთის, აფრიკის და ავსტრალიის ყველა დამორჩილებულ ხალხთა შორის იზრდებოდა ინგლისის საწინააღმდეგო მოძრაობა, რაც აწეწ-დაწეწით ემუქრებოდა ჩემბერლენის გარეშე საქმეებს.

ვინაიდან ყოველივე ამაში საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა კომისარის ჩიჩერინის მონაწილეობა უტყუარ სინამდვილეთ მიაჩნდა იუსტინე ჩემბერლენს, ამიტომ გადასწყვიტა მან, რომ ამ უსიამოვნო მოხსენებებით მაინც გადავიდებოდა სიზმრის ახდომა და ღიმილით ისმენდა მათ.

ამის შემდეგ, უკვე კარგ გუნებაზე მოსული, გაემართა ის თემთა პალატაში, სადაც ირჩეოდა საკითხი ინგლის-საბჭოთა კავშირის ნოტების შესახებ.

თემთა პალატაში ყველაფერი რიგზე მიმდინარეობდა ერთხანს. მინისტრობის მეტოქეები—ლოიდ ჯორჯი და მაკდონალდი ზომიერათ აკრიტიკებდენ ჩემბერლენის ნოტას და არ ემუქრებოდენ სამინისტროს დამხობით.

უსიამოვნო სიზმარი კიდევაც გადაავიწყდა იუსტინე ჩემბერლენს და ოხუნჯობის გუნებაზედაც კი დადგა.

მაგრამ, აი, ტრიბუნაზე ავიდა ლიბერალების დეპუტატი სინკლერი. ცალ თვალში შუშა ჩაიდგა, ბელატ თავზე ცხვირსახოცი მოისო, ჩაახველა და დაიწყო:

— ინგლისის საქმიან ხალხის ინტერესს შეადგენს მშვიდობიანობის დაცვა საბჭოთა კავშირთან და ჩინეთში. ჩვენ გვინდა სარფიანი ვაჭრობის გამართვა ამ ქვეყნებთან. ჩემბერლენის ნოტა კი ემუქრება ამ მშვიდობიანობას. ამიტომ მე წინადადება შემომაქვს, რომ მოუკლოთ მას ჯამაგირი ასი გირვანქა სტერლინგით. დეე, იგრძნოს ჩემბერლენმა, თუ რას ნიშნავს ზარალი!..

რევმატიზმის ტკივილების გაკვრა მუხლებში, ცოლშვილის კონტრიბუცია, გაზეთების ლანძღვა-გინება, ქვეყნის ყველა კუთხეებში საქმეების აწეწვ-დაწეწვის მოლოდინი,—ყველაფერი ეს სულ უმნიშვნელო რამეთ მოეჩვენა იუსტინე ჩემბერლენს სინკლერის მუქარასთან შედარებით.

მაგრამ ყველაზე უარესი ის იყო, რომ ჩემბერლენმა აღარ იცოდა,—ახდა უსიამოვნო სიზმარი, თუ კიდევ მოელოდა მას რაიმე საფრთხე...

ხ. თ—ია.

შინა-მრეწველ ხელოსანთა კავშირის წმენდა

(პრაქტიკული წინადადება)

შინა-მრეწველ ხელოსანთა კავშირის სოციალური შემადგენლობა არ შეიძლება სავსებით დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. მასში შედიან ისეთი პირებიც, რომლებზედაც არ ვრცელდება საგადასახადო და სხვა შეღავათები. ასეთი ელემენტების მფარველობა, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს კავშირის მმართველი ორგანოების მოვალეობას. მათი ყოფნა ხელოსანთა ორგანიზაციაში სახელს და ნდობას უტეხს ხელოსანთა ორგანიზაციას მთლიანათ, როგორც ხელისუფლებისა, კავშირებისა, აგრეთვე პარტიის ორგანოების თვალში. ეს სხვათა შორის, ნათელი შეიქნა ხელოსანთა კავშირის ხელმძღვანელ ორგანოების მიერ ჩატარებულ საარჩევნო კამპანიის დროს.

დღეს საჭირო ხდება პრაქტიკულათ დაისვას საკითხი კავშირის გენერალური წმენდის მოხდენის შესახებ. აღნიშნული მიზნისათვის გატარებულ უნდა იქნეს შემდეგი ზომები: 1) მარტის პირველი რიცხვებიდან დაწყებულ იქნეს და ივნისის პირველ რიცხვებისათვის გათავებული კავშირის საერთო გენერალური წმენდა. 2) ვინაიდან მეპურეთა ცეხის შემადგენლობის დიდ უმრავლესობაზე (მეფურნეები, მეკანდიტრენი, მეკამფეტენი მთლიანათ და მეთორნეთა ნაწილი) არა ვრცელდება სახელმწიფოებრივი და კომუნალური შეღავათები საგადასახადო და სხვა დარგებში, და ისინი აღიარებულნი არიან კანონით, როგორც მოვაჭრენი და არა ხელოსნები შინა-მრეწველები; ამიტომ ყველა ისინი გარიცხულ იქნენ კავშირიდან, რაც ეუწყოს თავის დროზე ფინანსთა სახალხო კომისარიატს, აღმასკომს, ხელოსანთა საკრედიტო ამხანაგობის კოოპერატიულ გამგეობას და სამრეწველო კოოპერაციის კავშირის გამგეობას. 3) ყველა ცეხების შემადგენლობიდან გაირიცხოს ის ხელოსნები, ვისაც აღმოაჩნდება ორ კაცზე მეტი მუდმივი დაქირავებული მუშა. 4) გაირიცხოს კავშირიდან ყველა ის წევრები, ვისაც სამ თვეზე მეტი დავალიანება აქვთ, უკეთუ წმენდის პერიოდში მას არ გადიხდიან. 5) ვინაიდან საარჩევნო კამპანიის დროს ნათლათ გამოირკვა, რომ ყველა ცეხების შემადგენლობის აღრიცხვა ჯერ კიდევ ვერ სდგას თავის სიმაღლეზე, ე. ი. არ არის ნაჩვენები სწორი მისამართები, როგორც ბინისა, დარაბებისა, აგრეთვე არ არის ნაჩვენები თვით კავშირის წევრების ოჯახის წევრთა შემადგენლობაც და სხვა, ამიტომ მიენდოს სპეციალურ კომისიას გადასინჯოს ძველი ანკეტები და შეიტანოს შიგ საჭირო დამატებითი მუხლები, რათა რეგისტრაციის დროს ანკეტები იქნეს მთლიანათ და გარკვევით შევსებული; ამისათვის დაბეჭდილი იქნეს ახალი ანკეტების საჭირო რაოდენობა. 6) მოეთხოვოს ყველა ცეხის ბიუროებს სასწრაფოთ შეადგინონ და წარმოადგინონ წმენდის დროს ყველა იმ არტელებისა და ამხანაგობების რიცხვი, რომელთა შემადგენლობა აღემატება ხუთ კაცს. რათა ასეთი გაერთიანებანი გამორიცხულ იქნენ კავშირის შემადგენლობიდან და გადაცემული სათანადო ორგანიზაციებზე. 7) წმენდის ჩატარებისათვის შესდგეს ყველა ცეხებში არჩეულ ბიუროების შემადგენლობიდან კომისიები-სამეულები. 8) წმენდის მთელ პერიოდში მიუდგომლობის დაცვისათვის სამეულების თავმჯდომარეებათ დაინიშნონ სხვადასხვა ცეხებში სამეულების მიერ თავის შემადგენლობიდან გაგზავნილი პირები. 9) ცეხების ბიუროებიდან გამოყოფილ სამეულების ყოველ-დღიურ სალამოობით მუშაობასთან ერთად მუშაობს ცენტრალური გამწმენდი კომისია მართავს კვირაში ორჯერ სხდომებს, სადაც შეიძლება სამეულების დადგენილებაზე საჩივრების განხილვა; ეს კომისია უნდა შესდგეს: შრომის სახალხო კომისარიატის, პროფ-საბჭოს, სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს სამრეწველო განყოფილების, კომპარტიის თბილისის და მეორე რაიონის კომიტეტების და შინა-მრეწველ ხელოსანთა კავშირის წარმომადგენლებისაგან, ხელოსანთა კავშირის თავმჯდომარის ან მისი თანაშემწის თავმჯდომარეობით. 10) კომისიებისათვის სალამოობით მუშაობის კალენდარის შედგენა მიენდოს ცეხის ბიუროებს და დიდი პლაკატის სახით იქნეს გამოკრული ღია ადგილზე. 11) ვინაიდან გენერალური წმენდისა და რეორგანიზაციის ჩატარებისათვის კავშირის სამმართველოში, გარდა კლუბისა, არ მოიპოვება შესაფერი ბინები, რომ ყველა სამეულებმა ნორმალური მუშაობა აწარმოონ, ამიტომ საჭიროდ იქნეს ცნობილი საზამთრო კლუბის შენობის მთლიანათ გამოყენება და რეორგანიზაციის პერიოდში, სამი თვის განმავლობაში, ნაწილობრივ შეჩერებულ იქნეს საკლუბო მუშაობა. 12) როდესაც ცეხების გამწმენდი სამეულები გაათავებენ თავის მუშაობას, ცენტრალურ გამწმენდი კომისიის ინიციატივით მის შემადგენლობასთან ერთად გაიმართება ყველა სამეულების პლენუმი, სადაც უკანასკნელათ საბოლოო კონტროლისათვის განიხილება ყველა ანკეტები, რის შემდეგ გენერალური წმენდა უნდა ჩაითვალოს დამთავრებულათ.

აღნიშნული ზომების გატარება არის გადაუდებელი ღონისძიება, როგორც კავშირის სოციალური შემადგენლობის სიწმინდის დაცვისა, აგრეთვე მისი მძიმე ფინანსიური მდგომარეობიდან გამოსვლისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პარტიული, პროფესიონალური და ხელისუფლების ორგანოები და ცალკე ამხანაგები გაუწევენ ყოველნაირ დახმარებას ჩვენი კავშირის მიერ განზახულ მუშაობის წარმატებითი დამთავრებას, სათანადო ცნობების სისტემატიურათ მიწოდებით ჩვენი კავშირის იმ წევრთა შესახებ, რომელთა ყოფნა ჩვენს ორგანიზაციაში სახელს უტეხს მთელი კავშირის შემადგენლობას, იმ წევრთა შესახებ, რომელნიც, მაგ.; ეწევა სპეკულიაციას; ან აღებ-მიცემობას არა თავის შრომით შეძენილ საგნებზე, აქვთ გახსნილი გამსაღებელი სავაჭრო პუნქტები თავის სახელოსნოს გარეთ, ჰყავთ ორ დაქირავებულ მუშაზე მეტი და სხვა.

დ. ნასარიძე.

ბამბის თესვის კამპანია

(საუბარი ამხ. მამაევთან)

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მებამბეობის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მამაევი, რომელმაც ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში შემდეგი განაცხადა:

მიმდინარე წლის იანვრის დასასრულში მოსკოვში შესდგა მებამბეობის მთავარი კომიტეტის სხდომა ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.

თათბირმა განიხილა ბამბის თესვის მომავალი კამპანიის ძირითადი საკითხები. ამ საკითხებიდან შეიძლება აღნიშნოთ შემდეგი:

ბამბის სათესი მოედანი წარსულ წელთან შედარებით საგრძნობლად იქნება გაფართოვებული, განსაკუთრებით შუა აზიაში, სადაც ბამბით დათესილი სივრცე გადიდებული იქნება 25 პროცენტით. ამიერ-კავკასიაში კი სათესი მოედანი გაფართოვდება დახლოვებით 6 პროცენტით. ამ პროგრამის განხორციელება მოითხოვს მებამბეობის ორგანიზაციების ენერგიულ მუშაობას.

მომავალი კამპანიის პირობები წარსულ წელთან შედარებით ხელსაყრელია.

წყლით უზრუნველყოფის საკითხი, როგორც შუა აზიაში, ისე ამიერ-კავკასიაში არ იწვევს რაიმე შიშს. ეკონომიური პირობები კი — (ფასები პურისა და სამრეწველო საქონელზე) გაცილებით უკეთესია წარსულ წელთან შედარებით, განსაკუთრებით შუა აზიაში.

შემდეგი მთავარი საკითხია—კოოპერაციასთან დამოკიდებულების საკითხი.

მებამბეობის ორგანიზაციების მთავარი ხაზი, რომელიც ტარდებოდა მთელ რიგ წლების განმავლობაში და გამოიხატება თესვისა და ბამბის დამზადების დარგში კოოპერაციის მუშაობის გაძლიერებაში—უფრო ფართო მასშტაბით გატარდება მომავალშიაც. თითქმის ყველგან, გარდა ტურკმენიის, ხორეზმის და აღმოსავლეთ ბუხარის დაცილებულ რაიონებისა, კოოპერაციის მუშაობის მინდობილობითი ფორმა შეცვლილი იქნება საკონტრაგენტო ფორმით.

მებამბეობის მთავარმა კომიტეტმა საბჭოთა კავშირის მთავრობის წინაშე დააყენა მთელი რიგი საორგანიზაციო საკითხები—სახელდობრ, აპარატის მაქსიმალურად გაიაფების საკითხი, მისი რაციონალურ ნიადაგზე აგების, საქარხნო მუშაობის გაუმჯობესების, სელექციურ — სათესლე საქმის გაძლიერების და სახელმწიფო პლანტაციების გაფართოვების შესახებ, ეს საკითხები და აგრეთვე საკითხი—კოოპერაციასთან დამოკიდებულების შესახებ, მუშავდება საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციაში და 2 თვის განმავლობაში წარდგენილი იქნება დასამტკიცებლად მთავრობის ორგანოებში.

ამიერ-კავკასიის მებამბეობის ორგანიზაციების მუშაობაშიაც, საჭიროა მთელი რიგი გაუმჯობესებანი და ცვლილებები.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ახალციხის საბჭოების სამაზრო ყრილობა

ახალციხე, 9 მარტი. 7 მარტს გაიხსნა ახალციხის მეხუთე მოწვევის საბჭოების სამაზრო ყრილობა. მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნათ საქ. კომ. პარ. (ბ) ცეკას, საბჭოთა საქართველოს ცაკს და ამხ. ორჯონიკიძეს. სხვადასხვა ორგანიზაციების დეპუტაციებს შორის, რომლებიც ყრილობას მიესალმენ, ყრილობას მიესალმა, აგრეთვე, აწყურის თემის თურქი-ქალი ნურიევა, რომელმაც განაცხადა, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო ქალის ნამდვილად განთავისუფლება. ყრილობის დღის წესრიგში დგას: საქართველოს მთავრობის ანგარიში, სამაზრო აღმასკომის ანგარიში, მოხსენება მიწათმოწყობის შესახებ ახალციხის მაზრაში, მოხსენება ტერიტორიალურ მშენებლობაზე, საარჩევნო კომისიის მოხსენება და არჩევნები. (ადს).

საარჩევნო კამპანია

ქუთაისი, 9 მარტი. დასრულდა არჩევნები ქუთაისის მაზრ. ტობანიერის, ღანირ-ჭაგანის, კორდის, ქვიტირის, მუხიანის, მაღლაკის, საყულიის, ორპირის; ზედასიმონეთის და ობჩის თემებში ყველა თემებში არჩევნები გაცხოველებით ჩატარდა. არჩევნებში დიდი აქტივობა გამოიჩინეს ქალებმა. ჩატარებულია სათემო აღმასკომების არჩევნები. ყველა თემებში საბჭოს წევრთა რიცხვში ქალებიც შედიან. დასრულდა, აგრეთვე, არჩევნები ხონში. ქალაქის საბჭოში არჩეულია 105 წევრი, მათგან 42 კომუნისტი, 7 კომკავშირელი, 47 უპარტიო და 17 ქალი. (ადს).

თიხის მადანი

ქუთაისი, 9 მარტი. ქუთაისის მაზრაში აღმოაჩინეს ფლორიდის-ამერიკული ჯიშის თიხის მადანი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნავთის პროდუქტების დაწმენდაში. თიხის ანალიზმა დადებითი შედეგები გამოიღო. ეს თიხა წინად ამერიკიდან შემოგვქონდა. მადნის აღმომჩენ ტექნიკოს ჯანუაშვილის სიტყვით, იმდენად მდიდარია აღმოჩენილი მადანი, რომ საჭირო აღარ იქნება მისი შემოზიდვა ამერიკიდან. (ადს).

აჭარისტანი

პირველი რადიო-სადგური

ბათომი, 9 მარტი. პირველი რადიო-სადგური იმ ექვს რადიო-სადგურიდან, რომლებიც მაზრებისათვის იყო დანიშნული, უკვე დაიდგა აჭარისტანის მაზრის სოფელ ქვემო-მარადიდში. ადგილობრივი გლეხობა მხურვალე მონაწილეობას იღებდა სადგურის მოწყობაში, ანძების აღმართვაში და სხ. მრავალრიცხოვანი ხალხის თანდასწრებით გაიმართა პირველი რადიო-სადამო, რომელსაც გლეხობა უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა. გლეხებმა მოისმინეს მოხსენებები, ლექციები და კონცერტები თბილისიდან და მოსკოვიდან, ხმა მშვენივრად მოისმოდა. ამჟამად სწარმოებს რადიო-სადგურების დადგმა ხუთ პუნქტში (ცხმერისში, ხულოში და სხ.). სადგურების დადგმა უნდა დასრულდეს აჭარის გასაბჭოების 6 წლის თავისათვის—18 მარტისათვის (ადს).

მისალმება საქართველოს ცაკს

ცაგერიდან

ლეჩხუმის მაზრის საბჭოთა მეექვსე ყრილობა მხურვალედ მიესალმება საქართველოს მშრომელთა ბედნიერების მჭედელს ცენტრალურ აღმასკომს. ყრილობა აღნიშნავს რომ ლეჩხუმის ღარიბი ჩამორჩენილი კუთხე ცაკის ხელმძღვანელობით დღეს ფართოდ არის ჩაბმული სააღმშენებლო შემოქმედებითი საქმიანობაში და ყრილობა გამოთქვამს იმედს, რომ ცაკის დახმარებით და მისი ხელმძღვანელობით ლეჩხუმის მაზრაც გაუთანასწორდება საქართველოს დანარჩენ მაზრებს სოციალისტურ გზით წინსვლაში. გაუმარჯოს საქართველოს მთავრობას და მის მფარველს საბჭოთა კავშირს.

ყრილობის პრეზიდიუმი.

წერილები

იურიდიული დახმარება სოფლად

იურიდიული დახმარების საკითხი ერთი მწვავე საკითხთაგანია სოფლად. გლეხკაცობა ზოგ შემთხვევაში მოკლებულია სათანადო იურიდიული ახსნა-განმარტება მიიღოს მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე. ჩვენი სახალხო სასამართლოები კი ვერ აუდიან თავიანთ პირდაპირ მოვალეობის შესრულებას. მათ ძალიან ცოტა დრო და საშუალება აქვთ იმისი, რომ საბჭოთა კანონები ფართოდ გააცნონ მოსახლეობას და საჭიროების დროს შესაფერი ახსნა-განმარტება მისცენ მსურველთ ცალკე საკითხებზე.

დამცველთა კოლეგია ზოგ სოფლებიდან იმდენად დაშორებითაა, რომ გლეხი ყოველთვის ვერ მიმართავს მას.

ამიტომაა, რომ სოფლად „აბლაკატობამ", შინაურულმა ვექილობამ ბევრგან ფართოდ მოიკიდა ფეხი. ყველა, ვისაც კი „ორი ანა-ბანა" ხელს უწყობს და, ვისაც ეს არ ეზარება, კისრულობს ჩვენი კანონების განმარტებას სოფლად და კონსულტაციას აძლევს გლეხებს, რასაკვირველია სათანადო გასამრჯელოს მიღებით.

ჯერ ერთი ასეთი იურიდიული დახმარებით გლეხობას ტყავი ძვრება. ჩვენ კარგად ვიცით. რომ აბლაკატი წინათაც და ეხლაც ვექილობის ყველა უარყოფითი მხარეების გამომხატველი იყო და არის.

ჩვენს პირობებში კი აბლაკატობა მით უფრო დაუშვებელია, რომ აბლაკატი ზოგჯერ პირადი ანგარიშების მიზნით განზრახ ამახინჯებს საბჭოთა კანონებს, ზოგჯერ კი ეს მას მოსდის მისდა უნებლიეთ, რადგან ხეირიანად ვერც კი ერკვევა ჩვენს კანონმდებლობაში.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი, როგორც ვიცით, ამზადებს გლეხებისგან მუშაკებს, იურიდიულ კონსულტაციისათვის. ეს მუშაკები დიდ დახმარებას უწევენ გლეხებს, მაგრამ მათი რიცხვი იმდენად მცირეა, რომ სოფლის საჭიროებას ისინი ოდნავათაც ვერ დაფარავენ.

იურიდიულ დახმარების საქმეს სოფლად ეწევიან ქოხ-სამკითხველოებიც. ამ უკანასკნელთ დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ სოფლისათვის, რომ ისინი თავის მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. სამწუხაროდ ჩვენი ქოხ-სამკითხველოების გამგეები ბევრგან ისე მოუმზადებლები არიან, რომ არა თუ იურიდიულ დახმარებას, გაზეთების ხმა-მაღლა კითხვასაც კი ვერ აწყობენ.

საკითხი კი იმდენად საყურადღებოა, რომ მას უნდა მიაქციონ დიდი ყურადღება, როგორც იუსტიციის, ისე პოლიტგანათლების ორგანოებმა.

ტ. რ—ლი.

აბლაკატი ნესტორა

(წერილი სენაკის მაზრიდან)

სოფლის „აბლაკატებ"-ში სენაკის მაზრაში ცნობილია თავის თაღლითობით ნესტორ ნადარეიშვილი.

ამ კაცს რაღაც უკუღმართ საშუალებით უშოვნია დამცველთა კოლეგიის წევრობის მანდატი; იყენებს ამას ძრიად უნამუსოდ და თაღლითურად; დადის სოფლებში და ეძებს ისეთ საქმეებს, რომელთა მოგება ყოვლად შეუძლებელია; თავის კლიენტ გლეხს შეპირდება აუცილებლად მოგებას საქმისას და წინასწარ ართმევს გასამრჯელოს; თუ ფული არ აქვს გლეხს, ნესტორა მაინც და მაინც არ „შეაწუხებს" მას და ნაცვლად ფულისა ართმევს ხარს, ძროხას, შეშას და სხვა სოფლურ ნივთებს და სურსათ-სანოვაგეს.— ბოლოსდაბოლოს, როცა საქმე წაიგება სასამართლოს ყველა ინსტანციებში, ნესტორა დაემალება თავის კლიენტს და თავს არ დაანახვებს 5—6 თვეს.

მრავალია შემთხვევა, როცა ნესტორა კიდებს დასაცავად ერთ გლეხის საქმეს, მერე მიდის იმ გლეხის მოპირდაპირესთან და იმასაც გამოსტყუებს ფულს; როცა სასამართლოს სხდომა მოხდება, ნესტორა დაიმალება და არ მოვა სასამართლოში.

ყოველივე ასეთ თაღლითობისათვის და დამცველთა კოლეგიის წევრობის ბოროტად გამოყენებისათვის ერთ მშვენიერ დღეს ნესტორას შეუყენეს სისხლის სამართლის საქმე; მიეცა ნესტორა პასუხისგებაში და საქმე გადაეცა მარტვილის გამომძიებელს.

პროკურორმა წინადადება მისცა გამომძიებელს ნადარეიშვილის დაპატიმრების შესახებ, მაგრამ ამის შემდეგ გადის რამდენიმე თვე და ნესტორა მაინც თავისუფლად დასეირნობს; კოლეგიის წევრობის მანდატი ჯიბეში უდევს, ისევ მიდის სოფლებში, ატყუებს გლეხობას და ზოგიც სასამართლოებშიაც უშვებენ საქმის სანახავად.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ საქმეს და თაღლით ვექილს მოესპოს საშუალება გლეხობის ცლისა.

„მილიციელი".

პასუხად ამხ. იმნაიშვილს

გაზეთ „კომუნისტის" 35 №-ში მოთავსებულია წერილი ამხ. ერემია იმნაიშვილის, სათაურით „უყურადღებოთ მიტოვებული სოფელი".

გაზეთი ჩვენი სარკეა და განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის, მაზრის მუშაკებისათვის სოფლის კორესპონდენციები. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ რომელიმე კორესპონდენტის მიერ დაყენებული საკითხი არ ყოფილიყოს ჩვენს მიერ შესწავლილი და გამოკვლეული. ამხ. იმნაიშვილის უკანასკნელ წერილში აღნიშნული ფაქტებიც იქნებოდენ გამოკვლევის ღირსი, რომ ისინი უკვე შესწავლილი არ გვქონოდა.

ამხ. იმნაიშვილი მუშაობს თემკომის მდივნათ სხვა მაზრაში. დრო გამოშვებით იგი მიდის თავის სოფელში, იქ კი განაწყენი ელემენტები „აგზრავენ" ამხ. იმნაიშვილს და ისიც მზად არის „სამსახურისათვის".

წერილში, „ჩვენებური კვაჭი" არც ერთი წამოყენებული ბრალდება სიმართლეს არ შეესაბამება, სამაზრო კომიტეტმა ამის შესახებ მოახდინა საგანგებო კვლევა-ძიება და სათანადო მასალები გადაუგზავნა საკონტროლო კომისიას.

არის კიდევ ერემია იმნაიშვილის სხვა კორესპონდენცია ლანჩხუთის ყოფილ თემ-აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კონსტანტინე ცინცაძის შესახებ, სადაც ის თითქოს განცვიფრებით კითხულობს: „რათ/ არ ღებულობს ზომებს მაზრის ხელისუფლება". ეს იმ დროს, როცა ამხ. ცინცაძე მაზრის ხელისუფლების მიერ 6 თვეა რაც მოხსნილია და მიცემულია პასუხისგებაში; საკონტროლო კომისიის მიერ კი ის გადაყენებულია პარტიიდან საქმის გარჩევამდე, ეს ხომ ღია კარების მტვრევაა, ამხ. იმნაიშვილმა ეს იცოდა. იცოდა ისიც, რომ ჩვენი პარტია თავის წევრს არ აპატიებს არავითარ დანაშაულობას და იცის როგორ უნდა მოექცეს მას, მაგრამ ამხ. იმნაიშვილი წაქცეულ ხეს ადგება თავზე და ცულით, მოკლული დათვის გატყავებას ლამობს, ერთი რუსული ანდაზის არ იყოს, შემომხედეთ „ჩვენც ვხნავთო". ვფიქრობ ამხ. იმნაიშვილია გაზშირებული წერილები პარტიას და ხელისუფლებას დათვურ სამსახურს უწევს;

დაუკვირდით აბა რას სწერს ის უკანასკნელ წერილში.

„მიწები დანაწილებული არაა სწორად, ვისაც როგორ უნდოდა ისე მოაგვარეს ეს საქმე. უმიწაწყლო გლეხების მოსარჩლედ არავინ გამოვიდაო". მიწების განაწილების დროს ამხ. იმნაიშვილი სრული წლოვანი იყო, წერა-კითხვაც იცოდა, რატომ არ გაგვებია ვინმეს ეს ამბავი? როგორ მოხდა რომ ეს დღეს გაიგო?

„მიწის ყიდვა-გაყიდვა ხშირია, მაგრამ დამნაშავეებს პასუხისგებაში ნაკლებად აძლევენო". ძნელი საქმე არ იყო ეკითხა ამხ. იმნაიშვილს ამხ. ლ. კუკულაძისათვის (სახალხო მოსამართლეა). ის მისცემდა სწორ ცნობას, რომ 30-დე საქმე გაირჩა და დამნაშავეები დაისაჯენ კანონის მიხედვით.

„უკუღმართობა ხდება აქ ამარა ენა ვერავის ვერ ამოუღიაო". ნუ თუ ეს უკანასკნელი სიმართლეა? სად ვერ ამოუღიათ ენა? გურიაში! როდის იყო ეს? ნუთუ ამხ. იმნაიშვილი არ უნდა დაფიქრდეს რას სწერს? ნუ თუ აქ, გურიაში, ისეთი სოფელი, როგორიც არის შუხუთი, უპატრონოთ არის მიტოვებული, ენაც ვერავის ამოუღიათ. ვისი შიში? პარტიული ორგანიზაცია, თემის საბჭო, სამაზრო პარტკომი, აღმასკომი, მოსამართლე, პროკურორი, მილიცია, ყველაფერი ეს ბოროტებას უწყობს ხელს? არა, ამხ. იმნაიშვილო! არ ვიცი ვინ მოგცემს თქვენ [illegible] ცხვენიო ბოძზე გაკვრისათვის, პასუხი არავინ გაგებინოსთ?

ქ. გურგენაძე.

წერილებიდან

საგარეჯო, (გარე-კახეთი)

— ნისიას არ სცნობს. ჩვენი თემის მილიციის უფროსის თანაშემწე ლორთქიფანიძე ნიადაგ სამიკიტნოებში დაძვრება და იმდენად გამსუნაგდა. რომ სჭამს, სვამს და ფულის გადახდას კი არ ფიქრობს. ამას წინად მას მიკიტანმა ფული მოსთხოვა. ფულის ნაცვლად ლორთქიფანიძემ ხანჯლისა და რევოლვერის ტრიალი დაიწყო მიკიტანს რომ ვერა დააკლო, ბოთლებს მისდგა და ისინი დამტვრია.

გორხანელი.

დიდინეჯი, (ზუგდ. მაზრა)

— გაგვიხსენით კრედიტი. დარჩელის მთლიან ეპოს გახსნილი აქვს დიდინეჯში ეპოს განყოფილება, სადაც ყოველგვარი სურსათ-სანოვაგე მოიპოვება, მაგრამ სამწუხაროდ ეს საქონელი მოსამსახურეთათვის მიუწდომელია, ვინაიდან ჯამაგირის აღებამდე საქონელი ყოველთვის გამოლეულია და ეს პირები ძალაუნებურად უვარდებიან ხელში კერძო ვაჭრებს. კარგი იქნება დარჩელის „ეპო"-ს გამგეობა გაითვალისწინებდეს ამას და გაგვიხსნიდეს კრედიტს, ყოველ ჯამაგირის მიღებამდე.

იქაური.

მუშათა ცხოვრება

დადგენილება უნდა გატარდეს

უმუშევრობასთან ბრძოლა ჩვენ მთავარ საზრუნავ საგანს შეადგენს. ჩვენი ხელისუფლება ყოველ წლობით განსაზღვრულ თანხას სდებს სხვადასხვა საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად, შრომის კოლექტივების დასაარსებლად და სხვ. სადაც უმთავრესად უმუშევრები იგზავნებიან სამუშაოდ. მთავრობასთან ერთად პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც ათასგვარ საშუალებას მიმართავენ უმუშევრობის შესასუსტებლად. მაგრამ საჭიროა, რომ ამ ორგანიზაციებს გვერდში ამოუდგნენ და ყოველგვარი დახმარება გაუწიონ თვით უმუშევრებმა. თუ უმუშევრებმა თვითონ არ შეუწყვეს ხელი მთავრობას და პროფორგანოებს, ისე ძნელი იქნება უმუშევრობასთან წარმატებითი ბრძოლა და ამ საზოგადოებრივი სენის შესუსტება.

ამას კი ჩვენ დღეს ვერ ვხედავთ. ხშირი შემთხვევაა, რომ უმუშევარს აგზავნიან სამუშაოზე და ის კი არ მიდის—ხან თვით სამუშაო არ მოსწონს, ხან ჯამაგირის სიცოტავეა მიზეზი; არის შემთხვევა, რომ უმუშევარი უარს ამბობს თავის სპეციალობის სამუშაოზე წასვლაზე. ზოგი კი არ თანხმდება დროებით სამუშაოს.

ეს ხელს უშლის იმ ზომების გატარებას, რომელსაც მიმართავენ მთავრობა და სხვა ორგანიზაციები უმუშევართა დასახმარებლად, და არევ-დარევა შეაქვს უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეში.

უმუშევრების მიერ სამუშაოზე წასვლაზე უარის თქმის წინააღმდეგ საბრძოლველად საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატმა გამოსცა ცალკე დადგენილება. ამ დადგენილებაში ჩამოთვლილია შემთხვევები, თუ როდის არ შეიძლება ჩაითვალოს საპატიო მიზეზად უმუშევარის მიერ სამუშაოზე წასვლაზე უარის თქმა. მოვიყვანოთ ზოგიერთი მუხლები: როდესაც კვალიფიციური მუშა ან მოსამსახურე უარს ამბობს თავის სპეციალობის სამუშაოზე წასვლაზე, თუ გინდ ნაკლები ჯამაგირიანი იყვეს ეს სამუშაო, ვიდრე ის იღებდა წინად. თუ უმუშევარი უარს ამბობს დროებით სამუშაოზე წასვლაზე, თუნდაც ეს სამუშაო მის პროფესიას არ ეკუთვნოდეს; როდესაც უმუშევარი უარს ამბობს შრომის ბირჟის მიერ მოწყობილ საზოგადო სამუშაოში მონაწილეობაზე, თუ გინდ ეს სამუშაო მის სპეციალობის არ იყვეს და სხვ.

შრომის კომისარიატის დადგენილებით თუ უმუშევარი საპატიო მიზეზს წარმოადგენს სამუშაოზე წასვლის უარის თქმის შემთხვევაში, პირველად მას მოეხსნება დახმარება ერთი თვით, შემდეგ კი სრულიად და აგრეთვე მოხსნილი იქნება შრომის ბირჟის აღრიცხვიდან.

ეს დადგენილება უსათუოდ მიზანშეწონილია, ის ხელს შეუწყობს უმუშევრობის შესუსტებას. დადგენილება სრულიად უნდა გატარდეს ცხოვრებაში. მის გატარებაში თვით უმუშევრებმა უნდა დაეხმარონ სათანადო ორგანოებს.

ი.

მოგვაშორეთ ხულიგნები

მუხრანის ქუჩის და ანჩისხატის ქუჩის კუთხეში მდებარეობს სახლი № 25, ამ სახლის კუთხეში თავს იყრიან აუარება ავარები. ხსენებული სახლის შესავალ კარებთან მოიყრიან თავს და მთელი დღეობით მოსვენებას არ აძლევენ აქ მცხოვრებლებს. აღარ შეესვლება ამ კარებში ახალგაზრდა ქალს და არც ბავშვს. იყო შემთხვევაც, როდესაც ერთ აქ მცხოვრებ ქალიშვილს უშვერი სიტყვებით მიმართეს და ხელითაც კი მოინდომეს შეურაცხყოფა.

მცხოვრებლების შეკითხვაზე თუ რად იყრიან თავს აქ, ისინი ავარული კილოთი უპასუხებენ. „ეს ჩვენი უბანიაო".

ჩვენც იმედი გვაქვს, რომ მეოთხე უბნის მილიც. უფროსი მათ ლაგამს ამოსდებს.

წითელი ელდა.

ცოტა რამ საწარმოო თათბირების შესახებ

საწარმოო თათბირებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი წარმოების აღორძინების საქმეში. მაგრამ საწარმოო თათბირების მუშაობა ადგილებზე ჯერ ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. ამ მხრივ ბევრი ნაკლი გვაქვს გამოსასწორებელი. საწარმოო თათბირების მთავარი ნაკლი ეს არის ადგილობრივ სამეურნეო ორგანოებთან ცუდი განწყობილება. ხშირად ადმინისტრაციასა და საწარმოო თათბირებს შორის ზღუდეა ამართული. ზოგიერთ შემთხვევაში საწარმოო თათბირების გადაწყვეტილებები ადმინისტრაციისათვის მიუღებელი რჩება, რაც უკმაყოფილებას იწვევს თათბირის მონაწილეთა შორის. ხშირად საწარმოო თათბირში მთელ თავის სხდომებს ანდომებენ საკითხის გამორკვევას, თუ რა მიზეზითაა მიუღებელი ადმინისტრაციისათვის თათბირის ესა თუ ის დადგენილება. ამას თან მოსდევს ერთმანეთში კინკლაობა და სხვა ასეთები, რაც ხელს უშლის საწარმოო თათბირების მუშაობას.

საწარმოო თათბირები იმისათვის კი არ უნდა იქნეს მოწვეული, რომ გამოარკვიოს ვინ არის დამნაშავე ამა თუ იმ დადგენილების შეუსრულებლობაში, არამედ იმისათვის, რომ გამოარკვიოს, რა საშუალებით უნდა გამოსწორდეს იგი, რომ შრომამ უფრო მეტი ნაყოფი მისცეს წარმოებას. ადმინისტრაცია მხურვალე მონაწილეობას უნდა ღებულობდეს საწარმოო თათბირებში და აძლევდეს ყოველგვარ ახსნა-განმარტებას თათბირების მონაწილეებს, რა შედეგს მოიტანს თათბირის ესა თუ ის დადგენილება და მისი სისრულეში მოყვანა. ადმინისტრაცია და საწარმოო თათბირებს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ურთმანეთოდ მათ მუშაობას არავითარი ნაყოფი არ ექნება. ისინი ხელიხელ ჩაკიდებული უნდა მუშაობდენ და ხელს უწყობდენ წარმოების წინსვლელობას.

მეორე ნაკლი საწარმოო თათბირებისა გამოიხატება საწარმოო თათბირებზე ისეთი საკითხების გარჩევაში, რომელიც დაკავშირებულია არა ადგილობრივ საქმიანობასთან, არამედ საერთო საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციასთან.

ფაბრიკა-ქარხნების საწარმოო თათბირებზე ასეთი საკითხების განხილვა დამახინჯებაა საწარმოო თათბირების მნიშვნელობისა. ეს ვერ გამოიწვევს მუშების ყურადღებას და მუშათა ფართო მასას ვერ ჩააბამს თათბირის საქმიანობაში. საწარმოო თათბირებზე უმთავრესად უნდა ირჩეოდეს ადგილობრივი წარმოების საკითხები.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ადგილობრივი მომუშავე, საწარმოო თათბირებს ვერ უწევს სათანადო ხელმძღვანელობას. ხშირად მთელი წლის განმავლობაში არ მოწვეულა საწარმოო თათბირები და ამის შესახებ ადმინისტრაცია და არც პროფუჯრედი არ ზრუნავს. ამის მაგალითს ძალიან ბევრს შეხვდებით ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში.

აქ ჩამოთვლილი ნაკლი აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

ვ. ნ.

ზეიმი ავჭალის წყალსადენში

25 თებერვალს ავჭალის წყალსადენის კლუბში საქართველოს გასაბჭოების 6 წლის და წითელ არმიის 9 წლის თავის აღსანიშნავად ჩატარდა ზეიმი.

ამხ. კორომშინიძემ გააკეთა მოხსენება ექვსი წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების მიღწევების შესახებ და წითელი არმიის 9 წლის არსებობის შესახებ. მოხსენების ირგვლივ კრებამ გამოიტანა სათანადო რეზოლუცია.

მ. ასლამაზიშვილი.

ასეთებს ვერ დავინდობთ

7 მარტს ტყავ-ტრესტის კლუბში შესდგა ტყავ-ტრესტის ფეხსაცმელების, ქეჩას ქარხნების და მთავარ სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებამ მუხლობრივ განიხილა და დაამტკიცა კოლექტიური ხელშეკრულება.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ტყავ-ტრესტის მმართველი ამხ. ე. არჩვაძე, რომელმაც გააცნო დაწვრილებით ტყავ-ტრესტის მდგომარეობა. კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო მოხსენება.

ბოლოს ისევ მოხსენებით გამოვიდა ამხ. არჩვაძე, რომელმაც დაწვრილებით გააცნო მუშა-მოსამსახურეთ საწარმოო ტექნიკურ ნაწილის ყოფ. გამგე გრიგოლ ადელხანოვის დათხოვნის მიზეზები. ჩვენ არას ვიტყვით, რომ ის სრულიად ვერ ეგუებოდა და საერთოდ არ იზიარებდა ჩვენს საერთო პოლიტიკას; გამოირკვა, რომ მას თავის სპეცობით ზარალიც მიუყენებია ტრესტისათვის, მან გაატარა რაციონალიზაცია და მექანიზაცია, რასაც უნდა მოჰყოლოდა ნაწარმოებზე ფასების დაკლება. მაგრამ მიიღეთ წინააღმდეგი.

ის ორჯერ გაგზავნეს საზღვარგარეთ, რათა ჩამოეტანა მანქანები და შეესწავლა ტყავეულობის უკეთესად დამუშავება, მაგრამ უკეთესის მაგივრად ათასობით ტყავი წაახდინა, რამაც დიდი ზარალი მისცა ტრესტს.

ყოველივე ამაზე, როდესაც მმართველმა მოითხოვა განმარტება და მიზეზი, იგი უპასუხებდა აბდა-უბდით. ასეთი მისი საქციელი კი მოწმობდა, რომ იგი ამას სჩადის ან განზრახ ჩვენს დასამცირებლად, ან და არ ცოდნით.

სწორედ ამიტომაც მუშებმა არ იკმარეს მარტო დათხოვნა და კრებამ ერთხმად დაადგინა, რათა დათხოვნასთან ერთად იგი მიეცეს პასუხისგებაში.

ჩვენ დიდი პატივს ვსცემთ სპეცებს, მაგრამ გაიძვერა სპეცებს, საკადრის პასუხს გავსცემთ. აი რა სთქვეს მუშებმა: ჩვენ პირობას ვსდებთ რომ გამოვიჩინოთ მეტ უნარსა და მეტ ნიჭს, რათა ავაყვავოთ ჩვენი წარმოება.

რიხვა.

მუშათა ქრონიკა

— **საუბნო კომიტეტის გადარჩევა.** 3 მარტს მოხდა ხაშურის საუბნო კომიტეტის გადარჩევა ახალ საუბნო კომიტეტში არჩეულია თავმჯდომარედ ამხ. კაპანაძე, მდივნად ამხ. ნიკო ვაჭარაძე, საუბნო დამზღვევ სალაროს თავმჯდომარედ ამხ. ძაძამია. შრომის ინსპექტორად ამხ. მჯვრელიშვილი და ინსტრუქტორად ამხ. მჭედლიძე და ლოლაძე.

— **ფასების დაკლება.** „ზაკტპოს" გამგეობამ ფასების დაკლების სწორედ გასატარებლად გამოყო კომისია.

— **გამგეობის გადარჩევა.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბის გამგეობის გადარჩევა მოხდება დღეს.

— სად. თბილისის მოძრაობის დარგის საწარმოო თათბირმა დაადგინა დააკმაყოფილოს მემუხრუჭენი რონოდების სათბობ მასალით.

— **წარმოდგენა.** დღეს ტრამვაის კლუბში წარმოდგენილი იქნება პიესა „სტუმარ მასპინძლობა".

— **კავშირში მიღება.** თბილისის საყუდის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ კავშირში მიიღო 12 კაცი.

— **კედლის გაზეთი.** რკ. გზ. მთავარ სახელოსნომ გამოუშვა კედლის გაზეთი „საყვირის" სახელწოდებით.

— **სადამო.** 8 მარტს პლეხანოვის სახ. კლუბში ქალთა დღის აღსანიშნავად გაიმართა სადამო.

— **რონოდები.** სადგ. თბილისიდან თებერვალში რკინის გზის ხაზის მიმართულებით გაიგზავნა 8191 რონოდა. ამავე თვეში ბათომის მიმართულებით გაიგზავნა 6.031 რონოდა.

— **„შეშლილნი".** დღეს ორჯონიკიძის სახ. კლუბში ვ. ნინიძის ხელმძღვანელობით წარმოდგენილი იქნება პიესა „შეშლილნი".

უქ—ი.

— პლეხანოვის სახ. კლუბის გამგეობამ რკ. გზ. წითელ არმიის მეთე ათასეულთან კულტურულ კავშირის დასაჭერად გამოჰყო ერთი გამგეობის წევრი.

ა.-კ. ცაკის სესიები

ა. კ. ცაკის პრეზიდიუმმა უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, მალიარიის საწინააღმდეგო ა.-კ. ყრილობის და იუსტიციის სახ. კომისარიატების ა.-კ. თათბირის მიერ გამოტანილ ყველა რეზოლუციების დეტალური განხილვის მიზნით დაარსებულ იქნეს კომისია.

მალიარიის საწინააღმდეგო ა.-კ. ყრილობის რეზოლუციების გასახილველათ არჩეულ კომისიაში შედიან ამხ. შავერდოვი, იაკუბოვი და სტურუა, იუსტიციის სახ. კომისარიატების ა.-კ. თათბირის რეზოლუციების განსახილველად არჩეულ კომისიაში კი შედიან ამხ. შავეიდოვი და ელიავა, რომელთაც თუ საჭირო იქნება (მათი აქ არ ყოფნის გამო) შესცვლიან ამხ. ვარძიელი და იაკუბოვი.

ახალი სახელმწიფო სესხი

სესხის რეალიზაცია პროვინციაში.

ახალ სახელმწიფო სესხის რეალიზაციისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად საქართველოს ფინსახკომმა კახეთში, ქიათურაში და ხაშურში გაგზავნა ამხ. მარგველაშვილი.

ხელშეკრულება.

ახალ სახელმწიფო სესხის რეალიზაციის მიზნით საქ. ფინსახკომმა ხელშეკრულება დასდო. სასოფლო-სამ. ბანკთან, კომუნალურ ბანკთან და საურთიერთო ნდობის საკრედიტო ამხანაგობებთან, რომელთაც დაევალათ სესხის ობლიგაციების რეალიზაცია. რეალიზაციიდან ნახევარ პროცენტს მიიღებენ აღნიშნული ბანკები და ამხანაგობები.

სავალიუტო მაღაზიები.

ბათომში და ქუთაისში დაარსდა სპეციალური მაღაზიები, რომლებიც განაგებენ სავალიუტო საქმეს და კერძოთ უხელმძღვანელებენ ახალ სახელმწიფო სესხის გავრცელებას.

მაღაზიები დაარსებულია სანიმუშოთ და, თუ ისინი გაამართლებენ მოთხოვნილებებს,—დაარსდებიან სხვაგანაც.

ხელშემწყობ კომისიაში.

ახალ სახელმწიფო სესხის რეალიზაციის ხელშემწყობ კომისიას მოსდის დიდძალი განცხადებები წარმოება-დაწესებულებებში მომხსენებლების გაგზავნის შესახებ.

წმინდა მოგების 10 % ადგილობრივი ბიუჯეტის გასაძლიერებლად

საკავშირო სახკომსაბჭოს 1927 წ. იანვრის თორმეტის დადგენილების თანახმად, ნედლეულის დამამზადებელი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან განსაზღვრული წილი (10 პროცენტი) წმინდა მოგებიდან გადარიცხონ ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტში. ასეთი ორგანიზაციების სიას იმუშავებს ფინსახკომი სახალხო მეურნ. უმაღლეს საბჭოსთან და შინავაჭრობის კომისარიატთან შეთანხმებით. რესპუბლიკანური დამამზადებელი ორგანიზაციების სიის შემუშავება კი დავალებული აქვს რესპუბლიკანურ ფინსახკომს, შინავაჭრობის კომისარიატს და ს. მ. უ. საბჭოს.

ხსენებული ორგანოების მიერ შემუშავებული იქნა საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედი დამამზადებელ ორგანიზაციათა სია და ასეთებად ცნობილი იქნენ: 1) ს. მ. უ. საბჭოს თამბაქოს ტრესტი, 2) ს. მ. უ. საბჭოს ტყავტრესტი, 3) ს. მ. უ. საბჭოს „საქართველოს აბრეშუმი", 4) ს. მ. უ. საბჭოს „საქსახსპორტი", 5) სახალხო მამულების ტრესტი, 6) სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა, 7) „აჭარვაჭრობა" და 8) „აფხაზეთის ვაჭრობა".

ხსენებული ორგანოები ვალდებულნი იქნებიან ნედლეულის დამზადების წმინდა მოგებიდან 10 პროცენტი გადარიცხონ ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტში.

ფასების დაკლების კამპანია

ფართლეულის ფასის შემცირება კერძო ბაზარზე.

როგორც ვიცით, ფართლეულის ბაზრის მოსაწესრიგებლად თბილისში დაარსდა ფართლეულით კერძო მოვაჭრეთა კომიტეტი, რომელსაც გვიმიანი წესით ეძლევა ფართლეულის ყოველთვიურად განსაზღვრული რაოდენობით. კერძო მოვაჭრეთა კომიტეტი ვალდებულია ფართლეულობა იმ ფასებში გაჰყიდოს, რომელსაც ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველო აწესებს.

ამჟამად ფართლეულობაზე ზედნართის შემცირების გამო, რაც მოხდა კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის, რწმუნებულის სამმართველომ სათანადოთ შეამცირა კერძო მოვაჭრეთა კომიტეტის ზედნართიც, რათა ფასები გათანასწორებულ იქნეს. კომიტეტს უფლება აქვს ფართლეულით ვაჭრობის დროს დააწესოს ზედნართი არა უმეტეს 30 პროცენტისა ტრესტების ფასებზე.

ასეთივე კომიტეტი არსებობს ქ. ქუთაისშიაც. ქუთაისის კერძო მოვაჭრეთა კომიტეტს რწმუნებულის სამმართველომ მისცა ერთი რონოდა ბამბეული ფართლეული და 1.600 მანეთის ზოლის ნაკეთობა.

ფასების დაკლება „გრუზგოსტორგ"-ის სავაჭრო განყოფილებაში.

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს—„გრუზგოსტორგ"-ის სავაჭრო განყოფილება იღებს ყოველგვარ ზომებს ფასების დასაკლებად. მიმდინარე წლის დასაწყისიდან 4 მარტამდე საქონლის ფასი დაკლებულ იქნა საშუალოდ 3 პროცენტით, ხოლო 4 მარტიდან „გრუზგოსტორგ"-ის სავაჭრო განყოფილებამ კიდევ უფრო შესამჩნევად დაკლო ფასებს.

თანახმად საქართველოს შინავაჭრობის სახალხო კომისარიატიდან 4 მარტის თარიღით მიღებული ცირკულიარისა, რომელიც წინადადებას აძლევდა „გრუზგოსტორგ"-ის სავაჭრო განყოფილებას გადაესინჯა ფასები დაკლების მიზნით ზოგიერთ საგნებზე, სავაჭრო განყოფილებამ იმავე დღეს შეადგინა კომისია, რომელმაც დაადგინა 5 მარტიდან კიდევ უფრო დაეკლო ფასები. სახელდობრ დაკლებულ იქნა ფასები შემდეგ რაოდენობით: მანუფაქტურაზე—6 პროცენტით, პარფიუმერიაზე — 10%—30%-ით, გალანტერეიაზე—10 პროცენტით, ფეხსაცმლებზე და ტყავეულობაზე—5 პროცენტით. ჭურჭლეულობაზე—5 პროცენტით, რკინეულობაზე და საღებავ მასალებზე—8 პროცენტით.

გურიის ნავთი

მუშაობის დაწყება

კარგი ამინდების დადგომის გამო გურიის ნავთიანი ადგილების გამოსაკვლევი მუშაობა დაუბრკოლებლივ მიმდინარეობს. საბურღავ მოწყობილობათა დადგმა და მთელი წინასწარი მუშაობა დასრულდება მარტის ბოლო რიცხვებისათვის. ამავე დროიდან დაიწყება მაბურღლების გათხრა და ნავთის საცდელი ნიმუშების ამოღება.

გურიის ნავთიანი ადგილების გამომკვლევი ტექნიკური პერსონალი ამჟამად აწარმოებს აგრეთვე ნავთიანი ადგილების ექსპლოატაციის გეგმის დამუშავებას გათხრების საშუალებით.

დეპეში

საბუღალტრო კურსები

პროფტექნიკურ განათლების მთავარსამმართველოს კოლეგიამ ამ დღეებში დაამტკიცა საბუღალტრო და ანგარიშწარმოების კურსების დებულება. დებულებაში აღნიშნულია, რომ კურსებზე მსმენელებათ მიიღებიან წლოვანებით არა უმცროსი 17 წლისა და ვისაც აქვს საერთო განათლების ცოდნა 9 წლიან შრომის სკოლის პროგრამების ფარგლებში.

ეს არ ვრცელდება იმ მუშა-მოსამსახურეზე, რომლებიც ანგარიშწარმოების დარგში მუშაობენ და კურსებზე მოისურვებენ შესვლას კვალიფიკაციის ასაწევად.

ყოველ კურსებზე მისაღებ მსმენელთა რიცხვი განისაზღვრება სამოცი მსმენელით, ხოლო პრაქტიკულ ვარჯიშობის მუშაობის დროს მსმენელთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 25-ს.

საბინაო მშენებლობა

საქ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ტექნიკურმა თათბირმა დაამტკიცა ტყიბულის მაღაროების მუშებისათვის საცხოვრებელ სახლების აგების პროექტები ამ პროექტების მიხედვით, ტყიბულში აგებული იქნება 3 საერთო საცხოვრებელი სახლი უცოლშვილო მუშებისათვის, 2 სახლი—ოჯახიან მუშებისათვის, აქედან 1 სახლი, იქნება ერთსართულიანი 8 ბინით და 1 ორსართულიანი—ისიც 8 ბინით. საერთო საცხოვრებელ სახლების აგება დაჯდება 149.100 მანეთი, ერთსართულიან შენობის—44.976 მანეთი, ორსართულიანის—78.903 მანეთი. სულ ამ შენობების ასაგებათ უმ. ეკ. საბჭოს [illegible] განყოფილებას გადაეცა 273.079 მანეთი. სახლების აგებას შეუდგებიან მაისში,

ინჟენერ-ტექნიკოსთა ყრილობა

მეხუთე დღე

პროფტექნიკური განათლება

ინჟენერ-ტექნიკოსთა ყრილობის მეხუთე დღის დილის სხდომაზე პროფტექნიკური განათლების შესახებ მოხსენება წაიკითხა ამხ. ნ. [illegible]

მსხვილი მრეწველობის განვითარება, სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია, შინამრეწველობის ზრდა და მასების მისწრაფება სპეციალური განათლებისადმი—ყველა ეს საკითხები მოითხოვენ ტექნიკური განათლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

ვიდრე დაიწყებოდეს სათანადო მუშაობა სპეციალურ-ტექნიკურ სასწავლებელთა ტიპის გამოსამუშავებლად და მოსაწყობად, საჭიროა, სასწრაფოთ აღრიცხული და გამორკვეული იქნეს საჭირო კვალიფიციურ მუშა-ხელის რაოდენობა, მათი კვალიფიკაცია და სპეციალობა, რომ პროფტექნიკურ სასწავლებლის ორგანიზაციას არ მიეცეს სტიქიური და უგეგმო ხასიათი. ჩვენში ამჟამად კვალიფიციურ მუშა-ხელის დიდი ნაკლებობაა აგრეთვე გახსნილი და სათანადოთ მოწყობილი უნდა იქნეს ტექნიკუმები და საფაბრიკო-საქარხნო სკოლები საფეიქრო, სამთო და სააღმშენებლო მრეწველობისათვის იმ ანგარიშით, რომ [illegible] ლის რაოდენობა შეეფარდებოდეს ჩვენი ქვეყნის უახლოეს საჭიროებას.

უნდა მოეწყოს პროფტექნიკური კურსები ახალგაზრდა და მოზრდილი მუშების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. კვალიფიკაციური მუშაკების, განსაკუთრებით დაბალი კვალიფიკაციის მუშა-ხელის მომზადებას მრეწველობისათვის ჩვენი სახალხო მეურნეობის არსებითი და გადაუდებელი მოთხოვნილებაა.

პროფტექნიკური განათლების საკითხებმა გამოიწვიეს გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა. სხვადასხვა დარგის სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავდენ, რომ საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მიექცეს არა მაღალი და საშუალო კვალიფიკაციის, არამედ დაბალ კვალიფიკაციის მუშა-ხელის მომზადებას, რათა მსხვილი მრეწველობის განვითარების პირობებში თავიდან აცილებული იქნეს მომზადებულ მუშა-ხელის კრიზისი.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრონომ გედევანიშვილის მოხსენება აგრო-დახმარების შესახებ.

საღამოს სხდომა

ა.-კ. რკინის გზები

საღამოს სხდომაზე ყრილობა ისმენს ამხ. ივანოვის მოხსენებას ამიერ-კავკასიის რკინისგზების ტექნიკურ, ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს რა ამიერ-კავკასიის რკინის გზების ტექნიკური მდგომარეობის საგრძნობლად გაუმჯობესებას, ეხება იმ მიზეზებს, რომელნიც აბრკოლებენ მისი ძალოვანების უფრო ჩქარი ტემპით წინსვლელობას. ამ მიზეზებს შორის პირველი ადგილი უჭირავს ხე-ტყის მასალის საკმაო რაოდენობით მიუწოდებლობას—სატყეო ტრესტების მხრით, რომელნიც სანახევროდაც ვერ ასრულებენ შეკვეთებს.

ჩვენი ტრანსპორტის დატვირთვა თანდათან იზრდება, ტვირთბრუნვა მატულობს, მიუხედავად ამისა რკინის გზა განიცდის ფინანსიურ კრიზისს, რომლის ძირითად მიზეზს წარმოადგენს მცირე საბარგო და სამგზავრო ტარიფი და აგრეთვე დიდი ხარჯები, რომელიც მისს აღდგენას სჭირდება. ეხება რა რკინის გზის ნაკლულოვანებებს, მომხსენებელი ჩერდება მარცხის შემთხვევებზე, რომელიც წელს აბსოლიუტურად უმატნია, მაგრამ დატვირთვას და მოძრაობის ზრდასთან შედარებით კი დაუკლია. შემდეგ მომხსენებელი ყრილობას საკმაოდ ვრცლად აცნობს რკინის გზის მშენებლობის უახლოეს პერსპექტივებს.

ამავე სხდომაზე ყრილობამ მოისმინა გზატკეცილების სამმართველოს და საზღვაო ტრანსპორტის წარმომადგენელთა მოხსენებები.

თბილისის აღმასკომში

მუშა-მოსამსახურეთა მიღება საღამოობით

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის უძრავ-ქონებათა სამმართველოს (უქს—ი) ყოველდღე უამრავი ხალხი მიმართავს სხვადასხვა საკითხების გადაჭრა-გამუქების მიზნით, ზოგჯერ პრკოლდება და შეუძლებელი ხდება მათი დროზე მიღება და საჭირო განმარტების მიწოდება. ამას გარდა, უამრავი ხალხის ყოველდღიურად მიღება მეტად ხელს უშლის და აფერხებს თვით სამმართველოს აპარატის ნაყოფიერ მუშაობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის უხერხულობა, რომელიც ამით შექმნილია იმ მუშა-მოსამსახურეთათვის, რომლებიც თუ სამმართველოში მისვლა ესაჭიროებათ, იძულებული არიან მოსწყდენ თავიანთ სამუშაოს.

ყოველივე ზემოხსენებული გაითვალისწინა სამმართველომ და საჭიროდ სცნო გარდა მიღების ჩვეულებრივი დღეებისა და საათებისა (უქს—ის გამგე—ყოველდღიურად,—გარდა ორშაბათისა და ხუთშაბათისა,—12—2 საათამდე, უქს—ის გამგის მოადგილე—ყოველდღიურად,— გარდა ხუთშაბათისა,— იმავე საათებში და ქვეგანყოფილებების გამგეები ყოველდღიურად—დილის 12 საათიდან) დაეწესოს მხოლოდ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის სპეციალური საათები მიღებისა ხუთშაბათობით, საღამოს 6 საათიდან. ასეთი მიღების პირველ დღედ დანიშნულია მიმდინარე მარტის 10 რიცხვი.

მიღებას აწარმოებს

უქს—ის გამგე ამხ. კალანდაძესთან (ოთახი № 304), გამგის მოადგილე ამხ. ბაბუნაშვილთან (ოთახი № 306), საიჯარო საექსპლოატაციო ქვე-განყოფილების გამგე ამხ. ადამოვთან (ოთახი № 316), სააღრიცხვო-საინსპექტორო ქვეგანყოფილების გამგე ამხ. ხუციშვილთან და მის მოადგილე ამხ. ბახტაძესთან (ოთახი № 314), საბინაო კოოპერაციის ქვე-განყოფილების გამგე ამხ. ცხომელიძესთან (ოთახი № 320), საბჭოთა სახლების სამმართველოს გამგე ამხ. ტეროშელიძესთან (ოთახი № 325), საბინაო სექციის გამგე ამხ. დათეშიძესთან (ოთახი № 309), კანცელარიის გამგე ამხ. სალუქვაძესთან (ოთახი № 318).

ქრონიკა

ამხ. ფილიპე მახარაძის მისასალმებელი დეპეშა

საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ფ. მახარაძემ ქვემო-მაჩხაანის საბჭოთა ყრილობის პრეზიდიუმს გაუგზავნა შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

მხურვალე სალამს უძღვნი ქვემო მაჩხაანის და საერთოდ მთელი ქიზიყის მშრომელ გლეხკაცობას. ვუსურვებ მას წარმატებას და წინსვლას საბჭოთა აღმშენებლობაში.

ფილიპე მახარაძე.

საბჭოთა არჩევნების შედეგები თბილისის მაზრაში.

თბილისის აღმასკომის სტატისტიკურმა განყოფილებამ დაასრულა მასალების დამუშავება თბილისის მაზრაში ჩატარებულ საბჭოთა არჩევნების შესახებ. სულ თბილისის მაზრაში აღრიცხული იყო 83.463 ამომრჩეველი. აქედან არჩევნებზე, გამოცხადდა 45.692 მოქალაქე.

მაზრის საბჭოებში სულ არჩეული არის 1.676 დეპუტატი, მათ შორის 169 ქალი და 1.507 კაცი. აღმასკომებში არჩეულია 153 წევრი, მათში 151 კაცი და 6 ქალი.

საბჭოებში გასული დეპუტატები პარტიულობის მხრივ ნაწილდებიან შემდეგნაირად: კომპარტიის წევრი და კანდიდატი 58 პროცენტი, კომკავშირელები 5,7 პროც. და უპარტიონი—33,8 პროცენტი.

პროფ. ნ. მუსხელიშვილის არჩევა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის დეკანათ არჩეულია პროფესორი ნ. მუსხელიშვილი.

ახალი სამალარიო სადგურები.

მალარიასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა წელს ააგოს კიდევ ორი სამალარიო სადგური ბორჩალოსა და გორის მაზრებში. სადგურების გახსნისათვის სათანადო ადგილების ასარჩევად ჯანმრთელობის კომისარიატი ადგილობრივ აგზავნის ექიმ მარუაშვილს. აღნიშნული სადგურები მოეწყობა მედიცინის უკანასკნელ მიღწევების მიხედვით და მათში სამუშაოთ მოწვეული იქნებიან სპეციალისტი ექიმები.

თბილისის აღმასკომში.

◆ **ახალ კომუნალურ წარმოებების** დასაწყებათ აღმასკომის დადგენილებით არსდება კომუნალურ მეურნეობის სააღმშენებლო სპეციალური მიზნობრივი ფონდი.

◆ **საუწყებათაშორისო თათბირზე** აღმასკომის მუდმივ წარმომადგენლად დაინიშნა ამხ. ე. ლეჟავა.

◆ **ასურეთის თემაღმასკომს** თემის საჭიროებისათვის დამატებით გადაეცა 663 მანეთი.

◆ **თიანეთის მასწავლებელთა ხელფასის** დავალიანების გასასტუმრებლად აღმასკომმა გადასდო 626 მ.

◆ **აბულაილის კომუნა.** აღმასკომმა გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა კომუნალურ ბანკის წინაშე აბულაილის კომუნისათვის 4.000 მ. მიცემის შესახებ სესხად.

განათლების კომისარიატში

◆ **უმაღლეს სასწავლებლებში** შემსვლელ მოსწავლეთა მოკლე ვადიან კურსების დებულების დასამუშავებლად გამოყოფილი იქნა კომისია ამხ. მარიამ ორახელაშვილის თავმჯდომარეობით და პროფ. კ. კეკელიძის და მხ. მეძმარიაშვილის შემადგენლობით.

◆ **რ.ს.ფ.ს.რ. უმაღლეს სასწავლებლებში.** შესდგა კომისია, რომელსაც დაევალა გამოარკვიოს თუ რამდენი ადგილი დაეთმობა საქართველოს მომავალ სასწავლო წლიდან რ.ს.ფ.ს.რ. უმაღლეს სასწავლებლებში.

მიწ.-მოქ. სახალხო კომისარიატში

◆ **მეფუტკრეობა.** მიწსახკომის ცნობით ამჟამად აჭარისტანში მოწყობილია 42 საჩვენებელი საფუტკრე.

◆ **კულტურულ მეურნეობის** გასავრცელებლად აჭარისტანში დღემდე მოეწყო 166 საჩვენებელი კულტურული მეურნეობის ნაკვეთი.

დამზღვევ სალაროში

◆ **დაზღვევის კამპანია** თბილისში დაიწყება ამ თვის ბოლო რიცხვებში.

◆ **სიმულიაციისათვის.** სალარომ სიმულიაციისათვის პასუხისგებაში მისცა აგურის ქარხნების სამმართველოს თანამშრომელი კვახაძე, რომელიც გასამართლებული იქნება საჯაროთ.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **ფორთოხალი.** ოსმალეთიდან მიღებული იქნა 21.270 კილო ფორთოხალი.

◆ **ნავთის გატანა.** 6 მარტს ნავთის სინდიკატმა უცხოეთში გაგზავნა 350 ტონი ნავთის ნაწარმოები.

◆ **კაკლის ხე.** საგარეო ვაჭრობის კომისარიატი ამ დღეებში საზღვარგარეთ გაიტანს კაკლის ხის ახალ პარტიას.

◆ **მუშათა მთლიანი კოოპერატივი** ამ დღეებში მიიღებს დიდძალ საგაზაფხულო ფართლეულობას.

კრედიტი.

20.000 მან. მეცხვარეობისათვის. 1926—27 წ. მეორე მეოთხედის ანგარიშში, ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს გაუხსნა კრედიტი 20 მანეთის რაოდენობით. ეს თანხა მოხმარდება მეცხვარეობას.

50.000 მანეთი „მწყემსს". საქართველოს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხ-ბა „მწყემსს" ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გაუხსნა კრედიტი 50.000 მანეთის რაოდენობით 22 აპრილამდე.

22.000 მან. მეთამბაქოობისათვის. ა.-კ. სასოფლო-სამ. ბანკმა აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკს მეთამბაქოობისათვის გაუხსნა კრედიტი 22.000 მანეთის რაოდენობით.

კრებები და მოხსენებები.

◆ **საქ. ისტორიო და ეთნოგრ. საზ-ბაში** პარასკევს, 11 მარტს, საღამოს 7 საათზე, საზოგადოების ჩვეულებრივ კრებაზე (საქ. მუზეუმის აუდიტორიუმში, ფურცელაძის ქ. № 1) მოხსენებას წაიკითხავს გიორგი ბოჭორიძე: „არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში". კრება საჯაროა.

◆ **მუშათა ახალ კლუბში** 14 მარტს, საღამოს 6 საათზე, მოწვეულია საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის უმუშევარ წევრთა საერთო საქალაქო კრება კავშირის ცენტრალურ გამგეობის ანგარიშის მოსასმენად და კავშირის სრ. საქართველოს მე-6-ე ყრილობის დელეგატების ასარჩევად.

კავშირის უმუშევარ წევრების დასწრება აუცილებელია.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **მიგაის საგასტროლოთ** დღეს ოპერის თეატრში მიდის „დემონი".

◆ **„ზოიას ბინა".** მუშათა თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება რუსულად „ზოიას ბინა".

◆ **საქართველოს კინომრეწველობა და სომხეთის კინომრეწველობა** ახლო ხანში ერთად შეუდგებიან დიდი სურათის გადაღებას ჩინეთის რევოლიუციონურ ცხოვრებიდან.

◆ **„ამერიკელი ძია".** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ამერიკელი ძია".

◆ **მუშათა თეატრის ქართული დრამა.** 12 მარტს დასადგმელათ ამზადებს აფინოგენოვის პიესა „რობერტ ტიმ", დადგმა რეჟ. მიხ. კორელის და ვახტანგ აბაშიძის. დეკორაციები შესრულებულია მხატვარ ბორის მიერ, მუსიკალური ილიუსტრაცია კომპოზიტორ—იონა ტუსკიასი.

ვინ იგზავნება სამუშაოზე.

დღეს შრომის ბირჟაში სამუშაოზე გასაგზავნათ უნდა გამოცხადდენ შემდეგი პირები: გონებრივ მუშაკთა სექციიდან: გრიგოლ კოზაკაშვილი, ვლადიმერ აბზიანიძე, ზაქრო ფორაქიშვილი, არჩილ ხუციშვილი, ალექსანდრე არუთინოვი, ოლღა გიგიშვილი, გრიგოლ თეიმურაზოვი. მედიცინის მუშაკთა სექციიდან: ექიმი იოზეფ რეისტმანი, ლუბა სოტნიკოვა. ელენე მიროტაძე; საწარმოო კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან—ი. ასლამაზიშვილი.

შემთხვევები

◆ **რუსთაველის პასაჟში** 8 მარტს ქურდობისათვის დააპატიმრეს ნიკოლენკო.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** 8 მარტს ბეგლიაროვის ქ. № 18 პანტელეიმონ გილაშვილის საწყობიდან მოიპარეს 300 მ. ნივთები.

◆ **7 მარტს მასწავლებელ ქალს ელენე ჭარეულიძეს,** რომელიც საქმიოდ იყო ჩამოსული სიღნაღის მაზრიდან, შუა ბაზარში ჯიბიდან ამოაცალეს საფულე 21 მანეთით და სხვადასხვა საბუთები.

◆ **ქურდების ბინის გაჩხრეკა.** 6 მარტს რიგის ქ. № 58 აღმოჩენილი და დაბეჭდილი იქნა ქურდებს თავშესაფარი, 8 მარტს ამ ბინის გაჩხრეკის განზრახვისათვის ადგილობრივ დაპატიმრებული იქნა გიორგი ილურიძე.

◆ **საბაჟოს ქ. მდებარე კოოპერატივში ზაქარია შარიქაშვილს** ამოაცალეს 105 მანეთი.

◆ **შეჭრობა.** 8 მარტს დააპატიმრეს ევგენი ნიკოლოზის ძე დვალი, რომელსაც ბრალდება გრიგოლ კეჭყამაძის სარდაფის გაქურდვა.

ხანძარი

ოზურგეთში, 9 მარტს დაიწვა სოფსის საკრედიტო ამხანაგობის შენობა. ცეცხლმა გაანადგურა წიგნები და ფულის საბუთები. საწყობში დაიღუპა დამზადებული საქონელი, მათ რიცხვში 200 ფ. კანაფი. გადარჩა სალარო. ზარალი ირკვევა.

თვითმკვლელობა.

10 მარტს დილით ფოთში დანით თავი მოიკლა ერმილე თრუიძემ (ჯორჯაძის ქ.).

თვითმკვლელობის მიზეზი ხანგრძლივი ავადმყოფობა.

გაფლანგვა.

როგორც ვსწერდით, ოზურგეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის თანამშრომელმა დ. ქურხაძემ გაიტაცა 8.000 მანეთი. შემდეგ მოხდენილ იქნა რევიზია; რევიზიით გამოირკვა, რომ ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს იოხებ ვოლკოვს გაუფლანგავს 2.258 მანეთი. ვოლკოვი პასუხისგებაში მიცემული.

აღსანიშნავია, რომ სახაზინო ფულების გაფლანგვა ხდებოდა სისტემატიურად. თანამშრომლებმა წინასწარ იცოდენ, თუ როდის იქნებოდა რევიზია.

რევიზიის დროს დანაკლისი ფული შეჰქონდათ სალაროში, ხოლო რევიზიის შემდეგ კი—უკანვე გამოჰქონდათ.

დედის მკვლელი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიულ განყოფილებაში მიღებულია ცნობა, რომ გორელმა გალუსტოვმა თელავში დანით მოკლა თავისი დედა შუშანიკა.

მკვლელი დაპატიმრებულია.

გამფლანგველის შეპყრობა.

უდეველის (ახალციხის მაზრა) თემაღმასკომის მდივანმა მირზა იბრაგიმოვმა შეკრიბა გლეხებს შორის სახელმწიფო დაზღვევის გადასახადი და აღებული ფული მიითვისა.

ახალციხის სისხლის სამართლის მილიციამ გამფლანგველი დააპატიმრა.

მკვლელობა.

ამ რამოდენიმე ხნის წინედ სოფ. ჩათმაში (სიღნაღის მაზრა) სტეფანე სეფიაშვილმა თოფით მოკლა ლევან ხეხნიაშვილი.

ქვემო-მაჩხაანის მილიციამ მკვლელი დააპატიმრა.

სასამართლო

კულაკის ოინები

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით გურში (ახალციხის მაზრა) გაარჩია ალექსანდრე ტაბატაძის და კოჩალის ხმალაძის საქმე.

1925 წელს ახალციხის მაზრის აღმასკომმა თემის აღმასკომებს დაუგზავნა ერთდროული დახმარება ღარიბ გლეხებზე დასარიგებლად. ურავლის გლეხკომმაც მიიღო 600 მანეთი, რომლიდანაც 500 მან. დაურიგა ღარიბ გლეხობას.

100 მანეთი უნდა მიეღო ღარიბ გლეხს ივანე ტაბატაძეს, მაგრამ ალ. ტაბატაძემ (ურავლის თემაღმასკომის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე) გლეხი დაარწმუნა იმაში, რომ გლეხკომი მას ფულს აძლევდა პროცენტებში და ამგვარი ოინებითა და ხრიკებით აიძულა გლეხი უარი განეცხადებია დახმარების მიღებაზე. ტაბატაძემ მიიმხრო ურავლის აღმასკომის თავმჯდომარე ხმალაძე—გამოართვა მას სიღარიბის მოწმობა და ამ გზით მიიღო 100 მანეთი.

სასამართლოში გამოირკვა, რომ ტაბატაძე კულაკი ყოფილა.

სასამართლომ ტაბატაძეს მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით, ხოლო ხმალაძეს დისციპლინარული წესით სასჯელის მოხდა.

წინასწარი განზრახვით თუ უცაბედად

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩა დ. გონჩაროვის საქმე.

გონჩაროვს ბრალი ედებოდა მოქ. აგაფანოვის მოკვლაში.

1926 წ. 14 ოქტომბერს, ბრალდებული მეეტლეებთან ერთად ღამით მოემგზავრებოდა მანგლისიდან თბილისში. მათთან ერთად იყო აგრეთვე მეეტლე აგაფანოვი.

მანგლისიდან წამოსვლისას გონჩაროვი და აგაფანოვი ძალზე დათვრნენ. გამოიარეს თუ არა რამოდენიმე ვერსი, მეეტლეები რაღაცაზე შეშინდნენ და ასტეხეს სროლა. ყველაზე ბოლოს რევოლვერი გაისროლა გონჩაროვმა. სროლის დროს აგაფანოვს ეძინა. გათენებისას შეამჩნიეს, რომ მოქ. აგაფანოვი სისხლში სცურავდა; მას მოხვედროდა გონჩაროვის მიერ გასროლილი ტყვია.

სასამართლომ სცნო, რომ გონჩაროვის მიერ მკვლელობა ჩადენილია უცაბედათ, რისთვისაც მიუსაჯა მას 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ბოროტმოქმედება შინამრეწველ ხელოსანთა კავშირში

(ედიბერიძის და ქურდოვანიძის საქმე)

პირველი სხდომა

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ი. სიჭინავას თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: დუნდუას და დევიძის, პროკურორ ბაკელიას და მდივან შ. ტატიშვილის მონაწილეობით დაიწყო შინამრეწველ ხელოსანთა კავშირის ყოფილ მოლარის ვარლამ ედიბერიძის და ამავე კავშირის ყოფილ ბუღალტერის დავით ქურდოვანიძის საქმის გარჩევა.

როგორც ვსწერდით, ედიბერიძესა და ქურდოვანიძეს ბრალდებათ საბუთების განადგურებით და სხვა ხრიკებით 7.654 მანეთის მითვისება და გაფლანგვა.

ედიბერიძეს ბრალდება აგრეთვე 424 მანეთის მითვისება კოოპერატიულ ამხანაგობის „მებაღე“ს მოლარეთ ყოფნის დროს.

საზოგადო ბრალმდებლათ გამოდის ამხ. სანებლიძე.

ედიბერიძეს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი მ. ტატიშვილი, ხოლო ქურდოვანიძეს ქ. რიჟამაძე.

სამოქალაქო მოსარჩლის მხარეს იცავს ენიკო ლოპოვი.

გამოწვეულია 46 მოწმე და ექსპერტები.

გასამართლებისადმი ინტერესი იმდენად დიდია, რომ დამსწრეთა სიმრავლის გამო დარბაზში შესვლა ხდება ბილეთებით.

გასამართლება საზოგადო-მაჩვენებელი ხასიათისაა.

გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ იქნა ბრალდებული ქურდოვანიძე, რომელმაც თავი არ სცნო დამნაშავედ.

ბრალდებულმა ედიბერიძემ ნაწილობრივად სცნო თავი დამნაშავედ.

საკონსერვო ქარხანა

გორში

ს. მ. უ. ს. ხუთწლიან პერსპექტიულ გეგმაში გათვალისწინებულია საკონსერვო ქარხნის აგება გორის რაიონში. არსებული ქარხანა გადაკეთებულ იქნება; ახალი ქარხნისათვის კი ყოველგვარი მოწყობილობა გამოწერილი იქნება საზღვარ-გარეთიდან.

ქარხნის ასაგები ადგილი ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული. ადგილის ასარჩევად ს. მ. უ. ს. მიერ ადგილობრივ გაიგზავნა სპეციალისტ - ტეხნიკოსთა კომისია.

შემნახველი სალაროების

გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა სახელმწიფო შემნახველ სალაროების გამოკვლევა ამიერ-კავკასიაში. გამოკვლევის შემდეგ მიღებული იქნა მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს სალაროების მუშაობის განვითარებას.

კერძოდ მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ საჭიროდ სცნო წინადადება მისცეს ფინსახკომს შეაჩეროს სალაროების შემდგომი გახსნა და გადასინჯოს სალაროების არსებული ქსელი; ეს ღონისძიება გამოწვეულია იმით, რომ სალაროების რიცხვი მეტად გაიზარდა, ამავე დროს ისინი არ არიან სათანადოთ დატვირთული. ეს წინადადება არ ეხება იმ სალაროებს, რომლებიც იხსნება დაწესებულებებთან და წარმოებებთან, სადაც არის წინასწარი პირობები მათი წარმატებით მუშაობისათვის.

ფინსახკომს წინადადება მიეცა აგრეთვე გააძლიეროს სალაროებში დისციპლინა, განსაკუთრებით იმ მხრივ რომ თავის დროზე იქნეს წარმოდგენილი ანგარიშები; ამისათვის რესპუბლიკების ფინსახკომებმა პირველ რიგში უნდა იზრუნონ მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

სალაროების მუშაობა ანაბარების მოსაზიდავად დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. გამოკვლევა შეეხო აგრეთვე ამიერ-კავკასიაში არსებულ შემნახველ სალაროების ურთიერთ დამოკიდებულების საკითხს. აუცილებლად იქნა ცნობილი რკინიგზის და სახელმწიფო ბანკის შემნახველი სალაროების დაქვემდებარება რესპუბლიკანურ სალაროებისათვის.

„ზაკსელმაშ“-ში

თოკები

8 თებერვალს კანადაში დაიტვირთა და გამოიგზავნა „ზაკსელმაში“-ს სახელზე თოკები ამკრეფ სასოფ.-სამ. მანქანისათვის.

ცელები

ავსტრიიდან ბათომში „ზაკსელმაში“-ს სახელზე მოვიდა ცელები.

გოგირდი

გზაში იმყოფება და 15 მარტისათვის „ზაკსელმაში“ მიიღებს 450 ტონა გოგირდს. გზაში იმყოფება აგრეთვე გეგმით გამოწერილი დანარჩენი რაოდენობა და საბაღოსნო ხელსაწყოები.

„სელმაში“-ს ლიკვიდაციის გამო

„სელმაში“-ს ლიკვიდაციის გამო მისი ინვენტარის მიღებას შეუდგა „ზაკსელმაში“.

რკინისგზეზე

ნავთსადენის შეკეთება

15 მარტიდან იწყება მუშაობა ნავთსადენის შესაკეთებლად. მუშაობა იწარმოებს აჯიკაბულ-საგირის, ევლახ - მალაის, განჯა - ზაზალის, კიურაქჩაი - ევლახის, განჯა - შამქორის, სკრა-მცხეთის, და ძირულა - სვირის სარკინისგზო უბნებში.

მილსადენები შეკეთდება სულ 110 კილომეტრის მანძილზე; აქედან 26 კილომეტრი მიწის ზევით და 84 მიწაში.

მთელი მუშაობის დამთავრება განზრახულია 4 თვის განმავლობაში. შეკეთებაზე იმუშავებს 300 უმუშევარი რკინისგზელი უმუშევართა კოლექტივიდან.

მომავალში მოსალოდნელია სამუშაოების გადიდება 25 პროცენტით.

ახალი ტარიფი

მალე გასაფუჭებელ საქონლის გადაზიდვის თანდათანობითი გადიდების გამო, ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოსთან არსებულმა საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირმა დააწესა ტარიფი საქონლის წინასწარი გაყინვისათვის ა.-კ. რკ. გზების საყინულეებში.

თითოეულ ტონა გასაყინ საქონელზე ახალი ტარიფით დაწესებულია 24 მან. 40 კაპ.

ერთი წლის შემდეგ ტარიფი გადაისინჯება ხელახლად.

გაფლანგვა

სადგ. ნავთლუღის ანგარიშთწარმოების რევიზიის დროს, ა.-კ. რკ. გზ. საშემოსავლო დარგმა აღმოაჩინა გაფლანგვა.

წინასწარი გამოანგარიშებით გაფლანგულია —2.812 მან. და 95 კაპ. გამფლანგველად ცნობილია ნავთლუღის მოლარე რევია, რომელიც ამჟამად დაპატიმრებულია.

ბიბლიოგრაფია

„პროლეტარული მწერლობა“ №1—საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციის ყოველთვიური ორგანო. სახელგამ. თბილისი—1927 წ.

პროლეტმწერალთა სისტემატიურ ორგანოს საჭიროების აუცილებლობა კარგა ხანია არსებობდა. დღემდე პროლეტმწერალთა ასოციაციის გამოცემაში „კუსტარული“ იყო და რაც მთავარია ელექტიურ დასაწყისს ატარებდა; (ჟურ. „ლიანდაგი“) მართალია ჟურ. „მერცხალმა“ შედარებით მდგომარეობა შესცვალა, (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ იდეოლოგიურ კურიოზებს და... ულტრა „პარნასულ“ სახელწოდებას) მაგრამ არსებითად შერჩა ძველ ხაზს.

„პროლეტარული მწერლობა“-თი ვფიქრობთ მდგომარეობა გამოსწორდება და შეიქმნება კურსი იდეოლოგიურად მტკიცე და მხატვრულად გამძლე ორგანოსაკენ.

სარეცენზიო № იხსნება (ანბანზე) ქ. ბობოხიძეს: „მეზღვაური“-თ. ბობოხიძე დამწყები კომკავშირელი პოეტია, რომელმაც უკანასკნელ დროს ნაწილობრივ გამოავლინა საკუთარი ლიტერატურული ფიზიონომია. „მეზღვაური“ დამაკმაყოფილებელია, თუმცა ვხვდებით—უკულტურო ხაზებს, როგორიცაა მაგ.: „ვიმარჯვებთ.—იხლა ვართ ბირს მიღწეული“ და სხვ. პოეტს შართებს ლექსზე სერიოზული მუშაობა.

კარლო კალაძე: „ენგურის მთებს“. კალაძე სერიოზულად მუშაობს ლექსზე. ამიტომაა, რომ მისი მხატ. პროდუქცია ფორმალურად ყოველთვის სრულყოფილია და კვალიფიციური. თუ აქამდე იგი გვევლინებოდა უმთავრესად, როგორც „პოეტი სკულპტორი“ უკანასკნელ ფაქტებით ამ მომენტს უნაპირდება. პოეტის ყურადღების ცენტრი სოციალურ ჟანსად რეალიზმზეა შეჩერებული კლასიკებზე ფორმალურ ორიენტაციით. [illegible] მოცემულ ლექსში აქვს ადგილი სენტიმენტალურ განწყობილებას, როგორიცაა დათოული ეპიგრაფი ანდა შემდეგი სტროფა:

„გამოვიტირეთ კვნესით გოდებით
უკანასკნელი სისხლი და ლამე“—მაგრამ

„ეროვნულ ციკლთან“ შედარებით მოცემულ ფაქტით პოეტი თანადროულობას უსწორებს თვალს და მიჰყვება ეპოქის ტემპს:

„რა უყოთ, ძველი კლდე თუ ინგრევა,—
რკინის ხელები თუ სწვდება ყველგან—
ამ ახალ გზებით შემოიჭრება
თქვენთან მომავლის და მზის ქვეყანა“

ქ. ლორთქიფანიძე: „მინიატიურები“. (ექვსი ლექსი) ლირიკული ლექსები, მელოდიურია და სადა. პოეტი ბრძოლის განწყობილების პარალელურად ანვითარებს ელეგიურ ტონს და მელოდრამას.. დამახასიათებელია. ერთ ფაქტში მინორის და მაჟორის მოთავსება:

(„ხან სიტყვა ჰგავს ზღაპრულ გოლიათს
ხან ქალწულივით სინაზეს იშლის“).

ლექსების მოცემულ რგოლში პოეტი „გვაჯერებს“:

„ჰამლეტობაზე უფრო დიდია
დონკიხოტური თავდავიწყება“.

მართალია მერე ეს? რასაკვირველია, არა! მართალია „ჰამლეტიზმი“ უმოძრაობის, პასიობის სინონიმია, მაგრამ არც დონკიხოტობაა დადებითი მოვლენა. მწუხარე სახის რაინდის ავადმყოფური ფანტაზიორობა, ავადმყოფური ექსტაზი ისევე მიუღებელია ჩვენთვის, როგორც ადამიანის გაორება; „დონკიხოტური თავდავიწყება“ — უდისციპლინობაა, უტაქტობა, უგეგმობა და საკვირველია, რა ნახა პოეტმა უმიზნო ტრიუკების, „ავანტიურების“ წამომწყებ ლამანჩელ რაინდში? არც ჰამლეტი და არც დონკიხოტი, არამედ ბოლშევიკი—მებრძოლის ურყევი ტიპი, სალ განწყობილებათა მონოლიტი; ბოლშევიკი თანადროულობის დაღებით და ჯამართლებული ტიპი, ეს უნდა იცოდეს პროლეტპოეტმაც.

ანდა რას ნიშნავს ტიპიური ექსპრესიონისტული ინზლაგი:

„გულში გრძნობები აღარ დარჩება,
ციფრები გვაქცევს კაცებს მონებად
და მაშინ ხალხის გადასარჩენად
ქვეყანას ლექსი მოაგონდება“.

რატომ დასჭირდა პოეტს განწყობილებათა ასეთი კომპლექსის წამოწევა? თურმე ინდუსტრიალიზაცია აბსოლუტურად სპობს „მწვანე ბუნებას“, გრძნობას და ა. შ. მომავალი სრულებითაც არ თხოულობს ემოციების უარყოფას, ფსიქოლოგიურ დემობილიზაციას, „კაცების მონებად გადაქცევას“ და სხვ. აქ ერთგვარ პანიკიორობასთან გვაქვს საქმე პოეტის მხრივ, რაც რევოლუციის საბოლოო მიზნებში სათანადოთ ვერ გარკვევის შედეგია.

ა. მაშაშვილი: „პასუხი მოგონებას“. აგვისტოს ავანტიურის და ბიოგრაფიულ ფონზე შლის და ანვითარებს პოეტი ბრძოლის განწყობილებას. მაშაშვილმა 25—26 წ. წ. თავისი მხატვრული პრაქტიკა ეროტიკისადმი ავადმყოფური ინტერესით... და ნაწილობრივ ნაციონალისტური „უკლონით“ წარმართა. ამ ლექსით კი პოეტი მთლიანად უნაპირდება „ობივატელშჩინა“-ს და იდეურ განიარაღებას:

„მე ვიღებ სიტყვას ისევ ბრძოლის ბარიკადებზე
და ხარბად ვკოცნი გაცივებულ თოფის ბაგეებს!“

ფაქტი სათანადოთაა აშენებული და ხასიათდება განწყობილებათა მთლიანობით. მოცემულია რიგი მხატვრულ სახეების, მაგ.:

1. მზე, როგორც ლუზა, იშვებოდა სხივთა ჯაჭვებით.
და აჩერებდა ქვანახშირით დატვირთულ ღამეს.
2. და მე დამქონდა ვარსკვლავივით მკერდზე ჭრილობა.
3. მღერის ქარი მავთულებზე ინტერნაციონალს“, თუმცა პარალელია მ. გოლოდნის: „Ветер, ветер, сыграй мне марсельезу на балалайке проводов“.

ფ. ნაროუშვილი: „ქალაქი ოფუცხოვოში“. სოფლის იდილიის ფონზე იშლება ცენტრალური გაწყობილება: ელექტროფიკაციის და სოციალისტური მშენებლობის პრობლემა. კვდება ჰოვარის რომანტიკა, ძველი წისქვილი... შენდება ელექტროსადგური:

„გააქვს გუგუნი ისევ ლაღუმებს
და ემატება აგურს აგური...“ და სხვ.

ისტორიულად მივიწყებული პროვინცია კულტურულ-აღმშენებლობით ლიანდაგზეა შემდგარი. „ქალაქი ოფუცხოვოში“ პირველ პლანზე სწორედ ეს მომენტი იჭრება: „და ემატება აგურს აგური“—ჩვენი მშენებლობის ტიპიური ეპიზოდი. ყველა ეს მოცემულია ორგანიულად, დაჯერებით და შეუძლია მკითხველის თანამედროვე საზოგადოებრიობის არეში შეყვანა.

ქ. ფეოდოსიშვილი: „ეგნატეს ძეგლთან“. ბოლო ხანებში პროლეტპოეტებიც აწყობენ ექსკურსიებს კლასიკების პანთეონში; ზოგი ბარათაშვილს „ესაუბრება (!), ზოგი აკაკის... ქ. ფეოდოსიშვილი კი—ეგნატე ნინოშვილს. აქ მთავარია სოციალურ ნათესაობის მონახვა და კლასიურ ხაზის სათანადოთ ამუშავება.

პროლეტრევოლუციამ წამოსწია ახალი სოციალური ფენები; სახელმწიფოს მართავენ ოდესღაც უფლებააყრილი მუშურ-გლეხური მასები. ვინც ორგანიულადაა მისული რევოლუციასთან, დიდს სოციალურ ძვრებს უფრო ორგანიულად, მკაფიოდ და კონკრეტულად განიცდის. ეს შესძლო ქ. ფეოდოსიშვილმა მთელ რიგ ფაქტებით, საილუსტრაციოდ მოვიყვანთ თუნდაც შემდეგ სტროფას:

„ჩემო ეგნატე! საქართველო გამოიცვალა
დავით დროიძე ღრმა მიწაში მძიმედ იძინებს
თემაღმასკომის თავმჯდომარედ არის ხიმონა
და მშრომელ ქალებს მეთაურობს ტურფა ქრისტინე“.

ნაკლი: მასალის მხატვრულ ორგანიზაციის, კომპოზიციის სისუსტე.

ბელეტრისტული განყოფ. სუსტადაა წარმოდგენილი: ელ. პოლუმორდვინოვის და ს. წვერავას მოთხრობები სუსტია. ქ. ლორთქიფანიძის ნაწყვეტს (რომანიდან: „ხავსი“)—მისტიური კოლორიტი დაჰკრავს. თეორია და კრიტიკა: ბ. ბუაჩიძის და დ. რონდელის წერილები ამხ. კახიანის თბილ. მე-7 პარტკონფერენციაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენების ნაწილის („იდეოლოგიურ ფრონტზე“) ერთგვარი გამოძახილია.

ლ. ესაკია—„პროლეტარიატმა უნდა“.. მართლია წამოყენებულ საკითხებზე საკმაოდ იწერებოდა (ხელოვნების საკითხებში მეცნიერულ, მიდგომა, მიდგომის გარკვეული მეთოდი, „რა“ თუ „როგორ“ და სხვ.). მაგრამ წერილი მნიშვნელობას მაინც არაა მოკლებული. სხვათა შორის, ძალიან უშნო სათაურია—„პროლეტარიატმა უნდა“.. გაუმართლებელი, როგორც ორიგინალობის, ისე მომჭირნეობის მხრივ.

რადიანი: „ლიტერატურის მეცნიერული მეთოდი“; წერილს აკლია სათანადო გაშლა და თვალსაჩინო არგუმენტაცია.

პ. ქიქოძე: „რომანტიული რეალიზმი და ქართულ პროლეტმწერლობის პერსპექტივები“. ასეთი წერილები ყოველთვის კამათის წესით იბეჭდება; წერილი გავსებულია საეჭვო მოსაზრებებით, როგორიცაა: პროლეტმწერლობისათვის რომანტიზმის და პრაქტიკულ იდეალიზმის (sic!) „დათრევა“, „რომანტიზმი+ფსიქოლოგიური რეალიზმი“, „მხატვრული აზროვნება პროლეტმწერლისა რომანტიულ რეალისტურია“, „რომანტიული რეალიზმი“, ცნება: იდეოლოგიის რაოთისით შეცვლა“ და სხვა, რაც სათანადო რევიზიას საჭიროებს. ეს ხომ „საპროგრამო“ წერილია! „პროლეტარული მწერლობა“-ს რედაქცია მთლიანად სოლიდარულადაა განწყობილი ავტორის საეჭვო მოსაზრებებისადმი (წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭირო იყო რედაქციის შენიშვნა).

საერთოდ წარმოდგენილი წერილები „მოზაიკის“ პრინციპზეა აგებული და უჩვეულო კონსტრუქციით აშენებული, ფართო მკითხველ მასებისათვის სრულიად გაუგებარი; ყველა ეს მაშინ, როდესაც მოცემულ წერილებში არც ისე „დიდ მატერიებზე“ ბაასი (მაგ.: ბუაჩიძეს და რონდელის საფელეტონო თემები) იმის მაგიერ, რომ წერილმა ორგანიზაციულად წარმართოს მკითხველის აზროვნება, მისცეს ორიენტაცია.. მკითხველი საკითხებში გარკვევის მაგიერ ლაბირინტში და უჩვეულო ფრაზების ქსელში იხლართება. პროლეტარული მწერალი ფართო მკითხველ მასების, მასიურ მკითხველის ინტერესებით უნდა ხელმძღვანელობდეს და აქედან უნდა გამოდიოდეს.. დროა თავი დავანებოთ, „მყვირალა“ არაპრაქტიკულ გამოთქმებთან ართმიყობას და „ფიგურალურ“ ფრაზებს, ამას გვიკარნახებს ფართო მკითხველ აუდიტორიის დაპყრობის გადაუდებელი ამოცანა.

ბიბლიოგრაფიულ განყ. კარგია ქ. ბ—ლის: „ილია ჭავჭავაძე, ქ. კაპანელი და...“

ყდის მხატვრობა ეკუთვნის (წარწერიდან ვტყობილობთ) როდჩენკოს; გვიკვირს, ცნობილი კონსტრუქტივისტი რატომაა ასე უგემოვნოდ და ღარიბად წარმოდგენილი ჟურნალის ყდაზე.

დასასრულ: ჟურნალის 32 გვერდი დათმობილია მხატვრულ პროდუქციისათვის, 97—თეორია, კრიტიკისათვის, რაც უსათუოდ ანორმალური მოვლენაა.

სარეცენზიო ნომერი 130 გვერდს შეიცავს, ღირს 70 კაპ.

ტორი.

რა ვიკითხოთ თებერვლის რევოლუციაზე

რუსეთის სახელგამ მის გამომცემლობა.

ნ. ბუხარინი:—„ოქტომბრის მისავალ გზებზე“. წერილები და სიტყვები. 1917 წლის მაისი—დეკემბერი. 188 გვ. ფ. 75 კაპ.

ი. სტალინი:—„ოქტომბრის გზებზე“. წერილები და სიტყვები. 1917 წ. მაისი — ოქტომბერი. 220 გვ. ფ. 90 კაპ.

ვ. ი. ლენინი:—„1917 წლის ბურჟუაზიული რევოლუცია“. თხზულებათა კრებული. ტომი 14, პირველი ნაწილი —324 გვ. ფ. 1 მან. და 20 კაპ. ყდით. მეორე ნაწილი—536 გვ. ფ. 1 მან. და 75 კაპ. ყდით.

ვ. ი. ლენინი: —„წერილები უცხოეთიდან“, 60 გვ. ფ. 12 კაპ.

1. პირველი რევოლიუციის პირველი ეტაპი.
2. ახალი მთავრობა და პროლეტარიატი.
3. პროლეტარული მილიციის შესახებ.
4. როგორ მივაღწიოთ ზავს.
5. რევოლიუციონურ პროლეტარულ სახელმწიფოებრივ წესწყობილების ამოცანები.

„სამი რევოლიუცია“. ლენინის თხზულებათა კრებული. შედგენილი ნ. ი. კარპოვის მიერ. გამოცემა მე-2. 1917 წ. 370 გვ. ფ. 2 მან. და 25 კაპ.

წინასიტყვაობა: 1917 წ. ბურჟუაზიული რევოლიუცია. 1917 წ. პროლეტარული რევოლიუცია და სამოქალაქო ომი.

ა. შლიაპნიკოვი: „1917 წლის წინ. მოგონებები და მასალები მუშათა მოძრაობისა და რევოლიუციონური არალეგალური მუშაობის შესახებ. 1914 — 1916 წლამდე.

ნაწილი 1. 221 გვ. ფ. 1 მან. და 20 კაპ.

ნაწილი მე-2. 130 გვ. ფ. 80 კაპ.

„მონარქია დამხობის წინ“. ნიკოლოზ მე-2-ს ქაღალდები და სხვა დოკუმენტები. გ. ვ. სემენიკოვის წერილები. 3ll+8 გვ. ფ. 3 მან.

სარჩევიდან. ალბერ ტომას მისია (პუანკარეს წერილი ნიკოლოზ მე-2-ძი). ინგლის-რუსეთის უთანხმოება 1916 წელში. დანიის მეფის სამშვიდობო შუამავლობა. რუსეთის პოლიტიკის დარგიდან ბალკანეთზე. შტიურმერის მოხსენებები ნიკოლოზ მე-2-ძი. პოლონეთის საკითხი. რუმინეთის გამოსვლის ისტორიისათვის (რუსეთის ელჩის „დღიური“). ბრუსილოვის არმიის შეტევის ისტორიისათვის. ნიკოლოზ მე-2 და „მემარჯვენეები“. დამატება: უცხოეთის დოკუმენტების ასლები. დოკუმენტების სია.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

დასარგავი მასალის სავალდებულო დეზინსექციის შესახებ

სანერგეებიდან გაცემული დასარგავი მასალის მიზეზით ხეხილის მავნებლების გავრცელებასთან საბრძოლველად საქართველოს სსრ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებასა და საწარმოს, რომელსაც ხეხილის სანერგე აქვს, დეზინსექცია გაუკეთოს გოგირდნახშირბადით როგორც გასაყიდი, ისე სანერგეში დასატოვებელ დასარგავ მასალას.

2. ის კერძო საწარმო და პირი, რომელიც გასაყიდ დასარგავ მასალას ამზადებს, მოვალეა აუცილებლად დეზინსექცია გაუკეთოს ამ დასარგავ მასალას სახალხო მამულების სანერგეებში, აგრონომიულ პუნქტებზე ან მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ სპეციალურად სამისოდ დანიშნულ ადგილას.

შენიშვნა: დასარგავი მასალის დეზინსექცია მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში უფასოდ მოხდება.

3. დასარგავი მასალის მყიდველ დეზინსექციის გამკეთებელი დაწესებულება მისცემს სათანადო მოწმობას.

4. ინსტრუქციის გამოცემა ამ დადგენილების შეფარდებისათვის დაეკისრება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

5. ამ დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავეს, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, ადმინისტრატიული წესისამებრ, გადაეწყვიტება ჯარიმა ას მანეთამდე ან იძულებით მუშაობა ერთ თვემდე.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჟუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1927 წ. მარტის 2-ს
თბილისი-სასახლე.

დადგენილება 24

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ადგილობრივი საბჭოების მიერ სახელმწიფო გადასახადებისა და გამოსაღების უმაღლესი უკიდურესი ზედნართების დაწესებისა და, ადგილობრივი სასხარის გასაძლიერებლად, მათთვის საერთო სახელმწიფო გადასახადების დაუბეგრავ ობიექტებზე ზოგიერთი დამატებითი გადასახადისა და გამოსაღების დაწესებისა და გადახდევინების უფლების მინიჭების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მესამე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიის მიერ 1926—27 საბიუჯეტო წლისათვის საქართველოს სსრ ადგილობრივი ბიუჯეტის აგების შესახებ 1926 წლის ივნისის 16-ს მიღებული რეზოლიუციის მე-17 მუხ თანახმად და ა. კ. სფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების (ა. კ. სფსრ კან. კრებ. 1926 წ მე-8 №-რი, მუხ. 697) 57 მუხ. საფუძველზე—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს დააწესონ და გადაახდევინონ 1926—27 საბიუჯეტო წელში ა. კ. სფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 24 და 26 მუხლებით გათვალისწინებული სახელმწიფო გადასახადებისა და გამოსაღების ზედნართები ამა მუხლებში აღნიშნული უმაღლესი უკიდურესი რაოდენობით.

2. ნება დაერთოს ადგილობრივ საბჭოებს დააწესონ და გადაახდევინონ 1926—27 საბიუჯეტო წელში ა. კ. სფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულებით გაუთვალისწინებელი ყველა ის ადგილობრივი გადასახადი და გამოსაღები, რასაც ისინი ახდევინებდენ გასულ 1925—26 საბიუჯეტო წლის განმავლობაში და რაც აღნიშნულია ამასთანავე დართულ ნუსხაში.

3. დაევალოს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოიტანონ დადგენილებანი—ა. კ. სფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 24, 26 და 27 მუხლით გათვალისწინებული ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებისა, საერთო სახელმწიფო გადასახადებისა და გამოსაღების ზედნართებისა და აგრეთვე ამასთანავე დართულ ნუსხაში აღნიშნული ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღების დაწესებისა და გადახდევინების შესახებ.

4. ამა დადგენილების მეორე მუხ. გათვალისწინებული ღონისძიება ეცნობოს ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჟუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 წ. თებერვლის 27.
თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

თებერვლის რევოლუციის 10 წლის თავის და ამიერ-კავკასიის ფედერაციის ხუთი წლის თავის კამპანია საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიონში ჩატარებულ იქნება შემდეგ პუნქტებში.

1) მუშათა ცენტრალურ კლუბში—მომხსენებელი ამხ. ლისოვსკი, 2) დამოუკიდებელ შრომის კლუბი—ამხ. ჯუღელი, 3) ტრამვაის კლუბი—ამხ. ლევანდოვსკი, 4) სახლის მუშების კლუბი—ამხ. ხანოიანი, 5) არსენალი—ამხ. ნემერზელი, 6) ინდუსტრიალური ტეხნიკუმი—ამხ. მათიკაშვილი, 7) პირველი ქიმიური ტეხნიკუმი—ამხ. მეძმარიშვილი, 8) მესამე სამრეწველო-ეკონომიური ტეხნიკუმი—ამხ. ვირაპი, 9) სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი—ამხ. გობეჩია, 10) მედიკური ტეხნიკუმი—ამხ. ხაცკევიჩი, 11) პირველი სამრეწველო ეკონომიური ტეხნიკუმი—მ. ორახელაშვილი, 12) მეოთხე პროფსკოლა ამხ. სნეგიროვი, 13) მე-104-ე შრომის სკოლა—ამხ. შავერდოვი, 14) მე-9-ე შრომის სკოლა ამხ. ჩხენკელი, 15) მე-3-ე შრომის სკოლა—ამხ. ჩხარტიშვილი, 16) მეორე შრომის სკოლა—ამხ. მდივნიშვილი, 17) მე-82-ე შრომის სკოლა—ამხ. ელბაქიანი, 18) სკოლა კლუბი—ამხ. დანელია, 19) მე-100-ე შრომის სკოლა—ამხ. ინკოტრენევა, 20) მე-29-ე შრომის სკოლა—ამხ. ხუროძე, 21) მე-107-ე შრომის სკოლა—ამხ. პისეცკი.

საქართველოს რემედასის ცეკა ამით იუწყება, რომ დღეს, 10 მარტს, საღამოს 5 საათზე საქართველოს რემედასის ცეკას ბინაზე ლენინის ქ., № 29 შესდგება სააგიტაციო-საპროპაგანდო კომისიის სხდომა.

დასწრება ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებისა სავალდებულოა: 1. ჰუმბურიძე, 2. ძიძიგური, 3. ბახტაძე, 4. ძაძამიძე, 5. ვარდია და 6. აფხაძე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხქალთა განყოფილება იუწყება, რომ ხუთშაბათს ამა წლ. 10 მარტს, საღამოს 6 საათზე, მეხუთე შრომის სკოლის შენობაში (ჟუკოვსკის ქ. № 9) და იურიდიულ (რუს. და ქართ.) სექციის მორიგი სხდომა, ხოლო რუსული კოოპერატიული სექციის სხდომა შესდგება მომარაგების კლუბის შენობაში (ჯორჯაძეშვილის ქ., 9) იმავე დროს.

აღნიშნულ სექციებში მომუშავე ყველა დელეგატები უნდა გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

საქართველოს კომპარტიის, თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება ამხ. რუბენ კაზანჯიანს იწვევს რაიკომის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში. ამხ. კაზანჯიანი უნდა გამოცხადდეს სამი დღის განმავლობაში.

ლენრაიონის განათლების მუშაკთა უჯრედის ბიურო იუწყება, რომ პარასკევს, 11 მარტს, საღამოს 6 საათზე საბავშვო კერის მესამე სახლში (პლეხანოვის გამზირი, 166) შესდგება უჯრედის დახურული კრება.

სავალდებულოა კომპარტიის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება დაუგვიანებლად.

პარასკევს, 11 მარტს, შუადღის 12 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება [illegible] ბის [illegible] ხელმძღვანელებთან ერთად. მნიშვნელოვანი საკითხების გამო საჭიროა შემდეგი ამხანაგების დასწრება:

გოგაძე (პროფკავშირთა საბჭო), ბერძენიშვილი (თბილისის აღმასკომი), აზერაშვილი (კომკავშირის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება), შემესი, ფლეიშერი (ფოსტა-ტელეგრაფი), მნაცაკანოვი (ფოსტა-ტელეგრაფი), ხმიადოვი (ფოსტა-ტელეგრაფი), ლომაძე (ა.-კ. კომუნისტ. უნივერსიტეტი), დიდებულიძე (სახელმწიფო უნივერსიტეტი).

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილება იუწყება, რომ პარასკევს, 11 მარტს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების შენობაში შესდგება კომკავშირის უჯრედების გამომკვლევ კომისიის თათბირი.

სავალდებულოა კომისიის ყველა წევრების დასწრება აღნიშნულ დროისათვის.

ს.ა.ლ.კ.კ. ლენინის რაიკომის აგიტპროპ განყოფილება ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს 10 მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე მე-6 სალიანდაგო უბნის კლუბის შენობაში მოწვეულია ლენინის რაიონის 1-ლ მე-2 საფეხურის პოლიტიკურ სკოლების ხელმძღვანელების და სტაროსტების რაიონული კრება, უჯრედების მდივნებთან და აგიტპროპებთან ერთად. ყველა ზემოაღნიშნულ ამხ. ამხ. დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ პარასკევს, 11 მარტს უჯრედებში, რომელთაც არ დაუმუშავებიათ საკითხი „მეშვიდე სამაზრო-საქალაქო პარტკონფერენციის შედეგები“, ამ საკითხის გადასამუშავებლად მომხსენებლებად იგზავნებიან შემდეგი ამხანაგები:

ვოლკოვი, გაბაშვილი, რონზანი, პრეობრაჟენსკი, წერეთლიშვილი, ბუჯიაშვილი, ხოჯაივი, ხაცკევიჩი, ბრიკინი, დუშევინი, ასრიევი, ორჯონიკიძე, შახნაზაროვი, ფრიდონოვი, ტერუნოვი, ტაშჩიევი, ბორცვავი, ბელი, სარქისიანი, მარგალიტაძე, არაბაჯიანი, ფრანგულიანი, ენშტეინი, პოლოსოვი, ბეჟანოვი, ნასარიძე, ხრისტოლიუბოვი, მაშკევიჩი, ჩხეიძე, გაჩეჩილაძე.

ხუთშაბათს, 10 მარტს, საღამოს 6 საათზე, თბილისის აღმასკომის დარბაზში შესდგება საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მესამე პლენუმის სხდომა. დღის წესრიგი: 1) სასაქონლო ფასების დაკლების შესახებ; 2) საბინაო აღმშენებლობის შესახებ და 3) კომუნალურ წარმოებათა მდგომარეობის შესახებ.

სავალდებულოა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: დავით და პარმენ ალმასხანიძე ქაჯაიები, რძლები: ანასტასია უტუს ასული და ნატალია სიმონის ასული, შვილიშვილები: თინა, ალექსანდრე და მიხეილ აუწყებენ ნათესავებთ და ნაცნობებთ, რომ 8 მარტს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

გაიანე ქაიხოსროს ასული
ქაჯაიასი

პანაშვიდი დღეს საღამოს 6 საათზე გამოსვენება პარასკევს 11 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე (სადგურის ქ. № 20). დაკრძალვა მოხდება კუკიის სასაფლაოზე 2009

ღრმად დამწუხრებული მეუღლე დავითი, შვილები ვახტანგი და ლადო, რძლები: ბარბარე და ქანიკო, შვილიშვილები: ზიზიკო და ლამარა იუწყებიან, რომ 8 მარტს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი

ელისაბედ გიორგის ასული
გულიაშვილისა

პანაშვიდი პარასკევს 11 მარტს, 6 საათზე რკინის გზის საავადმყოფოს სამლოცველოში 2018

„სეკარის სითხე“

დამზადებული პროფესორ დოქტორ ბიუხნერის წესის მიხედვით, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ნებართვით № 8362 კოოპერატივ „გალენ მოსკვა“-ს ლაბორატორიის ორგანიულ ტერაპევტიულ განყოფილების მიერ გამოშვებულია

ნ. 724 10—1

„სეკარის სითხე“

მზადდება ცხოველების ხათესლე ჯირკვლებისაგან სპეციალისტ ქიმიკოსების, ფარმაცევტების და ექიმების ხელმძღვანელობით. სეკარის სითხე იყიდება საბჭოთა კავშირის ყველა აფთიაქებში და სანიტარიის და ჰიგიენის მაღაზიებში.

ექიმებს საცდელათ მოთხოვნილებისამებრ ეგზავნებათ gratis.

მთავარი საწყობი საბჭოთა კავშირისათვის
კოოპერატივი „გალენ მოსკვა“-ს ორგანიულ კოოპერატიული განყოფილება მოსკოვი ჰერცენის ქ. № 5 ბინ. 66.

მთავარ საწყობიდან ფოსტით იგზავნება არა ნაკლებ 4 ფლაკონისა 25 პროც. რაოდენობით ბეს გადახდის შემდეგ. შეხვევა და გადაგზავნა ჩვენს ხარჯზე.

ფლაკონი ღირს 2 მან.

სახელმწიფო დრამა

ხუთშაბათს, 10 მარტს, ნ. შიუკაშვილის ამერიკელი ძია
ორიგინალური კომედია 4 მოქმ. და 3 ინტერმედიით
დადგმა: ალ. ახმეტელის. მხატვარი: ი. შავიშვილი.
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.
3—1 ნ. 789

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 9 მარტს, პირველ აბონიმენტის მეცხრე წარმოდგენა
(ოპერა ჰუგენოტების მაგივრად)
პიკის ქალი
მონაწილეობენ ბოგოლეპოვა, სკიბიცკაია, ვოლჩანეცკაია, ვიტინგ, ვენაძე, ქარცივაძე.
დირიჟორი სტოლერმანი
ხუთშაბათს, 10 მარტს, ს. ი. მიგაის გასტროლი დემონი
ნ. 792

აპოლლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. № 19—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.

დღეს და ყოველდღიურათ
საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი
„თავადის ასული მერი“
ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირის“ ციკლიდან
დადგმა ვ. გ. ბარსკის, ოპერატორი ა. პოლიკევიჩი.
უკანასკნელად თბილისში, საინტერესო კინო-რომანი
„კაბირია“ 2 სერიად 10 ნაწილად. მთავარ როლში მაცისტი. 2 სერია ერთად
0—9 ნ. 748

ცირკი
ძმ. ტანტების
ტელ. 16—67
წაიკითხეთ ჩვენი აფიშები!!
1—2 ნ. 786

ს.ს.ს. რესპ. დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.
დღეს, 10 და პარასკევს, 11 მარტს
პაროდიულ დადგმების, განსაკუთრებული, საინტერესო სანახობანი
მესამეთ და მეოთხეთ ლეო ტანტის პაროდია
„შეთქმულება დედოფლის შეთქმულებაზე“
მონაწილეობს მთელი დასი. რასპუტინის როლში ლ. ტანტი.
გრძელდება ჭიდაობის ჩემპიონატი

ხუთშაბათი, 10 მე-39 დღე
ბორისოვი—ბულ
(ყ. ნიღაბი) ფენომენ
დემონ—ხუტიაგინ
სკარბე—ვანდეიკ
ერტნერ—კოზირიოვი

პარასკევს, 11 მე-40 დღე
ერტნერ-ბულ
კრილოვი—იაუნზე
ვანდეიკ—კოზირიოვი
ბორისოვი—ხუტიაგინი

ადმ. ხელმძღვანელი მ. ი. ტაძე.

ს.ს.ს.რ.კ. სახვაჭრკომის ბრძანებით № 363, 1927 წლის 31 იანვრის თარიღით,

დაწესებულია დადაღვა საზღვარ გარეთელ ფოტოგრაფიულ გასრების (пленки) და აგრეთვე საღებავების ორიგინალურ ხვეულებებში წონით 1 კილოგრამამდე, რომლებიც იბეგრებიან საბაჟოს ტარიფის (ძველი) 135 მუხლით.

ამის გამო. ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებანი და პირნი, რომელთაც აქვთ საზღვარ გარეთელი ფოტოგრაფიული გასრები და საღებავები (ორიგინალურ ხვეულებებში) ვალდებულნი არიან ორი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, წარადგინონ მახლობელ საბაჟოში ხსენებული გასრები და საღებავები დასადაღავათ სათანადო განცხადებასთან ერთად, რომელსაც უნდა ახლდეს საბუთები ამ საქონლის საზღვარ გარეთიდან შემოტანის და მასზე ბაჟის გადახდის შესახებ.

აღნიშნულ ვადის შემდეგ, თუ აღმოჩნდა საზღვარ გარეთელი ფოტოგრაფიული გასრები და საღებავები უდაღოთ (უბანდეროლოთ), ასეთები იქნებიან კონფისკაცია ქმნილი, როგორც კონტრაბანდა.

მთავარ საბაჟო სამმართველოს ა.-კ. განყოფილება.
ნ. 791 3—1

კახელ მევენახეთა კოოპ. ამხან. „საერო“-ს სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს, რომ კვირას, 13 მარტს, დილის 10 საათზე პუშკინის ქუჩ. № 2,

გაიყიდება საჯარო ვაჭრობით

ამავე ამხანაგობის მეღვინეობის ყველა საჭირო ინვენტარი
2012 სალიკვიდაციო კომისია.

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებამ
ქიაურში მოაწყო. ხე-ტყის სახერხი ქარხანა, სადაც მზადდება ყოველგვარი ხის მასალა, გარდა ფიჭვისა.
მსურველთ, როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო პირებს, დაკვეთა შეუძლიათ პარტიობით.
პირობების გაგება შეიძლება ადგილობრივ ქ. სიღნაღში და ქიაურში, როგორც პირადათ, ისე წერილობით.
სიღნაღის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილება.
1502 15—10

ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ს. გავსოვიჩი

ამით აცხადებს, რომ ის 14 მარტის 1927 წ. დღის 10 საათზე სახლში № 146 კლარა ცეტკინის ქუჩაზე, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის არტემ მეზუროვის მოძრავ ქონებას: საწერი მანქანა „რემინგტონი“, ორი სპარსული ნოხი, ოთხი მაგიდა, შკაფი, კაკლის ხის ჩამოსაკიდი და სხვ. შეფასებულს 405 მანეთად, ლეონიდა კოსტავას ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 31 აგვისტოს 1925 წ. თარიღით, № 1191 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2013

შილდის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ნიკ. შამანაური

ამით აცხადებს, რომ 15 მარტს 1927 წ. დღის 12 საათზე სოფელ ახალ-გავაზში იგი **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ახალ-გავაზის ყოფ. სას. სამ. ამხანაგობის „გუთანი“-ს შემდეგ ქონებას: ორ გუთნიან ტრაქტორს „ფორდზონ“-ის სისტემისას, შეფასებულს 600 მანეთად და ერთ სიმკალ მანქანას თავის მოწყობილობით „კრუპპ“-ის სისტემისას, შეფასებულს 400 მანეთად, დასაკმაყოფილებლად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ვალისა, თანახმად თბილისის 1 უბნის სახ. სას. ბრძანებისა № 31.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ ფასებიდან 316, 317 მუხ. დაცვით სამ. სამ. საპ. კოდ. 2006

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი ე. მ. მქინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ძლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური [illegible] მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—.

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე.
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ქუთაისში
ექ. დ. ა. ჩიჩელაშვილი
იღებს შინაგან ავადმყოფებს, სპეციალურათ ექიმობს ფილტვების ავადმყოფობას
მიღება დილის 8—12 საათამდე ჭავჭავაძის ქუჩა სახ. № 9. 13—1 ქვ. 1764

ექ. ი. ე. გაგიჩვაძე
პლეხანოვის პროსპექტი № 65 იღებს სპეციალურათ ვენერიულ სიფილისით და კანით ავადმყოფებს.
დილით 7 ნახ.—8 ნახ. საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25—

მე-3 დღეა ამედევნა

ინგლისური სეტერის ჯიშის ძაღლი, რომელიც ამ ჟამად იმყოფება ჩემთან. პატრონს ვთხოვ მოიკითხოს შემდეგი მისამართით: გოგოლის ქ. № 61. ბინა ბოკერიას. თუ ერთი კვირის განმავლობაში ძაღლი მოკითხული არ იქმნა, მას გაუშვებ და ყოველგვარ პასუხისმგებლობას ვიხდი თავიდან.

დავკარგე ა. ლ. კ. კ. საწევრო წიგნაკი № 775, ერასტი ნესტორისძე ნეფარიძეს სახელზე, ჩ. გ. 2011

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1457 დათიკო ავალიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2008

დავკარგე რკ. გზ. პირადობის მოწმობა № 1399 ვარლამ ბუბუტეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2007

დავკარგე მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 10408 ვარლამ ავალიანის სახელზე, ჩ. გ. 2010

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ნუსხა აღებული ქუთაისის მაზრ. სამხედრო კომისარიატში შალვა ნოესძე მიქელაძის სახელზე, ჩ. გ. 2014

დავკარგე აღრიცხვის ბარათი მიხა წიკლაურის სახელზე, ჩ. გ. 2015

დავკარგე საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 182 ოზურგეთის სამაზრო განყოფილებიდან მოცემული ნ. დ. მეხუზლას სახელზე, ჩ. გ.

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი, გაცემული მე-6-სე ლეგიონის მე-3-მე ასეულის მიერ, სერაპიონ ყარამანისძე კიზირიას სახელზე, ჩ. გ. 2017

დავკარგე პირადობის მოწმობა ბიკენტი ნიკოსძე გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. 2015

დავკარგე მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 1616 თამარა გიგინეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2019

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.